საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№36 (507)
9 - 15 ოქტომბერი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

17 მოსკოვმა პეკინს სარაკეტო თავდასხმის ადრეული გაფრთხილების სისტემის ტექნოლოგიები გაუზიარა



# მსოფლიო თავს აღწევს გლობალიზაციის საცეცებს 2-3

## პროგნოზი, რომელიც გამართლდა

ალექსანდრე ჭაჭია:

«გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებელიცაა. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება»
2000 წ.



დონალდ ტრამპი:

«თუ გსურთ თავისუფლება, იამაყეთ საკუთარი ქვეყნით. თუ გსურთ დემოკრატია, შეინარჩუნეთ სუვერენიტეტი. თუ გსურთ მშვიდობა, გიყვარდეთ თქვენი ერი. მომავალი არ ეკუთვნით გლობალისტებს, მომავალი ეკუთვნით პატრიოტებს» 2019 წ.

## ვინ შეკაზმავს ცხენს და ვინ შეკაზმავს ლობიოს? 7



## პირწავარდნილი ლიბერალების გადასხვაფერება 4



„თუ რეალური ეროვნული ძალა არ ჩამოყალიბდება, ალბათ, ამ ნიშს „ლიბერალური“ ძალები დაიკავებენ და ხალხს არჩევანის გაკეთება ისევ ცუდსა და უარესს შორის მოუწევს“

## ღამის ორჯერ გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, ორჯერ და მეტჯერ გაძვირებული პროდუქტები, უკიდურესი გაჭირვება და განცდა იმისა, რომ საშველი არ ჩანს 8



## 9 უმდაბლეს ნიშნულზე შემოსავალია, უმუშევრობის დონე კი არა, ბატონებო, იმ მოსახლეობის შემოსავალი, რომელზეც, წესითა და რიგით, უნდა იდგეს სახელმწიფო!

## პენტაგონის ბიობაქტერიოლოგიური საქმიანობა – საფრთხე მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ევრაზიაში



10

## სავაჭრო ომი: ტრამპმა ევროპას დაარტყა. 16 ევროკავშირი საპასუხო ზომებისთვის ემზადება



## «ჰარი-ჰარალე, დედაო» დოკუმენტური ფილმი რეზო გაბრიაძეზე 22



ჩაკუჩხი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველო არ აღორძინდება მანამ, სანამ მუქთახორათა ფსიქოლოგიას ბოლო არ მოეღება. არც სსრკ, არც ნატო, არც აფრიკის კავშირი ჩვენ არ შეგვინახავს და ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე არ იზრუნებს. რუსეთთან, ისევე, როგორც დასავლეთთან, ჩვენი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს სრულიად ახალ პრინციპებს, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდება იმისგან, რაც დღეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება. ჯერ კიდევ 1995 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას ვთქვი, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა იმით კი არ უნდა იყოს შეწუხებული, პრორუსული თუ პროდასავლური პოლიტიკა გაატაროს, არამედ იმაზე იფიქროს, თუ როგორ გახადოს იგი პროქართული“.

# მსოფლიო თავს აღწევს გლობალიზაციის საცეცებს

## პროგნოზი, რომელიც გამართლდა

## «ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზე სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი...»

ამა წლის 24-30 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ანსამბლეაზე, სადაც თავი მოიყარა მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის ლიდერმა და ასეულობით დიპლომატმა, ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სიტყვით გამოსვლისას მსოფლიოს მოუწოდა: „თუ გსურთ თავისუფლება, იამაყეთ საკუთარი ქვეყნით. თუ გსურთ დემოკრატია, შეინარჩუნეთ სუვერენიტეტი. თუ გსურთ მშვიდობა, გიყვარდეთ თქვენი ერი. მომავალი არ ეკუთვნით გლობალისტებს, მომავალი ეკუთვნით პატრიოტებს, სუვერენულ და დამოუკიდებელ ერებს, რომლებიც საკუთარ მოქალაქეებზე ფიქრობენ, პატივს სცემენ მეზობლებს და იმ განსხვავებებს, რომლებსაც თითოეული ქვეყანა ქმნის“. ტრამპმა ამ გამოსვლით, ფაქტობრივად, გამოაცხადა მსოფლიოს გლობალიზაციის იმ პროექტის კრახი, რომელსაც აშშ ბოლო ოცდაათი წელიწადი თავს ახვევდა სრულიად მსოფლიოს და რომელსაც თავგამოდებით ეტმასნებოდა და ეტმასნება საქართველოს ყველა ხელისუფლება, შევარდნაძე-სააკაშვილით დაწყებული და „ქართული ოცნებით“ დამთავრებული. საქმეში ჩახედული და, უბრალოდ, საღი აზრის მქონე ადამიანები ადრეც და მოგვიანებითაც არაერთხელ აფრთხილებდნენ საქართველოს ხელისუფალთ გლობალიზაციის ამერიკული ვარიანტის დამღუპველობისა და მისი გარდაუვალი კრახის შესახებ. ერთ-ერთი მათგანია (ერთადერთი თუ არა) პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოდან თავის მრავალ პუბლიკაციასა თუ ინტერვიუში ხსნიდა და განმარტავდა მსოფლიოში მიმდინარე რეალურ პროცესებს და მათ მავნე ზეგავლენას ქვეყანასა და ხალხზე. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, გთავაზობთ ნაწყვეტებს ალექსანდრე ჭაჭიას სხადასხვა წერილიდან ზემოხსენებულ თემაზე:

***„...დიახ, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ძალზე მომგებიანია, მაგრამ ვინ თქვა და სადაა გარანტია, რომ ამ მდგომარეობის უპირატესობით აუცილებლად ქართველი ხალხი ისარგებლებს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოთი? პირიქით, ბოლო წლების მოვლენების ანალიზი, სხვადასხვა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული კონცეფციების, მსოფლიო პოლიტიკური ელიტის პერსპექტიული გეგმების გაცნობა გვიჩვენებს, რომ არსებობს ძლიერთა ამა ქვეყნისათათვის მისაღები თვალსაზრისი, რომ არ არის საჭირო, მაინცდამაინც საქართველომ და ქართველმა ხალხმა შეასრულოს რეგიონში ფუნქციონალური როლი, ამ ტერიტორიაზე სათანადო როლის შესრულებას მოახერხებენ სხვა ქვეყნები.**

**ვინმეს ყოველივე ეს ფანტასტიკურად მოეჩვენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სრულიად შესაძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზე სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხისა თუ ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი...“** (გაზეთი „საქართველო“, 1997 წლის თებერვალი.)

***„...საქართველოში დღეს განსაკუთრებით მოდურია მსჯელობა დასავლეთის დახმარებაზე. მიამიტ, პროვინციელ მეოცნებეთა ეს ცრუ იმედი გავრცელებული იქნება მანამ, სანამ საზოგადოება არ შეიგნებს თანამედროვე მსოფლიოს მთავარ გლობალურ დაპირისპირებას „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთს“ შორის, სადაც „ჩრდილოეთი“ განვითარებული ქვეყნებია, პლანეტის მოსახლეობის ის „ოქროს მილიარდი“, რომელიც იყენებს მსოფლიო რესურსების უმეტეს ნაწილს, ხოლო „სამხრეთი“ — მთელი დანარჩენი სამყარო. უხეშად რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ „ჩრდილოეთმა“ გააგრძელოს მდიდრული ცხოვრება, ნედლეულისა და სურსათის მსოფლიო მარაგის ძირითადი ნაწილი კვლავ მოიხმაროს, „სამხრეთი“ სიღატაკეში უნდა იმყოფებოდეს. ამისათვის კი საჭიროა:**

**1. „სამხრეთის“ კოლონიური დამოკიდებულება „ჩრდილოეთზე“, რაც მიიღწევა ამ ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ნგრევითა და მათი გადაქცევით ნედლეულისა და იაფი მუშახელის მომწოდებლად, რისთვისაც მოქმედებენ სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები;**

**2. „სამხრეთის“ მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ლოკალური ომებისა და მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის ხარჯზე (ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოცუზრუნველყოფის ხელმისაწვდომი სისტემის არარსებობა, უმუშევრობა, შობადობის იძულებითი შემცირება).**

**ცნობილი გეოპოლიტიკური გეგმებიდან და, აგრეთვე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური რეალობიდან, სავალუტო ფონდის პოლიტიკიდან და საქართველოს მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ერთადერთი დასკვნა: ქართველი ერი (ყოფილი სსრკ-ის სხვა ხალხებთან ერთად) მოხვდა იმ ხალხთა სიაში, რომლის ხარჯზეც გადაწყვეტილია პლანეტის მოსახლეობის შემცირების უზრუნველყოფა. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიას, ის უდავოდ შეასრულებს იმ სატრანზიტო როლს, რომელზეც დიდი იმედით ლაპარაკობენ ქართველი პოლიტიკოსები, მაგრამ ამისგან შემოსავალს მიიღებენ სხვა ერები და სხვა სახელმწიფოები...**



...საქართველო არ აღორძინდება მანამ, სანამ მუქთახორათა ფსიქოლოგიას ბოლო არ მოეღება. არც სსრკ, არც ნატო, არც აფრიკის კავშირი ჩვენ არ შეგვინახავს და ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე არ იზრუნებს. რუსეთთან, ისევე, როგორც დასავლეთთან, ჩვენი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს სრულიად ახალ პრინციპებს, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდება იმისგან, რაც დღეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება. ჯერ კიდევ 1995 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას ვთქვი, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა იმით კი არ უნდა იყოს შეწუხებული, პრორუსული თუ პროდასავლური პოლიტიკა გაატაროს, არამედ იმაზე იფიქროს, თუ როგორ გახადოს იგი პროქართული...

**...რას წარმოადგენს თანამედროვე „ცხოვრების დასავლური წესი?“ — ეს გახლავთ იმ ნორმათა და ღირებულებათა სისტემა, რომელიც პროტესტანტული იდეოლოგიითაა შემუშავებული ანგლოსაქსური ეროვნული შეგნების სპეციფიკის საფუძველზე. პროტესტანტული მსოფლმხედველობისა და ინგლისურ-ამერიკულ-გერმანული მენტალიტეტის საფუძველს წარმოადგენს რაციონალიზმი, მკვეთრი ინდივიდუალიზმი და ანალიტიკურობა, მარტოობაში ცხოვრება და ბრძოლა, საკუთარი თავის იმედი (პრინციპები: „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა“, „მდიდარი ყოველთვის მართალია“, „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ და ა.შ.). ყველა ეს თვისება კატეგორიულად მიუღებელია მართლმადიდებლური შეგნებისთვის, რომელიც ეფუძნება ჰუმანიზმს, ხელგაშლილობას, მგრძნობიარობის რაციონალურზე სიჭარბეს, კოლექტივიზმს, კაცთმოყვარეობას, ცხოვრებასა და ბრძოლას მხოლოდ საზოგადოებაში სხვებთან ერთად. მეტიც, პროტესტანტულ ფსიქოლოგიას მკვეთრად ეწინააღმდეგება კათოლიკური შეგნებაც, კათოლიკური მსოფლმხედველობაც კი. ზუსტად ამის გამო კათოლიკური ხალხები „ცხოვრების დასავლური წესის“ ათვისებაში „ჩამორჩებიან“: იტალიელები, ესპანელები დასავლეთში ამ თვალსაზრისით „ჩამორჩენილ“ ერებად ითვლებიან, ფრანგები აქტიურად ეწინააღმდეგებიან საკუთარი ქვეყნის ამერიკანიზაციას, ირლანდიელები ომობენ ინგლისელებთან. ამიტომ თეზისი იმის შესახებ, რომ ჩვენი დასავლეთთან ერთობის ფაქტორს „საერთო რელიგია“ წარმოადგენს, უსაფუძვლოა. აქედან კი გამომდინარეობს მცდარი აზრი თითქოსდა საერთო მენტალიტეტის შესახებ. ქართული საზოგადოება ტრადიციული საზოგადოებაა. ვიმეორებ, თვისებები, რომლებიც პროტესტანტულ ინდუსტრიულ საზოგადოებას ახასიათებს, ჩვენთვის უცხოა და კატეგორიულად მიუღებელი.**

**საბაზრო ეკონომიკის თეორეტიკოსი ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი წერდა: „ლიბერალური საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელია, რომ ადამიანები ზოგიერთი ბუნებრივი ინსტინქტებისგან გათავისუფლდნენ, განსაკუთრებით სოლიდარობისა და შეცოდებისაგან“. აღიარა რა, რომ ეს ბუნებრივი, თანდაყოლილი ინსტინქტებია, მან ხაზი გაუსვა თანამედროვე საზოგადოების პროექტის სიდიადეს — ადამიანის ახალ ბიოლოგიურ სახეობად გადაქცევას (ამას, სხვათა შორის, ემსახურება ამერიკული კინოინდუსტრია, თავისი სასტიკი მკვლელობებით, ძალის კულტით, მარტოხელა გმირებით და ა.შ.); იმის, რაზეც ოცნებობდა ფრიდრიხ ნიცშე, როცა „ზეადამიანის“ სახეს ქმნიდა, მე-20 საუკუნის დასასრულს რეალობად გადაქცევას ცდილობენ. შეგვიძლია და გვინდა კი ჩვენ, ქართველებს, უარი ვთქვათ ჩვენი ერის, რელიგიის, კულტურის დამახასიათებელ ძირითად თვისებებზე და ახალ „ბიოლოგიურ სახეობად“ გადავიქცეთ?**

...„პროდასავლური ორიენტაციის“ შედეგია, აგრეთვე,

**«გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებელიცაა. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება, ისევე, როგორც დამთავრდა კრახით გლობალიზაციის წინა პროექტები — ბოლშევიკური, მისი «მსოფლიო მთავრობითა» და ფაშისტური, მისი გერმანული ჰეგემონიით მსოფლიოში. მაგრამ მანამდე ამ პროექტს, რა თქმა უნდა, ძალუძს ისეთი მცირერიცხოვანი ეროვნული ერთობების განადგურება, როგორიც ქართველი ხალხია. ნახეთ, რამდენი რამ უკვე მოახერხეს ჩვენს ქვეყანაში ამ პროექტის გამტარებლებმა, ჩვენმა «მეხუთე კოლონამ» დენაციონალიზაციის, დეინდუსტრიალიზაციის, საზოგადოების დაშლისა და ზნეობრივი დეგრადაციის თვალსაზრისით. და კიდევ აგრძელებენ საქმიანობას ამ მიმართულებით»**

# „დიახ, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ძალზე მომგებიანია, მაგრამ ვინ თქვა და სადაა გარანტია, რომ ამ მდგომარეობის უპირატესობით აუცილებლად ქართველი ხალხი ისარგებლებს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოთი? პირიქით, ბოლო წლების მოვლენების ანალიზი, სხვადასხვა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული კონცეფციების, მსოფლიო პოლიტიკური ელიტის პერსპექტიული გეგმების გაცნობა გვიჩვენებს, რომ არსებობს ძლიერთა ამა ქვეყნისათათვის მისაღები თვალსაზრისი, რომ არ არის საჭირო მაინცდამაინც საქართველომ და ქართველმა ხალხმა შეასრულოს რეგიონში ფუნქციონალური როლი, ამ ტერიტორიაზე სათანადო როლის შესრულებას მოახერხებენ სხვა ქვეყნები“

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«ჩვენი ელიტის ნაწილს, უვიცობისა და ეროვნული სხეულისგან მოწყვეტის გამო, არ ესმის, რომ ქართველ ერს გამაერთიანებელი ეროვნული იდეისა და სამშობლოს მომავლის ხედვის გარეშე არსებობა და განვითარება არ შეუძლია. მეორე ნაწილს ეს, პირიქით, მშვენივრად ესმის და მიზანმიმართულად ეწინააღმდეგება განსაზღვრას, ვინაიდან იმედი აქვს, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უსაშველობა, უიმედობა, აპათია ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიიდან ქართველი ერის განდევნას, მის შემდგომ გაფანტვასა და დეგრადაციას. მნიშვნელოვანწილად მათ ეს უკვე მოახერხეს კიდეც»**

ტოტალური იმიტაცია, დასავლური კულტურული ნიმუშებისადმი მიბაძვა, რაც ქართული ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ქცევის ნორმების, მორალისა და ზნეობის განდევნის ხარჯზე ხდება. მთელი პროპაგანდა მიმართულია წარსულის უგულებელყოფაზე, წინა თაობისა და მათი მოღვაწეობის დაცინვაზე. ტელევიზია, საშინელი არაპროფესიონალიზმის, ღრმა პროვინციალიზმის, დასავლური მასობრივი კულტურის უარესი ნიმუშებისადმი სასაცილო და ამაზრზენი მიბაძვის გარდა, უბრალოდ, რყვნის ახალგაზრდობას, ღუპავს ეროვნული ზნეობის პოტენციალს...

**... თუ მსოფლიო შეძლებს გლობალური კატასტროფის თავიდან აცილებას, მაშინ უდავოდ მოვა დრო, როდესაც მსოფლიო ინტელექტუალური ელიტა რეალურად და არა დეკლარაციულად აღიარებს საზოგადოების ორგანიზაციის სოციალური ფორმების პლურალიზმის პრინციპს, რომლის შესაბამისად ნებისმიერ საზოგადოებას განვითარების საკუთარი გზის უფლება აქვს, გზის, რომელიც მის კულტურას, ეროვნულ, სოციალურ თავისებურებებს შეესაბამება. მაგრამ, სანამ ეს დრო მოვა, მცირე ერებმა ადგილობრივი უვიცი პოლიტიკური ელიტის ხელმძღვანელობით, შესაძლოა, საკუთარი კულტურულ-ისტორიული სახე დაკარგონ. ამიტომ საქართველოში არსებულმა პატრიოტულმა ძალებმა უარი უნდა თქვან კაცობრიობის განვითარების ერთიან, უნივერსალურ მოდელზე, რომელიც აზროვნების ტიპზე, ტრადიციებზე, კულტურაზე, ეროვნულ სპეციფიკაზე თითქოსდა არ არის დამოკიდებული. ეს შეეხება ჩვენს ქვეყანაში ამერიკანიზმისა და ევროპოცენტრიზმის გამტარებლებს, იმ ინდივიდუალიზმის აბსოლუტიზაციას რომ ცდილობენ, რომელიც სპეციფიკურად დასავლური, ანგლო-საქსური მსოფლმხედველობის მიერაა წარმოშობილი და რომელიც ისტორიულ განვითარებას სწორხაზოვან პროცესად მიიჩნევს. ეს „იდეოლოგები“ მოსახლეობას დაუღალავად ახვევენ თავს არასწორ მტკიცებას იმის შესახებ, რომ პლანეტის მთელმა მოსახლეობამ უნდა გაიაროს დასავლეთის ქვეყნების გზა, მათგან გადმოიღოს საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის მათეული მეთოდები და წესები. საინტერესოა ის, რომ პლურალიზმის იდეა, რომელიც თვით დასავლეთის მიერაა გავრცელებული, როგორც ცივილიზაციის არსებობისა და განვითარების საფუძველი, ქრება მათ კონცეფციებში მაშინ, როცა საქმე საზოგადოების სოციალურ მოწყობას შეეხება. ნუთუ პლურალიზმი სხვადასხვა ქვეყნისა და ერის განვითარების სხვადასხვა გზას არ გულისხმობს?**

**მეტიც, ისტორიამ უკუაგდო ერების შერწყმის თეზისი იმ გაგებით, რომ ხალხებმა უარი უნდა თქვან საკუთარ კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებზე, დასავლური საზოგადოების თითქოსდა უნივერსალურ პრინციპებს უნდა მიჰყვნენ (სხვათა შორის, დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისაგან პირველმა ასეთი მიდგომის საშიშროება ი. სტალინმა შეიგნო, რომელიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა კოსმოპოლიტიზმის იდეოლოგიას). ისტორიამ დაამტკიცა, რომ სწორედ ერები ისტორიის მთავარ სუბიექტს წარმოადგენენ და ამ როლში შეიგნებენ და განახორციელებენ საკუთარ ინტერესებს, მოთხოვნებსა და ისტორიულ ვალს. ამიტომ მთავარი, რისკენაც 1993 წლიდან ყველა შესაძლო ხერხით მოვუწოდებდი და მოვუწოდებ პრეზიდენტს, ოპოზიციას, ინტელიგენციას, ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების საკუთარი მოდელის შემუშავებაა.**

**დღეს, როცა საქართველოში ანტიეროვნული და არნახულად კორუმპირებული ხელისუფლებაა, მათდამი მიმართვა უაზრობაა. ამიტომ ყოველმა ქართველმა უნდა შეიგნოს, რომ დასავლური საზოგადოების არსებობის პრინციპების ბრმა, ხელოვნური გადმოღებით, ჩვენთვის უცხო ორიენტაციებისა და ღირებულებებისადმი მიბაძვით ჩვენ ამერიკელები მაინც ვერ გავხდებით, მაგრამ ქართველობას კი დავკარგავთ.**

**მაშ, რანი ვიქნებით?“**

(გაზეთი „საქართველო“, 1997 წ. ივნისი)



**„გლობალიზაციის მიმდინარე პროცესი რომ იყოს ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების საყოველთაო გავრცელება, ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა, ცხოვრების ერთიანი დონისა და ხარისხის დაწესება, მაშინ ეს მისალები იქნებოდა როგორც საქართველოსთვის, ასევე სხვა ქვეყნებისთვისაც. მაგრამ სამწუხაროდ, საქმე შეეხება ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური კანონების, ცხოვრების ერთიანი წესის, საზოგადოების ფუნქციონირების ერთიანი პრონციპების საყოველთაო დანერგვას. ე.ი. საქმე მიდის საზოგადოების უნიფიცირებამდე, თანაც მონოპოლარული სამყაროს, ანუ მსოფლიო პროცესების მართვის ერთიანი ცენტრის არსებობის პირობებში. გლობალიზაციის ახლანდელი პროექტის ჭეშმარიტ მიზანს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა რეგიონის ინტელექტუალურ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება, იმისთვის, რომ მსოფლიო რესურსების გადანაწილების ჩამოყალიბებული პროპორციები არ შეიცვალოს. მიზეზი მარტივია და გასაგები: იმისათვის, რომ განვითარებული ქვეყნების ჯგუფმა ე.წ. ოქროს მილიარდმა ისევ მდიდრულად იცხოვროს, დანარჩენი მსოფლიო სიღატაკეში უნდა იმყოფებოდეს. ეს არის ბოროტი ქვეყნების ნება. ეს მათთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა, ვინაიდან მსოფლიო რესურსების მარაგი შეზღუდულია, მდიდრული ცხოვრებისთვის ყველას არ ეყოფა. ამიტომ საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც განვითარებული ქვეყნების ნებას გამოხატავენ და გლობალიზაციის პროექტს ახორციელებენ, ყველანაირად ცდილობენ, არ დაუშვან მათ მიერ გაკონტროლებული ქვეყნების ინტენსიური განვითარება. თითქმის ათი წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ეკონომიკას აკონტროლებს და ამ პერიოდში ქვეყანაში არ შექმნილა არც ერთი მაღატექნოლოგიური წარმოება, სამრეწველო განვითარების მიმართულებაც კი არ არის განსაზღვრული. ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოსთვის არ არის გათვალისწინებული სამრეწველო, ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარება და, შესაბამისად, მეცნიერების, განათლების განვითარება. საქართველო ამ ძალების მიერ განიხილება მხოლოდ, როგორც სატრანზიტო ტერიტორია, ნედლეულის რამდენიმე სახეობის მიმწოდებელი. ჩვენ ვხედავთ, რომ პრეზიდენტი და მმართველი პარტია სავსებით ეთანხმებიან საქართველოს მომავალი ფუნქციისადმი ამ ძალების დამოკიდებულებას და ამაყობენ კიდეც სატრანზიტო როლით. სხვათა შორის, ბოლო პერიოდში სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ტრანზიტიც კი ჩვენი პროვინციული ელიტის მიუღწეველ ოცნებად იქცევა. მიმაჩნია, რომ გლობალიზაციის ამჟამინდელი პროექტი არა მხოლოდ გლობალური კონფრონტაციის გამომწვევია, არამედ შეუსრულებელიცაა. ის აუცილებლად კრახით დამთავრდება ისევე, როგორც დამთავრდა კრახით გლობალიზაციის წინა პროექტები — ბოლშევიკური, მისი „მსოფლიო მთავრობით“ და ფაშისტური, მისი გერმანული ჰეგემონიით მსოფლიოში. მაგრამ მანამდე ამ პროექტს, რა თქმა უნდა, ძალუძს ისეთი მცირერიცხოვანი ეროვნული ერთობების განადგურება, როგორიც ქართველი ხალხია. ნახეთ, რამდენი რამ უკვე მოახერხეს ჩვენს ქვეყანაში ამ პროექტის გამტარებლებმა, ჩვენმა „მეხუთე კოლონამ“ დენაციონალიზაციის, დეინდუსტრიალიზაციის, საზოგადოების დაშლისა და ზნეობრივი დეგრადაციის თვალსაზრისით. და კიდევ აგრძელებენ საქმიანობას ამ მიმართულებით...**

**...** ჩვენი ელიტის ნაწილს, უვიცობისა და ეროვნული სხეულისგან მოწყვეტის გამო, არ ესმის, რომ ქართველ ერს გამაერთიანებელი ეროვნული იდეისა და სამშობლოს მომავლის ხედვის გარეშე არსებობა და განვითარება არ შეუძლია. მეორე ნაწილს ეს, პირიქით, მშვენივრად ესმის და მიზანმიმართულად ეწინააღმდეგება განსაზღვრას, ვინაიდან იმედი აქვს, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უსაშველობა, უიმედობა, აპათია ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიიდან ქართველი ერის განდევნას, მის შემდგომ გაფანტვასა და დეგრადაციას. მნიშვნელოვანწილად მათ ეს უკვე მოახერხეს კიდეც...“ *(გაზეთი „შანსი“, 2000 წლის დეკემბერი).*

**«ცნობილი გეოპოლიტიკური გეგმებიდან და, აგრეთვე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური რეალობიდან, სავალუტო ფონდის პოლიტიკიდან და საქართველოს მთავრობის საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ერთადერთი დასკვნა: ქართველი ერი (ყოფილი სსრკ-ის სხვა ხალხებთან ერთად) მოხვდა იმ ხალხთა სიაში, რომლის ხარჯზეც გადაწყვეტილია პლანეტის მოსახლეობის შემცირების უზრუნველყოფა. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიას, ის უდავოდ შეასრულებს იმ სატრანზიტო როლს, რომელზეც დიდი იმედით ლაპარაკობენ ქართველი პოლიტიკოსები, მაგრამ ამისგან შემოსავალს მიიღებენ სხვა ერები და სხვა სახელმწიფოები»**

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რეალობა შეიძლება შეცვალოს მხოლოდ კონკრეტულმა მიზანმიმართულმა მოქმედებამ და არა ილუზიამ, რომ თურმე მსოფლიოში ძირეული ცვლილებები მიდის და ეს აქაც ავტომატურად გამოიწვევს ცვლილებებს. ვერ გამოიწვევს, მაგრამ, თუ გამოიწვევს, მერწმუნეთ, ეს იქნება კიდევ ერთი პოლიტიკური აფიორა, რომელიც ჩვენ, შესაძლოა, წლების შემდეგ გავაცნობიეროთ“.**



# პირწავარდნილი ლიბერალების გადასხვაფერება

ნიკოლოზ მჟავანაძე:

## თუ რეალური ეროვნული ძალა არ ჩამოყალიბდება, ალბათ, ამ ნიშს «ლიბერალური» ძალები დაიკავებენ და ხალხს არჩევანის გაკეთება ისევ ცუდსა და უარესს შორის მოუწევს

**უცხოეთში გადახვეწილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის ამასწინანდელმა სკანდალურმა სატელევიზიო გამოსვლამ, რომელშიც მან საკუთარი თავი ტაძრების მშენებელ, ეროვნული სულისკვეთების მქონე ლიდერად მოიხსენია, თავისი გუნდის ყველაზე გავლენიანი წევრი გიგა ბოკერია კი — ქრისტიანობის მტრად, ცხადყო, რომ ქართული მართლმსაჯულების მიერ უშედეგოდ ძებნილი ექსპრეზიდენტი პოლიტიკური იმიჯის საფუძვლიანად შეცვლასა და პოლიტიკურ ავანსცენაზე სრულიად ახლებური სახით ცდილობს გამოსვლას. კერძოდ, მის მიერ ტრადიციებსა და ტრადიციულ ფასეულობებზე აპელირება (იმ დროს, როცა მისი ყოფილი თუ ამჟამინდელი თანამებრძოლები ძველ კურსს განუხრელად განაგრძობენ) აჩვენებს, რომ ნაცების თავკაცს, ლიბერალური დასავლეთის მიერ ხელდასხმულ „დემოკრატიის შუქურად“ ყოფნა კი არა, კონსერვატიული ფლანგის პოლიტიკურ ავანგარდში ჩადგომა სურს. როგორც ჩანს, სააკაშვილი არ არის ერთადერთი მარგინალური ფიგურა, რომელიც გათვლას მსგავს იაფფასიან ხრიკებზე აკეთებს.**

უპერსპექტივო ლიბერალური დღის წესრიგიდან მუდმივად მზარდ კონსერვატიულ ბანაკში გადაბარგება მალე, ალბათ, ერთგვარი ტენდენცია გახდება. მარტივად რომ ვთქვათ, მომავალში, ალბათ, კიდევ არაერთ სუბიექტს ექნება მსგავსი „მეტამორფოზის“ მცდელობა. ეს კი თავისთავად გაზრდის იმის ალბათობას, რომ დასავლეთში მიმდინარე იდეოლოგიურ-პოლიტიკური გარდაქმნების კვალდაკვალ ახალ დღის წესრიგს ძველი ოდიოზური სახეებიც წარმატებით მოერგებიან — ამჯერად „გულანთებული პატრიოტებისა და ტრადიციების დამცველი მამულიშვილების“ მანტიით...

**რატომ დაუპირისპირდა სააკაშვილი თავის გუნდს; რამ განაპირობა მისი, როგორც ლიდერის, პოლიტიკური ხედვების რადიკალურად შეცვლა და რა პროცესების დასაწყისზე შეიძლება მიანიშნებდეს საბოლოოდ ეს ყველაფერი? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

— ბატონო ნიკოლოზ, სააკაშვილის ბოლო სატელევიზიო გამოსვლა მისი ამჟამინდელი და ყოფილი თანაგუნდელებისთვისაც დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ის, პრაქტიკულად, თავის პოლიტიკურ წარსულს დაუპირისპირდა და ეროვნული სულისკვეთების მქონე პატრიოტ ლიდერად წარმოგვიდგა, გიგა ბოკერია კი ანტიქრისტიანული და ანტიეროვნული საქმეების კეთებაში დაადანაშაულა. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა გათვლა შეიძლება იყოს რეალურად ამის მიღმა?

— როცა **ბარაკ ობამა** იყო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების სათავეში და **ჰილარი კლინტონს** სახელმწიფო მდივნის თანამდებობა ეკავა, ცხადია, ვერც **სააკაშვილი** და ვერც სხვა რომელიმე ნაციონალი ფიქრშიც ვერ დაუშვებდა მსგავსი განცხადების გაკეთებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც **ტრამპი** მოვიდა და ამბობს, რომ მისი უმთავრესი მიზანი ქრისტიანული ფასეულობების დამკვიდრებაა, ვხედავთ რაღაც „სასწაულებრივ მეტამორფოზას“. სხვათა შორის, **სააკაშვილს ყოველთვის ახასიათებდა მსგავსი იაფფასიანი პოლიტიკური აფერისტობა და კოჭის გაგორება. მაგალითად, 2017 წლის იანვარში, როდესაც ტრამპი გახდა პრეზიდენტი, „ფეისბუკი“ ააფეთქა მისალოცი სტატუსებით, თუმცა მანამდე, როცა მთელი ლიბერალური პროპაგანდისტული მანქანა გაშმაგებულ ანტიტრამპისტულ კამპანიას ეწეოდა, გასუსული იყო,** ერთი სიტყვა არ დაუწერია სოციალურ ქსელში, იმიტომ, რომ არავინ არ იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი... **სააკაშვილი, ისევე, როგორც მთელი მისი გარემოცვა, არის ჩვეულებრივი პოლიტიკური თუთიყუში, რომელიც, რასაც დასავლეთში ლაპარაკობენ, იმას იმეორებს.** ეს იმას ნიშნავს, რომ არანაირი იდეოლოგია, არანაირი პრინციპი მას არ გააჩნია. მისი ერთადერთი პრინციპი არის პოლიტიკური სარგებელი და მნიშვნელობა არ აქვს, ამ სარგებელს დასავლეთიდან მიიღებს, სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან. აი ეს არის ამ ადამიანისა და მისი გარემოცვის პოლიტიკური ანატომია. ასე რომ, მსგავსი განცხადებები არ უნდა გაგვიკვირდეს. ისე, ამ დღეებში სოციალურ ქსელში იწერებოდა, რომ „ოცნების“ უმოქმედობისა და უნიათობის ფონზე სააკაშვილმა ასეთი სვლებით საზოგადოების რაღაც ნაწილის კეთილგანწყობა მართლა შეიძლება მოიპოვოსო. **არ მინდა, დავიჯერო, რომ ჩვენი საზოგადოების მეხსიერება ასეთი მოკლეა, მაგრამ, თუ ვინმეს გულუბრყვილოდ სჯერა სააკაშვილის კონსერვატორობის, შევახსენებ, რომ ეს არის კაცი, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლიდან სამი თვის თავზე სამხედრო ტექნიკით შელეწა გლდანის ეკლესიის კარი და მრევლი სასტიკად დაარბია. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თავისი საპრეზიდენტო ვადის ბოლო პერიოდში ათასობით თურქს მისცა საქართველოს მოქალაქეობა; არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სწორედ მისი პრეზიდენტობის პერიოდში იყო ქვემო ქართლში მეჩეთების მშენებლობის ბუმი...**

**— როგორ ფიქრობთ, ამგვარი განცხადებებითა და პოლიტიკური იმიჯის შეცვლის მცდელობით, რომელიმე ლიბერალურ ძალას აქვს შანსი, რომ კონსერვატიულ ფლანგზე დაიმკვიდროს ადგილი?**

— სანამ სათანადოდ არ მოხდება საზოგადოებაში არსებული მზარდი კონსერვატიული განწყობების კონვერტირება პოლიტიკურ პროცესებში, სანამ ამ განწყობებს რამე მძლავრი, შეკრული ბირთვის სახით არ ექნება შესაბამისი პოლიტიკური მისამართი, რომელიც მკაცრად გამიჯნავს რეალურ კონსერვატიულ სუბიექტს ლიბერალური ისტებლიშმენტიდან გადმოპორტირებული ფსევდოკონსერვატიული ძალისგან, საფრთხის შემცველი მცდელობები ყოველთვის იქნება. სხვათა შორის, მსგავსი მცდელობები ბოლო პერიოდში მედიაშიც შეინიშნება — ზოგიერთი მედიასაშუალება, რომლებსაც მანამდე ლიბერალური სარედაქციო პოლიტიკა ჰქონდათ, ცდილობს, ეროვნულ ტალღაზეც გადაერთოს. ვიღაცამ შეიძლება თქვას: მერე ამაში ცუდი რა არისო?! ცუდი ის არის, რომ **ჩვენ შეიძლება გვეგონოს, ქვეყანაში ძირეული ცვლილებები დაიწყო და სინამდვილეში კვლავ მივიღებთ ლიბერალური ელიტის სახეებს, რომლებიც ახალი იდეოლოგიურ-პოლიტიკური დღის წესრიგის ენით ილაპარაკებენ. თანაც, ეს შეიძლება ისე შეიფუთოს და შესრულდეს ტექნიკური თვალსაზრისით, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ამაზე არც ჰქონდეს სათანადო რეაქცია.** აი, ზუსტად ამიტომ ვამბობ ყველგან და ყოველთვის ხაზგასმით ერთსა და იმავეს, რომ მხოლოდ ხალხი ვერ იქნება გადამწყვეტი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, დღეს ვერ ვხედავ ქართულ პოლიტიკაში რეალურ წინაპირობას, რომ უახლოეს მომავალში სერიოზული, ანგარიშგასაწევი ეროვნული ძალის ჩამოყალიბება დაიწყოს.

**— და რა უშლის ამას ხელს?**

— ბევრი გარემოება. ვიღაცას, შესაძლოა, გულწრფელად სურდეს ამგვარი რაღაც მოძრაობის ან თუნდაც პარტიის შექმნა, მაგრამ შესაბამისი გარემოცვა არ ჰყავდეს, ვიღაც, შესაძლოა, ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე ეს ნაადრევი იქნება... **ამ ნაბიჯის გადასადგმელად, ალბათ, სამი რამაა საჭირო: სუფთა წარსულის მქონე, ავტორიტეტული ადამიანებისგან დაკომპლექტებული ძლიერი გუნდი, ფინანსები და საგარეო მხარდაჭერა.** საზოგადოების მხარდაჭერაზე არაფერს ვამბობ იმიტომ, რომ ეს თავისთავად იგულისხმება. ისე, ადრეც ვთქვი თქვენთან ინტერვიუში და ახლაც გავიმეორებ: **ყველა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანმა, რომლებსაც ხალხში ავტორიტეტი აქვთ და შეუძლიათ, პოლიტიკაში მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინონ, მაგრამ მიზეზთა გამო თავს იკავებენ, უნდა იცოდეს, რომ ყოყმანისა და ორჭოფობის დრო აღარ არის. სანამ ვიღაც ყოყმანობს, ვიღაც ხვდება, რომ მსოფლიო ძირეულად იცვლება, ამ ცვლილებების შესაბამისად ცდილობს ახალი იმიჯის მორგებას და ახალ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დღის წესრიგში დამკვიდრებას.**

> **«ყველა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანმა, რომლებსაც ხალხში ავტორიტეტი აქვთ და შეუძლიათ, პოლიტიკაში მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინონ, მაგრამ მიზეზთა გამო თავს იკავებენ, უნდა იცოდეს, რომ ყოყმანისა და ორჭოფობის დრო აღარ არის. სანამ ვიღაც ყოყმანობს, ვიღაც ხვდება, რომ მსოფლიო ძირეულად იცვლება, ამ ცვლილებების შესაბამისად ცდილობს ახალი იმიჯის მორგებას და ახალ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დღის წესრიგში დამკვიდრებას»**

ახლა რაც შეეხება ქვეყნის საგარეო ორიენტაციას: იმ განცხადებების ფონზე, რომლებსაც რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ჭრილში ბოლო პერიოდში აკეთებენ დასავლელი ლიდერები — **ტრამპი, მაკრონი** და სხვები, არ გამიკვირდება, რომ ზოგიერთი „ლიბერალი“ ასევე წარმატებით მოერგოს ამ პოლიტიკურ დისკურსს და მოსკოვთან დიალოგის აუცილებლობის მქადაგებლად მოგვევლინოს. სხვათა შორის, **ჩუგოშვილი** რომ ჩუგოშვილია, მან დაიწყო უკვე რაღაც დადებით ტონალობაში ამ თემაზე საუბარი და **ლავროვისა** და **ზალკალიანის** შეხვედრის შემდეგ განაცხადა: რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას უნდა ვესაუბროთო. აი, ეს არის მათი პოლიტიკური კრედო და სტრატეგია: სადაც სარგებელია (პირადი და არა საქვეყნო), იქ უნდა იყვნენ. თუმცა აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ, **რაც არ უნდა შეიცვალონ რიტორიკა, რაც არ უნდა „კონსტრუქციულები“ გახდნენ და ხშირად მოითხოვონ კრემლის მესვეურებთან შეხვედრა, ისინი ვერასოდეს ვერ შეძლებენ რუსეთთან თავისუფლად დიალოგს. გარედან მართვას მიჩვეული პოლიტიკური ლაქიები ყოველთვის დარჩებიან ამა თუ იმ ძალის იდეოლოგიურ ტყვეობაში, რაც გარედან შეიძლება რაღაც ეტაპზე შეფუთონ ლამაზად, მაგრამ არსებითად ყოველთვის იქნება ქვეყნისთვის საზიანო.**

**— დასაწყისში თქვით, რომ დღეს პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს ანგარაიშგასაწევი კონსერვატიული ბირთვი, რომელიც არსებითად შეცვლის ქვეყანაში ვითარებას. როგორ ფიქრობთ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე როგორი არჩევანის წინაშე იქნება საზოგადოება?**

— თუ ანტილიბერალური განწყობების გაძლიერება გაგრძელდება და, ალბათ, გაგრძელდება, ხოლო რეალური კონსერვატიული ძალა არ ჩამოყალიბდება, ალბათ, ამ ნიშს ლიბერალური ძალები დაიკავებენ და ხალხს არჩევანის გაკეთება ისევ ცუდსა და უარესს შორის მოუწევს. ე.ი, ჩვენი ბრძოლა მიმართული იქნება იქით, რომ როგორმე ნაკლებად ცუდი მოვიყვანთ ხელისუფლებაში. მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ისეთი გამაღიზიანებელი სახეები, როგორიცაა, მაგალითად, **ჩუგოშვილი**, საერთოდ მოაცილონ და ახალი სახეები შემოიყვანონ.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, **ლადო კახაძე.** ის შეიძლება კარგი მოქეიფეა და სუფრაზე კარგ „პატრიოტულ სადღეგრძელოებს“ ამბობს, მაგრამ ასეთი სადღეგრძელოები ბოკერიამაც შეიძლება თქვას. სხვათა შორის, **ზოგიერთ დაწინაურებულ ფიგურას დღევანდელ „ოცნებაში“ თავის დროზე მოსკოვში „კლიჩკა“ ჰქონდა — ქამელეონი. დაკონკრეტება არ მინდა, თვითონ მიხვდება...** აი, ზუსტად ეს ქამელეონები, კლოუნები და ჯამბაზები მოგვევლინებიან კონსერვატიული ფლანგის მონოპოლისტებად. ასე რომ, თუ ამ უბედურების აცილება გვინდა, მხოლოდ გულზე მჯიღის ცემა არ იკმარებს. კიდევ ვიმეორებ: განცხადებებიც საჭიროა, მიმართვებიც და სხვა რამეც, მაგრამ „ფეისბუკში“ გამოთქმული გულისტკივილი რეალობას ვერ შეცვლის. **რეალობა შეიძლება შეცვალოს მხოლოდ კონკრეტულმა მიზანმიმართულმა მოქმედებამ და არა ილუზიამ, რომ თურმე მსოფლიოში ძირეული ცვლილებები მიდის და ეს აქაც ავტომატურად გამოიწვევს ცვლილებებს. ვერ გამოიწვევს და, თუ გამოიწვევს, მერწმუნეთ, ეს იქნება კიდევ ერთი პოლიტიკური აფიორა, რომელიც ჩვენ, შესაძლოა, წლების შემდეგ გავაცნობიეროთ...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**დასავლეთის მიერ მრავალი წლის განმავლობაში მიღებულმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერმა რეზოლუციებმა რა ჩიტიც დაგვაჭერინა, ვნახეთ. სამხედრო ძალით რომ ვერ დავიბრუნებთ დაკარგულს, ამას ურაპატრიოტებიც აღიარებენ და რაღა დარჩა? — ყოველგვარი წინაპირობის გარეშე რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებების დაწყება. დიახ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, რადგან წინაპირობებს, როგორც წესი, მხოლოდ ძლიერი მხარე აყენებს.**



ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როცა მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოსთვის, გვირაბის ბოლოს პროჟექტორი თუ არა, იმედის პატარა სხივი გამოჩნდა, მაგრამ... ერთ-ერთ წერილში სიტყვა „მაგრამ“-ის ერთ განსაკუთრებულ თვისებას გავუსვით ხაზი: „მაგრამ“ იმ „მაგიური“ ძალის სიტყვაა, რომელსაც შესაბამის კონტექსტში გამოყენების შემთხვევაში ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეუძლია და ეს რომ ასეა, წინამდებარე სტატიიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დარწმუნდება მკითხველი.**



**სოხუმ-ცხინვალი იმ სტატუსით (ავტონომიები), როგორითაც ისინი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში იყვნენ, აღარასოდეს შემოვა თანამედროვე საქართველოს შემადგენლობაში და, თუ სხვა სტატუსით (ფედერაცია თუ კონფედერაცია) ოდესმე უწერია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მხოლოდ შორეულ მომავალში და ისიც მხოლოდ რუსეთის კეთილი ნების შემთხვევაში. ეს არის მწარე სიმართლე**



**დალოცვილო, რუსეთმა საქართველოს მიერ წამოყენებული პირობები რომ შეასრულოს, ეს ხომ, პრაქტიკულად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნიშნავს და, მერე რომ შეხვდებიან ერთმანეთს ზალკალიანი და ლავროვი, რაზე უნდა ილაპარაკონ — კრასნოდარ-სოჭის დაბრუნებაზე?**

გაზეთის წინა ნომერში გავბედე და ვთქვი მწარე სიმართლე, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მეტ-ნაკლებად იცის საქართველომ და რომელსაც ახლაც გავიმეორებ: **სოხუმ-ცხინვალი იმ სტატუსით (ავტონომიები), როგორითაც ისინი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში იყო, აღარასოდეს შემოვა თანამედროვე საქართველოს შემადგენლობაში და, თუ რაიმე სხვა სტატუსით (ფედერაცია თუ კონფედერაცია) ოდესმე უწერია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მხოლოდ შორეულ მომავალში და ისიც მხოლოდ რუსეთის კეთილი ნების შემთხვევაში.** დიახ, ეს არის მწარე სიმართლე, რომლის თქმასაც გაბედულება უნდა, რადგან, ერთი ქართული ანდაზის მიხედვით, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, სოროსის ხლისტებისგან და შეგნებული თუ შეუგნებელი ურაპატრიოტებისგან სამშობლოს მოღალატის იარლიყის მოწებება გარანტირებული გაქვს. თუმცა ჯანდაბას მაგათი თავი, როგორმე ავიტანდი იარლიყებსაც და ტალახის სროლასაც, რომ არა ის სამწუხარო ფაქტი, რომ ამ ლიბერასტულ გნიასში ელემენტარული საღი აზრი იკარგება... **დასავლეთის (წაიკითხე აშშ) მიერ მრავალი წლის განმავლობაში მიღებულმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერმა რეზოლუციებმა რა ჩიტიც დაგვაჭერინა, ვნახეთ. სამხედრო ძალით რომ ვერ დავიბრუნებთ დაკარგულს, ამას ურაპატრიოტებიც აღიარებენ და რაღა დარჩა? — ყოველგვარი წინაპირობის გარეშე რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებების დაწყება.** დიახ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, რადგან წინაპირობებს, როგორც წესი, მხოლოდ ძლიერი მხარე აყენებს, ეს ერთი და მეორე — ძლიერი რუსეთი თანახმაა წინაპირობების გარეშე, რომ იტყვიან, სუფთა ფურცლიდან დაიწყოს მოლაპარაკებები და შენ, ბედშავო საქართველოვ, წინაპირობებს რომ უყენებ რუსეთს, იმ რუსეთს, რომელსაც ასეთ რაღაცას ამერიკის შეერთებული შტატებიც ვერ უბედავს, რომ იტყვიან, ვის და სად დაეკარგე გლობალურ მონსტრებთან ჭიდილში?! აი, ეს არის საღი აზრიც და, აქედან გამომდინარე, საქართველოს გადარჩენის ერთადერთი შანსი. გაეროს კულუარებში რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების, **სერგეი ლავროვისა** და **დავით ზალკალიანის,** მოულოდნელი, რომ იტყვიან, ტეტ-ა-ტეტ შეხვედრა, პრესისთვის დახურული კონტაქტი საზოგადოებამ ქოცების მიერ რუსეთის შესახვედრად გადადგმულ პირველ გაუბედავ ნაბიჯად აღიქვა და კიდევ უფრო დიდი იმედით შეხედა რუსეთ-საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების პერსპექტივას. მაგრამ... ოღონდ ამჯერად საბედისწერო „მაგრამ“... საქართველო-რუსეთის პირველ დიპლომატთა პირველ შეხვედრას, 2008 წლის ომის გამო დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში ლიბერასტთა გნიას-ღნავილი მოჰყვა, — არიქა, „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანას უღალატაო და უხერხემლო ქოცებმაც ვერ გაუძლეს ნაცების მორიგ ზემოქმედება-შანტაჟს და ძველებურად თავის მართლება დაიწყეს: ეს, უბრალოდ, შეხვედრა იყო, მეტი არაფერიო და ძველებურად იდიოტური წინაპირობების ჩამოთვლა დაიწყეს: სანამ სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოებია, სანამ რუსეთი ჯარებს არ გაიყვანს ოკუპირებული ტეროტორიებიდან და სხვა მრავალი „სანამ“... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! დიახ, იდიოტური, რადგან, **დალოცვილო, რუსეთმა საქართველოს მიერ წამოყენებული პირობები რომ შეასრულოს, ეს ხომ, პრაქტიკულად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნიშნავს და, მერე რომ შეხვდებიან ერთმანეთს ზალკალიანი და ლავროვი, რაზე უნდა ილაპარაკონ — კრასნოდარ-სოჭის დაბრუნებაზე?** ნაცების ღნავილმა შეაშინათ თუ უფრო მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, არ ვიცი, მაგრამ ქოცების ხელისუფლებამ ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ დაძაბულ ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს და სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც წინამდებარე წერილს ვასათაურებდი. როდესაც ზალკალიანი ლავროვს დახურულ კარს მიღმა ესაუბრებოდა, თითქმის იმავე დროს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ქალბატონ **თამარ ჩუგოშვილის** მეთაურობით სტრასბურგის ევროსაბჭოს სტუმრობდა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და უკრაინასთან ერთად საქართველო იმ ქვეყნების ხუთეულში შევიდა, რომლებმაც გააპროტესტეს ამას წინათ რუსეთის ევროსაბჭოში ტრიუმფალური დაბრუნება. დაბრუნება, რომელსაც არათუ მხოლოდ მიესალმნენ, არამედ პირდაპირ შეუწყვეს ხელი ევროსაბჭოში შემავალმა უკლებლივ ყველა ჩვენმა „მეგობარმა“ სახელმწიფოებმა საფრანგეთისა და გერმანიის თამადობით. მიუხედავად ამისა, „შესანიშნავმა ხუთეულმა“ დემარშით დატოვა ევროსაბჭოს შექმნის საიუბილეო 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია და არც საზეიმო ბანკეტს არ დასწრებია.

ლიეტუვას, ლატვიას, ესტონეთსა და უკრაინას, რომ იტყვიან, თავში ქვა უხლიათ და ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ — რა ჰქვია თამარ ჩუგოშვილის ამ ნაბიჯს? რბილად რომ ვთქვათ, ამ უგუნურებას ერთი სახელი არ აქვს. ეს ნაბიჯი იმას ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებაში“ საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს... წინამდებარე სტატიის „შუა წელზე“ მცირე რეზიუმე გავაკეთოთ: ერთი რამ უეჭველია — საქართველო ყველა მიმართულებით პოლიტიკურ ჩიხშია, რომლიდანაც გამოსავალი, ჩემი აზრით, ჯერ არ ჩანს. თუმცა, ჩვენს „მოძმე“ უკრაინაში საქმე გაცილებით მძიმედაა. საზოგადოდ კი, კიევიცა და თბილისიც ამერიკის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** მიმართ არათუ ოპოზიციურად, არამედ მის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების მიერ გარედან იმართებიან.

თბილისი და კიევი — მოსკოვის მტრები! აი მთავარი მიზანი და ამოცანა სოროსისტი ლიბერასტებისა. მიუხედავად ამ ძალების აშკარა წინააღმდეგობისა, უკრაინა მაინც აიძულეს, რომ ე.წ. მინსკის ფორმატის ერთ-ერთ შეთანხმებაზე მოეწერა ხელი, რომელსაც „შტაინმაიერის ფორმულასაც“ ეძახიან, რაც დონბას-ლუგანსკის საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტას ნიშნავს. თუმცა, **„შტაინმაიერის ფორმულის“ განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა იმიტომ, რომ დასავლეთიდან დაფინანსებულმა უკრაინელმა ბანდერელ-ფაშისტებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს პრეზიდენტ ზელენსკის გადაყენების მოთხოვნით — უკრაინის უმაღლეს მთავარსარდალს საკუთარი ჯარი არ ემორჩილება.**

გერმანიის პრეზიდენტი, ბატონი **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი** თბილისში ჩამოვიდა და, მიუხედავად იმისა, რომ **ირწმუნება, ჩემი ჩამოსვლა საქართველოსთვის კიევის მსგავსი ფორმულის ჩამოტანას არ ნიშნავსო, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი დასაჯერებელია, რომ გერმანიის პირველი პირი საქართველოს უსახურ პრეზიდენტთან არაფრისმთქმელი შეხვედრისთვის არის ჩამოსული. მსგავს ეჭვებს ისიც უწყობს ხელს, რომ მაღალმა სტუმარმა დახურული შეხვედრა გამართა ქოცების უმრავლესობასთან.** გერმანიის პრეზიდენტი მაინც ვერ გადაურჩა უხერხულ კითხვას მისი ფორმულის შესახებ და განმარტა, რომ უკრაინისთვის განკუთვნილი ფორმულა გულისხმობს პატარ-პატარა ნაბიჯებით მანძილის დაფარვას, რადგან ერთი გრძელი ნაბიჯის გადადგმა უჭირთო. კიევისთვის „პატარ-პატარა ნაბიჯები“, ფაქტობრივად, დონბას-ლუგანსკის მაღალ ავტონომიას რომ ნიშნავს, ეს საიდუმლო არავისთვის არაა.

რაც შეეხება, საზოგადოდ, **მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ პროცესებმა არსებითი გავლენა იქონია უკრაინასა და საქართველოზე. დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს გადამწყვეტი ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის და ამ ბრძოლას ღმერთსა და სატანას შორის ომიც შეიძლება ვუწოდოთ. ამ ომში სიკეთის მცველს მართლმადიდებელი რუსეთი წარმოადგენს, ხოლო ბოროტებას — გარყვნილ-გათახსირებული დასავლეთი. თუმცა მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებლობა სულაც არ არის იმის გარანტი, რომ მარადიული ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის უეჭველად დასრულდება რუსთაველის ფორმულით: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“**

**დავით მხეიძე**

SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იმპერიებს და განსაკუთრებით ისეთ აგრესიულ იმპერიებს, როგორიც ოსმალეთი იყო, ახასიათებთ ერთი რამ: ყველა მიწას, ყველა ტერიტორიას, რომელიც ოდესმე ყოფილა მის შემადგენლობაში, ყოველთვის განიხილავს თავისი გავლენის სფეროდ. ეს შეიძლება იყოს ღიად დეკლარირებული, შეიძლება — ირიბად, ვითარებას გააჩნია, თუმცა დღევანდელ თურქეთს აჭარაში საკუთარი ინტერესები აქვს, მათ შორის ეკონომიკურიც, — და ეკონომიკური ბატონობა გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია — ეს, სიახლე, ალბათ, არავისთვისაა“.**

# აჭარის ისლამიზაცია — მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძემ ბათუმში გრანდიოზული მეჩეთის მშენებლობას მწვანე შუქი აუნთო

### ვაჟა ოთარაშვილი:

## მეჩეთს კი არა, მეჩეთებს ააშენებინებენ და ამას ისე ჩუმად, ისე მზაკვრულად იზამენ, რომ ხალხი ვერც გაიგებს



**30 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მუსლიმურ თემსა და ქალაქის მერიას შორის მიმდინარე ორწლიანი სამართლებრივი დავა მოსარჩელე მხარის მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილებით დაასრულა — მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძემ უკანონოდ და დისკრიმინაციულად ცნო თემისთვის ქალაქის ცენტში ახალი მეჩეთის აშენებაზე უარის თქმა, რაც, მისი განმარტებით, თურმე უხეშად არღვევს თანასწორობის პრინციპებს და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს (ამ შემთხვევაში საპატრიარქო და მართლმადიდებელი ეკლესია იგულისხმებოდა) პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს.**

მოსამართლემ, რომელიც თავიდანვე სოლიდარულად იყო განწყობილი მოსარჩელე მხარისადმი (მეჩეთის მშენებლობის ფონდი), განაცხადა, რომ ზონაში, სადაც თემს ახალი მეჩეთის აშენება სურს, რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესიაა (მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზეც), მაგრამ თავის დროზე ქალაქის ხელმძღვანელობას მათ აშენებაზე უარი არ უთქვამს. მისივე განმარტებით, თურმე მერიის მხრიდან საკითხისადმი დისკრიმინაციული მიდგომის არსებობაზე მეტყველებს ისიც, რომ, მოსამართლის არაერთი მოწოდების მიუხედავად, მან ვერ შეძლო მოსარჩელე მხარესთან შედეგიანი მოლაპარაკებების წარმართვა (შედეგიან მოლაპარაკებაში და მორიგებაში, ცხადია, ისეთი შეთანხმება იგულისხმება, რომელიც თემისთვის იქნებოდა მისაღები). ცნობისთვის: მუსლიმი თემი სასამართლოსგან, მერიის გადაწყვეტილების დისკრიმინაციულად ცნობასთან ერთად, მუნიციპალიტეტისთვის მეჩეთის მშენებლობის დასაწყებად ნებართვის გაცემის დავალდებულებასაც ითხოვდა, რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა: „ეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის დისკრეციული უფლებამოსილებაა“, — განაცხადა მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძემ და დასძინა, რომ ნებართვას არა სასამართლო, არამედ მერია გასცემს.

შეგახსენებთ, რომ აჭარის მუსლიმური თემი, უკვე ორი წელია, ბათუმის მერიასთან სასამართლოში დავობს და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ახალი მეჩეთის აშენების ნებართვას ითხოვს. პროცესზე მათ ინტერესებს უცხოეთიდან, კერძოდ, სოროსის ფონდიდან დაფინანსებული „არასამთავრობო“ ორგანიზაციები — TDI (ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი) და EMC (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი) იცავდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, აღნიშნული ორგანიზაციები სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილნი არ არიან და თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სამართლებრივ დავას მომავალშიც განაგრძობენ...

რა საფრთხეებს შეიცავს აჭარაში ისლამიზაციის პროცესი, რას შეცვლის რეგიონში კიდევ ერთი მეჩეთის აშენება და რა ძალა დგას ამ ყველაფრის უკან?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, რამდენიმე დღის წინათ ბათუმის საქალაქო სასამართლომ დისკრიმინაციულად ცნო ბათუმის მერიის მიერ ორი წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც თავის დროზე მუსლიმანურ თემს უარი ეთქვა ქალაქის ცენტრში მეჩეთის აშენებაზე. ამ საკითხზე ადრეც არაერთხელ გვისაუბრია, მაგრამ ამჯერადაც განვუმარტოთ საზოგადოებას: რა საფრთხეა დღეს ჩვენთვის ისლამიზაცია, რა საფრთხეა მეჩეთების მშენებლობა და ვის ინტერესებში შეიძლება იყოს ეს ყველაფერი.**

— სანამ უშუალოდ ამ საკითხზე ვისაუბრებთ, მინდა, გაგახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** ამასწინდელი გამოსვლა გაეროს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე. მან განაცხადა, რომ მომავალი არ ეკუთვნით გლობალისტებს, არამედ ეკუთვნით პატრიოტებს, სუვერენულ და დამოუკიდებელ ერებს... ახლა — რატომ ვახსენე ეს გამოსვლა. ცივილიზებული სამყარო უკვე, დიდი ხანია, მიხვდა, რომ გლობალისტური ელიტის მიერ დამკვიდრებულმა ე.წ. მულტიკულტურიზმის თეორიამ მას, პრაქტიკულად, წაართვა ყველა ინსტიტუტი, რომელიც კი კაცობრიობის ზნეობრივი სიჯანსაღის საფუძველია. ადამიანს პრაქტიკულად უთხრეს, რომ მისი ეროვნული თვითმყოფადობა, კულტურული, რელიგიური იდენტობა მხოლოდ პირობითია და ეს არ უნდა იყოს მსოფლიოს საზოგადოებაში არაფრის განმსაზღვრელი, თუმცა აქ კიდევ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი: ამ იდეოლოგიურმა ექსპანსიამ, ამ გლობალისტურმა ექსპერიმენტებმა სრულიად მსოფლიო კი არ მოიცვა, პირველი და უმთავრესი მისი საცდელი ობიექტი გახდა ქრისტიანული სამყარო. აი, ზუსტად აქ მოხდა ოჯახის ინსტიტუტის შერყევა, აქ მოხდა მამათმავლობის პროპაგანდა და ა.შ. სხვა კულტურებში რა ხდება, მაგალითად ისლამური სამყაროში? **მუსლიმანურ ქვეყნებში არათუ მოხდა ეს ე.წ. მოდერნიზაცია, პირიქით — ამ იდეოლოგიურ ჭიდილში მათ კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი ფასეულობები. რაც შეეხება საქართველოს და კონკრეტულად ბათუმის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ცხადია, „ლიბერალური“ პროპაგანდა აქტიურად ცდილობს, გაამარგინალოს და სასაცილო გახადოს აზრი, რომ მეჩეთების მშენებლობა საფრთხის შემცველია, მაგრამ გადავხედოთ ჩვენს ისტორიულ წარსულს, რას გვეუბნება ისტორიული გამოცდილება...**

**— რას გულისხმობთ?**

— რისი შედეგია თუნდაც ის, რომ დღეს აჭარაში მუსლიმანური მოსახლეობა თითქმის ნახევარია (მეტი თუ არა)? რომელმა ისტორიულმა პროცესმა განაპირობა ეს ყველაფერი? ახლა ვიღაცა იტყვის, მაშინ სხვა ეპოქა იყო და სხვა პრინციპებით მართავდნენ სამყაროსო, მაგრამ ჩნდება მარტივი შეკითხვა — **რა პრინციპებით იმართებოდა მსოფლიო 1921 წელს, როცა თურქეთმა აჭარის ოკუპაცია მოახდინა?** არ ვლაპარაკობ იმ სამასწლიან ბატონობაზე, რომელსაც რეგიონი ოსმალეთის იმპერიის პერიოდში განიცდიდა.

**— გინდათ, თქვათ, რომ დღესაც შეიძლება არსებობდეს თუნდაც რაღაც თეორიული საფრთხე, რომ თურქეთმა ისევ მოახდინოს რეგიონის ოკუპაცია?**

— იმპერიებს და განსაკუთრებით ისეთ აგრესიულ იმპერიებს, როგორიც ოსმალეთი იყო, ახასიათებთ ერთი რამ: ყველა მიწას, ყველა ტერიტორიას, რომელიც ოდესმე ყოფილა მის შემადგენლობაში, ყოველთვის განიხილავს თავისი გავლენის სფეროდ. ეს შეიძლება იყოს ღიად დეკლარირებული, შეიძლება — ირიბად, ვითარებას გააჩნია, თუმცა **დღევანდელ თურქეთს აჭარაში საკუთარი ინტერესები აქვს, მათ შორის ეკონომიკურიც, — და ეკონომიკური ბატონობა გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია — ეს სიახლე, ალბათ, არავისთვისაა.**

მეჩეთებს რაც შეეხება, თურქეთი თავისი იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად ყოველთვის იყენებდა რელიგიას. ის ამა თუ იმ კულტურაში, ამა თუ იმ ცივილიზაციაში თავისი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ბატონობის გასამყარებლად ყოველთვის მიმართავდა აგრესიულ ისლამიზაციას. ზუსტად ამ პროცესის ხორცშესხმული შედეგი იყო ის, რომ, ფაქტობრივად, ცეცხლითა და მახვილით ამუსლიმანებდნენ აჭარის ქართველობას 300 წლის განმავლობაში. ეს ერთი. და მეორე — ის, რომ საქართველოში მოქმედი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები გამწარებული იცავენ მუსლიმანური თემის უფლებებს, რაც, თურმე, ბათუმის მერიას უხეშად დაურღვევია მეჩეთის აშენებაზე უარის თქმით, მაფიქრებინებს, რომ ამ ორგანიზაციებს, შესაძლოა, კავშირები ჰქონდეთ გარკვეულ თურქულ ფონდებთან.

**— არასამთავრობო ორგანიზაციები ახსენეთ და ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ მათი საქმიანობით? სასამართლოში მუსლიმანური თემის ინტერესებს ორი არასამთავრობო ორგანიზაცია იცავდა...**

— ყველა ნორმალურ სახელმწიფოში, სადაც საზოგადოებამ გამოიღვიძა და კონსერვატიული მოძრაობა დაიწყო, დადგა ასეთი ორგანიზაციების ან მკაცრად გაკონტროლების, ან საერთოდ აკრძალვის საკითხი. რაც შეეხება კონკრეტულ ე.წ. არასამთავრობოებს, არ მგონია, რომ ერთ ან ორ ორგანიზაციაშია პრობლემა, პრობლემა არის მახინჯ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც გარედან მართულ და დაფინანსებულ მეხუთე კოლონას, პრაქტიკულად, სახელმწიფოს მართვის შესაძლებლობას არ აძლევს. წარმოიდგინეთ, **სასამართლო არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელისუფლო შტო და ეს შტო გადაწყვეტილებას იღებს არა ქვეყნის უსაფრთხოებიდან ან საზოგადოებაში არსებული განწყობებიდან გამომდინარე, არამედ ორი უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციის კარნახით. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა პრაქტიკულად არის სოროსის გრანტით დაფინანსებულ ტრენინგებზე დაპროგრამებული რობოტების ხელში.** მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და იმ მოსამართლეზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა, რომელმაც ბათუმის მერიის უარი მეჩეთის აშენებაზე დისკრიმინაციად შეაფასა. თუ არ ვცდები, მოსამართლე **ჯუმბერ ბეჟანიძე** იყო. როგორც ვიცი, პროცესზე გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ითქვა, რომ მერიის უარი დაუსაბუთებელია, რადგან, თურმე, მას თავის დროზე ეკლესიების მშენებლობაზე არ ჰქონია ანალოგიური პოზიცია.

**«პრობლემა არის მახინჯ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც გარედან მართულ და დაფინანსებულ მეხუთე კოლონას, პრაქტიკულად, სახელმწიფოს მართვის შესაძლებლობას არ აძლევს... ქვეყანა პრაქტიკულად არის სოროსის გრანტით დაფინანსებულ ტრენინგებზე დაპროგრამებული რობოტების ხელში. სანამ სასამართლო სისტემას თავზე ასხედან მურუსიძეები და ჩინჩალაძეები, სანამ ქვეყანაში სამართალს განსაზღვრავენ ასეთი ოდიოზური ფიგურები და, რაც დრო გადის, კიდევ უფრო უარესი კადრებით კომპლექტდება ეს სისტემა, უკეთესობის იმედი ნურავის ექნება»**

**— როგორ შეიძლება, ქვეყანამ აიცილოს საფრთხეები? როგორ შეიძლება, გაჯანსაღდეს პოლიტიკური სისტემა?**

— სანამ სასამართლო სისტემას თავზე ასხედან მურუსიძეები და ჩინჩალაძეები, სანამ ქვეყანაში სამართალს განსაზღვრავენ ასეთი ოდიოზური ფიგურები და, რაც დრო გადის, კიდევ უფრო უარესი კადრებით კომპლექტდება ეს სისტემა, უკეთესობის იმედი ნურავის ექნება. მეჩეთს კი არა, მეჩეთებს ააშენებინებენ და ამას ისე ჩუმად, ისე მზაკვრულად იზამენ, რომ ხალხი ვერც გაიგებს.

რაც შეეხება გამოსავალს, ერთადერთი, რამაც ხელისუფლებაში მოკალათებულ ლიბერალურ ისტებლიშმენტს შეიძლება თავზარი დასცეს, არის შეკრული საზოგადოება, რომელიც მკაცრად გააპროტესტებს ამ ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას. თუმცა ჩვენ, **პოლიტიკური მიდგომების შეცვლა კი არა, არსებული კლანების გასტუმრება უნდა მოვითხოვოთ, რადგან უაზრობა მგონია, მათ ცვლილებები მოსთხოვო.** სხვათა შორის, ბოლო პერიოდში პოლიტიკაში შეინიშნება რაღაც ტენდენციები, რომლებიც მიანიშნებს, რომ გარკვეულ ლიბერალურ ძალებს სურთ, შეიქმნან ეროვნული ძალის იმიჯი. მათ შორის „ოცნებაშიც“ არიან ასეთები და მათ უკვე ერთგვარი დოლი აქვთ გამართული კონსერვატიული ნიშის დასაკავებლად... მაგრამ იმედი მაქვს, საზოგადოება აღარ წამოეგება ცრუ დაპირებების ანკესზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ გავხდებით დიდი პოლიტიკური აფიორის მომსწრენი, რომლის მცდელობაც მსოფლიოში მიმდინარე ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში აუცილებლად იქნება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**თუკი ქალები და მამაკაცები ერთმანეთს შეიძულებენ და შეიზიზღებენ, სრულფასოვანი საზოგადოებაც აღარ შედგება. აკი, საზოგადოებას სწორედ ქალები და მამაკაცები შეადგენენ და, თუ მათი მთავარი „საქმე“ ერთმანეთის ზიზღი და ერთმანეთის მიმართ ჯიბრში ჩადგომა იქნება, ეს საზოგადოების დეგრადაციასა და ოჯახების ნგრევას გამოიწვევს, რაც ლიბერასტული წრეების მთავარი მიზანია. უამრავი ქალი, სამწუხაროდ, უკვე დაარწმუნეს, რომ მამაკაცებს „არ უნდა დაემორჩილონ“, „უნდა შეეწინააღმდეგონ “, უნდა „ჩაუსაფრდნენ“ ყოველ სიტყვაში, არ მისცენ ქალთა „შევიწროების“ უფლება და ა.შ.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს აბსტრაქტულ-აბსურდული სათაური ზუსტად ასახავს იმ უაბსურდულეს სიტუაციას, რომელიც დღეს საქართველოში (ალბათ, მსოფლიოშიც) არის გამეფებული ამ კუთხით. კერძოდ, საუბარია ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა თუ თანასწორუფლებიანობის „სოუსით“ მოწოდებულ იმ სრულ შტერობაზე, რომელსაც ასე მომრავლებული „ენ-ჯი-ოები“ და სხვა „ლიბერასტული“ ორგანიზაციები გვტენიან ცხვირში. დიახ, თუ მათ დავუჯერებთ, ამ სათაურში მოცემული პირველი ფრაზა მამაკაცებს უნდა გვეწყინოს და „გავიბუტოთ“, ხოლო მეორე ფრაზა — ქალებს. არადა, რეალურად, მამაკაცებს არაფერი გვწყინს, ქალებს კი ყველაფერი სწყინთ. მაგალითისთვის ახალგაპოლიტიკოსებული მამუკა ხაზარაძის სულელური ფრაზაც იკმარებს — „მაია ცქიტიშვილი, შესაძლოა, კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ ინფრასტრუქტურის გაგებაში არ არის!“**

# ვინ შეკაზმავს ცხენს და ვინ შეკაზმავს ლობიოს?



დიახ, **მამუკა ხაზარაძის** ფრაზა ერთობ სულელური და უაზროა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ფრაზის სულელურობის გამო არ ამტყდარა აურზაური. ზეაქტიური დიაცების კოჰორტამ აქ „ქალის დისკრიმინაცია“ დაინახა და ამის გამო ატყდა, მაგრამ რა ატყდა! საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ **ინგა გრიგოლიამ** ტელესტუდიაში ცომი მოზილა, ხოლო იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** მამუკა ხაზარაძეს სულ „კუხნის“ ქალების მოყვარული“ უძახა...

მოკლედ, ფრაზა იმის შესახებ, რომ ქალი, შესაძლოა, კარგად აცხობდეს ხაჭაპურს, აღქმული იქნა, როგორც ქალების სასტიკი შეურაცხყოფა, ქალთა სიძულვილი, მათი გაუგონარი დაკნინება და დისკრიმინაცია.

ამიტომაც ვფიქრობ, ძალიან გავრისკე, სათაურში ლობიოს შეკაზმვის თემა რომ შემოვაგდე. როცა ხაჭაპურის გამოცხობაზე ლაპარაკს მძიმე დანაშაულად აღიქვამენ, ლობიოს ამოლესვა-შეკაზმვაზე ენის მობრუნების გამო, შესაძლოა, ჩემი სამუდამოდ დაპატიმრებაც კი მოითხოვონ.

არადა, მაინტერესებს, **ვინმემ რომ თქვას საჯაროდ ანალოგიური ფრაზა მამაკაც პოლიტიკოსზე, მაგალითად, ეგ კაცი შეიძლება, ძალიან კარგად წვავს მწვადს, მაგრამ არაფერი არ გაეგება პოლიტიკისო, ნეტავ, აღიქვამენ თუ არა ამას მამაკაცების დისკრიმინაციად? ასეთ შემთხვევაში „ტვ-პირველის“ სტუდიაში, პირდაპირ ეთერში ააბოლებს თუ არა მაყალს ვახო სანაია და წამოაგებს თუ არა ღორის სუკებს შამფურზე მამაკაცთა დისკრიმინაციისადმი პროტესტის ნიშნად?**

რაღა შორს წავიდეთ, აგერ თვალნათელი მაგალითი უახლოესი წარსულიდან — „ქართული ოცნების“ დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი მთაწმინდის რაიონში, ბატონი **ლადო კახაძე.** დიახ, მასზე მთელი წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში გაიძახოდნენ ოპონენტები: **ის შეიძლება შესანიშნავი თამადაა, მაგრამ არაფერი არ გაეგება პოლიტიკისო.** ეს რატომ არ იქნა აღქმული „ქალებისა და კუხნის“ ანალოგიურად?

რატომ არ ატეხა არავინ პანიკა — არიქა, მამაკაცებს აღგვიქვამენ, მხოლოდ როგორც სუფრაზე მოქეიფე სუბიექტებს, როგორც ლიპიან თამადებს და მათ სძულთ მამაკაცი სუფრის გარეთო? **რატომ არავინ არ დაიწყო მტკიცება, რომ „მამაკაცებს, სუფრაზე თამადობის გარდა, სხვაც ბევრი რამ შეგვიძლია“ და მამაკაცთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად რატომ არავინ არ დაიწყო ყანწების ტრიალი პირდაპირ ეთერში?** ძნელია, ამ სისულელეებზე ირონიის გარეშე ისაუბრო, მაგრამ დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ სინამდვილეში საირონიოდ სულაც არ გვაქვს საქმე.

ასეთი ტენდენციების „გატრენდება“ და **ყველაფერზე ყვირილი, რომ მამაკაცები ქალებს ჩაგრავენ, „სათამაშოებად აღიქვამენ“, „კუხნის“ იქით ქალს არ ცნობენ“ და ა.შ., კონკრეტულ მზაკვრულ მიზანს ისახავს და ეს მიზანი მეტ-ნაკლები წარმატებით შესრულებულია — ქალების გარკვეულ ნაწილს უკვე გაუჩინეს მამაკაცების მიმართ პროტესტის, შეუგუებლობის, სიძულვილის განცდაც კი.**

**ყველაფერზე ყვირილი, რომ მამაკაცები ქალებს ჩაგრავენ, «სათამაშოებად აღიქვამენ», «კუხნის» იქით ქალს არ ცნობენ» და ა.შ., კონკრეტულ მზაკვრულ მიზანს ისახავს და ეს მიზანი მეტ-ნაკლები წარმატებით შესრულებულია — ქალების გარკვეულ ნაწილს უკვე გაუჩინეს მამაკაცების მიმართ პროტესტის, შეუგუებლობის, სიძულვილის განცდაც კი**

მიზანი ნათელია — **თუკი ქალები და მამაკაცები ერთმანეთს შეიძულებენ და შეიზიზღებენ, სრულფასოვანი საზოგადოებაც აღარ შედგება. აკი, საზოგადოებას სწორედ ქალები და მამაკაცები შეადგენენ და, თუ მათი მთავარი „საქმე“ ერთმანეთის ზიზღი და ერთმანეთის მიმართ ჯიბრში ჩადგომა იქნება, ეს საზოგადოების დეგრადაციასა და ოჯახების ნგრევას გამოიწვევს, რაც ლიბერასტული წრეების მთავარი მიზანია. უამრავი ქალი, სამწუხაროდ, უკვე დაარწმუნეს, რომ მამაკაცებს „არ უნდა დაემორჩილონ“, „უნდა შეეწინააღმდეგონ“ უნდა „ჩაუსაფრდნენ“ ყოველ სიტყვაში, არ მისცენ ქალთა „შევიწროების“ უფლება და ა.შ.**

ასეთ ვითარებაში ცხოვრება და თანაარსებობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია და ეს, საბოლოოდ, ოჯახის დანგრევას იწვევს, თუკი შექმნამდე მაინც მივიდა საქმე. აქვე დავაზუსტებ, რომ სულაც არ ვამტკიცებ იმას, თითქოს ოჯახების დანგრევა მხოლოდ ამ მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული ყველა შემთხვევაში, მაგრამ ფაქტია, რომ განქორწინებების მაჩვენებელმა კატასტროფულად მოიმატა და ქალებიც სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ მათ მიერ ოჯახის დანგრევის მიზეზი ქმრის მხრიდან მისი „უფლებების დარღვევა“ იყო.

„უფლებების დარღვევაში“ კი, როგორც წესი, იგულისხმება ის, რომ ქმარი არ რეცხავს თეფშებს ან არ წმენდს იატაკს და ამ მოვალეობებს მხოლოდ ცოლს აკისრებს. ასეთ ქალებს რატომღაც არ ახსენდებათ, რომ, დავუშვათ, ავტომობილის გახეთქილ საბურავს მხოლოდ ქმარი ცვლის და ა.შ. ასეთ თემებზე ნორმალურმა ადამიანებმა, წესით, არც უნდა ილაპარაკონ და ამის სერიოზულად განხილვა კომიკურიც კია, მაგრამ, სამწუხაროდ, მიგვიყვანეს იმ ზომამდე, რომ ეს ჩვენი საზოგადოების ლამის პირველ პრობლემად იქცა.

სხვათა შორის, **არც ის არის ნორმალური, როდესაც ლამისაა, ყოველდღე რომელიღაც ქალი საზოგადოებისათვის ცნობილ ან მაღალ საზოგადოებრივ საფეხურზე მდგომ მამაკაცს მასთან ძალადობრივი გზით სექსუალური კავშირის დამყარების მცდელობაში ადანაშაულებს.**

ესეც ერთგვარ ტრენდად იქცა და ამის მიზანი მამაკაცების მოძალადეებად წარმოჩენაა. მე, რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რომ მსგავსი რამ არ ხდება და არც რომელიმე კონკრეტული შემთხვევის განხილვას არ ვაპირებ, მაგრამ ზოგადი ტენდენცია გვაძლევს იმის საფუძველს, რომ „ძალადობის მსხვერპლი“ ქალების მონაყოლში ხშირ შემთხვევაში ეჭვი შევიტანოთ.

მეც არაერთხელ ვყოფილვარ მსხვერპლი ისეთი ქალებისა, რომლებიც ცდილობდნენ, თავი ჩემს „მსხვერპლად“ დაეხატათ. ასეთ ბრალდებებს მიყენებდნენ ქალები, რომლებსაც არათუ შევხებივარ, ნორმალურად არც კი შემიხედავს მათთვის.

სხვათა შორის, გარკვეული კატეგორიის ქალების მხრიდან ასეთი საქციელი ახალი ამბავი სულაც არ არის და მამაკაცთან ანგარიშსწორების ასეთი მეთოდი ჯერ კიდევ ბიბლიაშია აღწერილი: როდესაც **იოსები** ეგვიპტელ დიდებულ **ფოტიფარს** მსახურად დაუდგა, ფოტიფარის ცოლმა მოინდომა წარმოსადეგი გარეგნობის იოსებთან გართობა. იოსები თავისი პატრონის ერთგული იყო და ეს არ იკადრა. მისი ასეთი მკაცრი უარი ფოტიფარის ცოლმა „ქალურ შეურაცხყოფად“ აღიქვა და ქმარი დაარწმუნა, რომ იოსები მის გაუპატიურებას ცდილობდა. ასე აღმოჩნდა იოსები ციხეში.

რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებ, რომ ყველა გახმაურებული შემთხვევა, რომლებზეც ახლა საზოგადოება მსჯელობს, ანალოგიურია. არაერთი ისეთი შემთხვევაც ვიცი, როდესაც არანაირი პროვოკაცია არ მოუწყვია ქალს და მამაკაცი მართლაც უკადრისად და უღირსად შეეცადა მასზე ძალადობას. იმაშიც ვეთანხმები საზოგადოებას, რომ თუნდაც პროვოცირების შემთხვევაშიც კი მამაკაცის მხრიდან ძალადობა მიუღებელია.

მაგრამ, **თუ საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როდესაც ძალადობა საერთოდ არ მომხდარა, მაშინ? მართლები ვართ საკუთარ თავთან, როდესაც მამაკაცს ასე დაუსაბუთებლად, ბრალდების დაუმტკიცებლად, დაუნდობლად ვესვრით ტალახს და მოძალადეს, ღორს, მუტრუკს ვუწოდებთ და სხვა დამამცირებელი ეპითეტებით ვამკობთ?**

სოციალურ ქსელში არაერთ გვერდზე წავიკითხე, მდედრობითი სქესის მომხმარებლები როგორ ამუნათებენ სხვა მდედრებს, რომლებიც ასე თუ ისე მაინც სიფრთხილით ეკიდებიან ამ საკითხს და გარკვეულ ეჭვებსაც გამოთქვამენ „მსხვერპლის“ მიმართ — „ნუთუ თქვენში ქალური სოლიდარობა არ არსებობს?“

აი, ეს არის მთავარი „ანკესი“, რომლითაც ცდილობენ, მდედრობითი სქესი „გამოიჭირონ“ და, სამწუხაროდ, ბევრი ეგება ამ ანკესზე. სინამდვილეში კი, **რა შუაშია ან „ქალური“, ან „კაცური“ და ან კიდევ ნებისმიერი სხვა სახის „სოლიდარობა“, როდესაც საუბარია ადამიანის ჩაწიხვლაზე, ჩაქოლვაზე და მისთვის მთელი ცხოვრების არევაზე?!**

საქმეც ის არის, რომ ხსენებული „ლიბერასტული“ წრეები არად დაგიდევენ ამას, და ქალებისგან ითხოვენ, „ქალური სოლიდარობა“ გამოიჩინონ ყველგან და ყოველთვის, ყველაფრის მიუხედავად და ყველაზე მკაცრი და კატეგორიული ფორმით.

დაშვებაც კი იმისა, რომ ქალი შეიძლება ცრუობდეს და თვითონ აშანტაჟებდეს უდანაშაულო მამაკაცს, ასეთი „მოფემინისტკო-მოლიბერასტკო“ მდედრებისგან აღიქმება სრულიად საქალეთის მიმართ ჩადენილ დანაშაულად.

ბევრგან წავიკითხე, მყისიერად რატომ არ დააპატიმრეს მოძალადე მამაკაციო. აი, ასეთ მიდგომას, ასეთ აზროვნებას, მართლა აღარ ვიცი, რა ჰქვია. საზოგადოების ეს ნაწილი მზად არის, ყველა, ვინც არ მოეწონება, ციხეში ჩაალპოს მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეშე...

ამის შემდეგ განა შეიძლება, გვიკვირდეს ამდენი ოჯახის დანგრევა ან რაიმე საზოგადოებასა და ჩამოყალიბებულ სახელმწიფოზე საუბარი?

**რა შუაშია ან «ქალური», ან «კაცური» და ან კიდევ ნებისმიერი სხვა სახის «სოლიდარობა», როდესაც საუბარია ადამიანის ჩაწიხვლაზე, ჩაქოლვაზე და მისთვის მთელი ცხოვრების არევაზე?!**

ხალხი და ხელისუფლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოფლის მეურნეობის პროდუქტები არ იბეგრება და სოფლის მეურნეობის პროდუქტებში შედის რძის ნაწარმი, მაგრამ არ შედის ქათამი და კვერცხი, ანუ ისინი იბეგრება. რატომ? იმიტომ, რომ ფერმერებს ნამატი ფული არ გაუჩნდეთ, არ გაუჩნდეთ გაფართოების სურვილი და კვერცხისა და გაყინული, ხშირ შემთხვევაში საკვებად უვარგისი ბარკლების შემომტანებს პრობლემები არ შეექმნათ. ვინმემ ერთხელ მაინც აგვიხსნა, რატომ არ არის კვერცხი სოფლის მეურნეობის პროდუქტი? არა? იმიტომ, რომ ამას ახსნა არ აქვს და ხომ არ იტყვიან: შემომტანი კომპანიის „კრიშების“ გაბრაზება არ გვინდაო?!**

# ლამის ორჯერ გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, ორჯერ და მეტჯერ გაძვირებული პროდუქტები, უკიდურესი გაჭირვება და განცდა იმისა, რომ საშველი არ ჩანს

**იმის მიუხედავად, რომ არაერთხელ დავწერეთ, რა დღეში ჩავარდა საქართველოს მოსახლეობა, როგორ მოიმატა ფასებმა და ისიც ვთქვით, სახელმწიფო გადამჭრელ ზომებს თუ არ მიიღებდა, პროდუქტის გაძვირებისა და ინფლაციის შეჩერება ვერ მოხერხდებოდა, ჩვენი არავინ არ გაიგონა; ან პირიქით — გაიგონეს და, უბრალოდ, გამოსავალი არც კი უძებნიათ. ასეა თუ ისე, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სექტემბრის ბოლოს მორიგი განახლებული მაჩვენებლები გამოაქვეყნა და, როგორც ბოლო პერიოდში ხდება ხოლმე, ეს მაჩვენებელი კვლავ ინფლაციასა და პროდუქტის გაძვირებას ასახავს.**

## საქართველო 15 ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის ყველაზე გაჭირვებული და ყველაზე ჩამორჩენილია?

სექტემბრის მაჩვენებელი იმითაც არის საინტერესო, რომ საქართველოში ფასების საერთო დონემ 6,4%-ით მოიმატა. ასეთი ინფლაცია ქვეყანაში 2017 წლის შემდგომ არ ყოფილა. იმავე „საქსტატის“ მონაცემებით, ინფლაციის მატებაზე ყველაზე დიდი გავლენა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების გაძვირებამ გამოიწვია. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად გაძვირებული პროდუქტი რიგითი მომხმარებლის ჯიბეს ურტყამს, თორემ ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ: ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომელთა ხელფასი 5 ათას ლარს ზემოთ არის, გაძვირებას ნაკლებად გრძნობენ. საზოგადოდ კი, ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ფასების მატება ასეთია:

**სურსათი და უალკოჰოლო სასმელები:** ჯგუფში ფასები გაიზარდა 11,7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 3,49 პროცენტული პუნქტით აისახა. თევზეული (16,1 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (14,6 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (13,2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (12,6 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (10,8 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (10,1 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (7,6 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (3,0 პროცენტი). ეს იმას ნიშნავს, რომ გაძვირდა ძირითადი საკვები პროდუქტი, ანუ ის, რითაც ხალხი შიმშილს ებრძვის (ჰო, კი არ იკვებება, შიმშილს ებრძვის).

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, შესადარებლად ორ ძალიან საინტერესო სტატისტიკურ მონაცემს შემოგთავაზებთ. პირველი ასახავს იმას, **რა გაძვირდა ყველაზე მეტად სექტემბერში**, ხოლო მეორე — **რა გაიაფდა ყველაზე მეტად შემოდგომის პირველ თვეს.** მაშ ასე, ჯერ **გაძვირებული პროდუქტები** ჩამოვთვალოთ — საზამთრო (ფასმა მოიმატა 91,2%-ით), ნიორი — 90,8%-ით, საქალაქთაშორისო ტელეფონის გადასახდელი (?!) — 68,3%-ით, მწვანე ლობიო — 48,5%-ით, ქლიავი — 44,9%-ით, ატამი — 39,3%-ით, ხახვი — 35,6%-ით, მუზეუმის ბილეთი (?!) — 33,9%-ით, შაქარი — 33,7%-ით, ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტი — 29,8%-ით. შესაძლოა, ვინმე შემოგვედაოს: ხილი სეზონურია და გაძვირებაც ამან გამოიწვიაო, მაგრამ ხახვი? შაქარი? მუზეუმის ბილეთები რატომ გაძვირდა ან ტელეფონით სარგებლობა რატომ გაორმაგდა?

ახლა ის არის საინტერესო, რა გაიაფდა ყველაზე მეტად საქართველოში სექტემბერში. „საქსტატის“ მონაცემებით, თურმე, ყველაზე მეტად USB ფლეშბარათი გაიაფდა და მისი ფასი 21,6%-ით შემცირდა. შემდეგი გაიაფებული „პროდუქტები“ ასე გამოიყურება: ქალის დემისეზონური (გარდამავალი სეზონის) სამოსი, ფეხსაცმელი — 19,2%-ით, მწვანილი — 16,4%-ით, მამაკაცის სვიტერი — 16,0%-ით, ქალის ქვედაკაბა — 15,0%-ით, ქალის ჩექმა — 13,5%-ით, მამაკაცის დათბუნებული ქურთუკი (ე.წ. დუტი) — 13,3%-ით, მამაკაცის შარვალი — 12,4%-ით, ბიუსტჰალტერი — 11,8%-ით, მამაკაცის ფეხსაცმელი — 11,6%-ით.

გაიაფებული პროდუქტების ტოპათეულში ერთადერთი, რისი ჭამაც შეიძლება, მწვანილია. აბა, როგორ არ გავიხსენოთ **ჭაბუა ამირეჯიბის** „დათა თუთაშხია“ და **სანდრო კარიძის** ნათქვამი: **„ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მხოლოდ ერთი საქმე აქვს – სძოვოს“.** ჰოდა, ეჭვი გვაქვს, მწვანილიც ამიტომ გააიაფეს, რომ ვძოვოთ... ბარემ ისიც ვთქვათ, რომ 2016 წელს საქართველოში ზარ-ზეიმით შემოსული ბელარუსული მაღაზიების ქსელი „ბელარუსკი“ ქართულ ბაზარს ტოვებს. ხუთი საფირმო მაღაზიიდან ოთხი უკვე დაიხურა და თვის ბოლოს მუშაობას მეხუთეც შეწყვეტს. შეგახსენებთ, რომ მაღაზიებში 300 სახეობის მხოლოდ ბელარუსული ნაწარმი იყიდებოდა და ეს ქსელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყანაში მუშაობს... საქართველოს გარდა. **ხომ არ არის ეს იმის მაჩვენებელი, რომ საქართველო იმ 15 რესპუბლიკას შორის, დღევანდელი მდგომარეობით, ყველაზე გაჭირვებული და ყველაზე ჩამორჩენილია?**

ამის ფონზე, ხელისუფლება ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ ყველაფერი რიგზეა და საგანგაშო არაფერი არ ხდება. არადა, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ინფლაციისა და პროდუქტის გაძვირების ფონზე, **ხელფასების მომატების მოთხოვნაც კი აბსურდულია, რადგან საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია, არ მუშაობს და ხელფასი ვის უნდა მოემატოს — პარლამენტარებსა და მინისტრებს, რომლებსაც ისედაც სოლიდური შემოსავალი აქვთ?**

ნამდვილად არ გვეგონა (ალბათ, არც არავის ეგონა), რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან შვიდი წლის შემდეგ ეს რეალობა გვექნებოდა: **ლამის ორჯერ გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, ორჯერ და მეტჯერ გაძვირებული პროდუქტები, უკიდურესი გაჭირვება, სიღარიბე და, რაც მთავარია,** განცდა იმისა, რომ საშველი არ ჩანს. პოლიტიკური ნიჰილიზმის გარდა, ხალხს მომავლის იმედიც დაეკარგა და ამას დაუფარავად ამბობს. **ამომრჩეველს აღარ სჯერა არანაირი დაპირების, ყველას ქვეყნიდან გაქცევაზე უჭირავს თვალი და ფიქრობს, რომ უცხოეთში უკეთესად იქნება. სამაგიეროდ, სხვები ფიქრობენ, რომ საქართველოში უკეთესია და აქ ჩამოდიან, მინიმალური თანხები მოაქვთ საკუთარი ქვეყნიდან, აქ ბიზნესს იწყებენ და ადგილობრივ მოსახლეობას მათხოვრულ ხელფასზე ამუშავებენ. სწორედ უკიდურესი გაჭირვების ბრალია გაუარესებული დემოგრაფიული სტატისტიკა, სწორედ უფულობის გამო ცდილობენ ოჯახები, ერთ შვილზე მეტი არ იყოლიონ და ესეც იმ შემთხვევაში, თუ გარისკავენ და ოჯახს შექმნიან.** დიახ, ოჯახის შექმნა რისკთან გაიგივდა, რადგან ოჯახს მეტი სჭირდება, ოჯახს შენახვა და რჩენა უნდა და ეს ფუნქციები როგორც კაცს, ისე ქალს თანაბრად აქვთ გადანაწილებული, რადგან მხოლოდ ერთის მათხოვრული ხელფასი ყველაფერს ვერ სწვდება.



**ხელისუფლება ცდილობს, დაგვიმტკიცოს, რომ ყველაფერი რიგზეა და საგანგაშო არაფერი არ ხდება. არადა, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ინფლაციისა და პროდუქტის გაძვირების ფონზე ხელფასების მომატების მოთხოვნაც კი აბსურდულია, რადგან საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია, არ მუშაობს და ხელფასი ვის უნდა მოემატოს — პარლამენტარებსა და მინისტრებს, რომლებსაც ისედაც სოლიდური შემოსავალი აქვთ?**

წელან ბელარუსი ვახსენეთ და, იმის მიუხედავად, რომ ამ ქვეყნის ლიდერს, **ალექსანდრე ლუკაშენკოს, ქართული ოპოზიცია არცთუ იშვიათად დიქტატორად მოიხსენიებს, ფაქტია, რომ იქ დასაქმებას უდიდესი ყურადღება ექცევა და ფაბრიკა-ქარხნები მუშაობს. ისიც ფაქტია, რომ ბელარუსებს საკუთარი ნაწარმი სხვადასხვა ქვეყანაში გააქვთ და საქართველოშიც 300 სახეობის პროდუქცია შემოიტანეს. ჩვენს ქვეყანასთან რომ გავავლოთ პარალელი, ლუდის, ლიმონათის, მინერალური წყლების გარდა, რა გვაქვს ისეთი, ექსპორტისთვის რომ ვარგა?** რძის პროდუქტები? ხორცპროდუქტები? და კიდევ? მეტი არაფერი, იმიტომ, რომ არაფერს არ ვაწარმოებთ და იმავე ბელარუსის მაგალითზე შეიძლება თქმა, რომ იქაური ნაწარმის ყველაზე დიდი მომხმარებლები თვითონვე არიან, რადგან ადგილზე ნაწარმოები პროდუქცია არ არის ძვირი, არ სჭირდება ტრანსპორტირება და განბაჟება, ჩვენთან კი... ბოლოს და ბოლოს, **ამდენი წელია, გავყვირით: კვერცხის ადგილობრივი წარმოება მოთხოვნის მხოლოდ 15-17%-ს აკმაყოფილებს, დანარჩენი შემოგვაქვსო. რით ვერ დავადგით თავი, რომ კვერცხი მაინც გვქონდეს ჩვენი?** მაგრამ არა, შემოტანილი კვერცხი ცალკე თემაა, მას კულუარებში თეთრ ოქროსაც ეძახიან, ამიტომ არაოფიციალურად აკრძალულიც კი არის იმდენი კვერცხის წარმოება, ადგილობრივი ბაზარი რომ დააკმაყოფილოს. ეს არაოფიციალურად, ოფიციალურად კი გეტყვით — **ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტები არ იბეგრება და სოფლის მეურნეობის პროდუქტებში შედის რძის ნაწარმი, მაგრამ არ შედის ქათამი და კვერცხი, ანუ ისინი იბეგრება. რატომ? იმიტომ, რომ ფერმერებს ნამატი ფული არ გაუჩნდეთ, არ გაუჩნდეთ გაფართოების სურვილი და კვერცხისა და გაყინული, ხშირ შემთხვევაში საკვებად უვარგისი ბარკლების შემომტანებს პრობლემები არ შეექმნათ. ვინმემ ერთხელ მაინც აგვიხსნა, რატომ არ არის კვერცხი სოფლის მეურნეობის პროდუქტი? არა? იმიტომ, რომ ამას ახსნა არ აქვს და ხომ არ იტყვიან, შემომტანი კომპანიის „კრიშების“ გაბრაზება არ გვინდაო?!**

საქართველოში, პურის გარდა, არ იწარმოება არაფერი, რაც ადგილობრივ ბაზარს აკმაყოფილებს. თუმცა არსებული სიდუხჭირის ფონზე პურსაც გამოზომილად და გამოზოგილად ყიდულობს მოსახლეობა, თორემ, დასანაყრებლად რომ ჭამოს, ეგებ არც ეს გვეყოს. **იქნებ ეცადა სახელმწიფოს და ერთი მიმართულება მაინც აელო ისეთი, რომელზეც აქცენტს გააკეთებდა, თანხებს დახარჯავდა და ის რაღაც იქნებოდა ადგილობრივი წარმოების და სრულად დააკმაყოფილებდა ქართულ ბაზარს...** კვერცხით შეიძლება დაწყება და თანაც დღესვე. უბრალოდ, ფერმერებს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტის დარად, უნდა მოუხსნან ბეგარა კვერცხსა და ქათამზე და გაუუქმონ აკრძალვა მათ წარმოებაზე. ჰო, აკრძალვა, რადგან ფერმებმა ზუსტად იციან, რამდენ კვერცხსა და რამდენ ქათამზე მეტი არ უნდა აწარმოონ და მერე ნახავთ, რომ კვერცხიც გაიაფდება, ქათამიც და არც ის აღარ გვექნება გასარკვევი, რომელი უფრო ადრე გაჩნდა.

**ბესო ბარბაქაძე**

**რუსთავიდან თბილისში ღამის ორ საათზე „ტაქსით“ წამოსვლას იმ მიზეზით ვერ მოახერხებთ, რომ რუსთავის „ტაქსი“ არ არის თეთრი, არ აქვს ლიცენზია და, თბილისში რომ შემოვიდეს, პატრულმა, შესაძლოა, 200 ლარით დააჯარიმოს. რა გამოდის? მოქალაქე ვალდებულია, „ტაქსი“ თბილისიდან გამოიძახოს და დროის გარდა, თანხობრივადაც სერიოზულად იზარალოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე თბილისთან ყველაზე ახლოს მდებარე რუსთავს ეხება, მაგრამ ხომ შეიძლება, რაღაც მიზეზის გამო, თბილისში „ტაქსით“ წამოსვლა, მაგალითად, ბათუმიდან, მესტიიდან ან ამბროლაურიდან მოგიწიოთ?**

## პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავდაპირველად კახა ბენდუქიძემ თქვა ხმამაღლა და გარკვევით: რატომ ეძახით „ტაქსისტებს“ უმუშევრებს?! ისინი მუშაობენ და ამ საქმით ოჯახსაც არჩენენ, დასაქმებულები არიანო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და, ბედითა თუ უბედობით, „ტაქსისტების“ რაოდენობამ საქართველოში ისე მოიმატა, თამამად შეიძლებოდა თქმა, რომ ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ ამ საქმით არჩენდა ოჯახს და ეს ის შემთხვევაა, როცა არანაირი სტატისტიკა საჭირო არ არის — ყველგან, დიდ თუ პატარა ქალაქში, „ტაქსი“ ქალაქის განუყოფელი ნაწილია და მათი რაოდენობა ძალიან ბევრია.**

# უმდაბლეს ნიშნულზე შემოსავალია, უმუშევრობის დონე კი არა, ბატონებო, იმ მოსახლეობის შემოსავალი, რომელზეც, წესითა და რიგით, უნდა იდგეს სახელმწიფო!

„ტაქსების“ განსაკუთრებული სიმრავლე დედაქალაქში შეინიშნებოდა და ეს გასაგებიც იყო. რეგიონებიდან ჩამოსული მოსახლეობის უმრავლესობა, სწორედ „ტაქსაობით“ ირჩენდა თავს, არჩენდა ოჯახს და შესაბამისად, „ტაქსი“ არ იყო ძვირი. „ტაქსების“ სიიაფეზე აქცენტი წინა ხელისუფლებას არ გაუკეთებია, თავდაპირველად არც ახალ ხელისუფლებას ამოუღია ხმა, მაგრამ, როგორც კი დედაქალაქის მერად **კახა კალაძე** აირჩიეს, ერთ-ერთი პირველი, რაც მან გააკეთა, „ტაქსების“ სიმრავლესა და მგზავრობის სიიაფეზე გაამახვილა ყურადღება. მეტიც, მან აღნიშნა, რომ იტალიაში ცხოვრებისა და ევროპაში მოგზაურობისას დავრწმუნდი, „ტაქსი“ ფუფუნებაა და მისით სარგებლობის შესაძლებლობა ყველას არ აქვსო. ჰო, ამას ამბობდა ქალაქის მერი, რომელიც ხელფასს არც ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე ყოფნისას იღებდა და არც მერობისას იღებს, ქველმოქმედებას ახმარს და ეს იმიტომ, რომ საკმარისი შემოსავალი აქვს. ნამდვილად არ ვაპირებთ, კალაძის შემოსავლები დავთვალოთ, მით უმეტეს, რომ მან ფული საკუთარი შრომითა და ოფლით იშოვა, მაგრამ ევროპის შედარება საქართველოსთან, რბილად რომ ვთქვათ, დიდი სისულელეა.

დავიწყოთ იმით, რომ **თუ „ტაქსი“ ევროპაში ფუფუნებად ითვლება, იმავე ევროპაში თვეში მინიმალური ხელფასი იმდენია, რამდენიც საქართველოში პენსიონერის წლიური პენსია.** ჰოდა ურიგო არ იქნებოდა, კალაძეს ჯერ ხელფასების მომატებაზე დაეწყო ზრუნვა და შემდეგ იმ რეგულაციებზე, რომლებიც „ტაქსებისთვის“ მოიფიქრა. ფრთიანი ფრაზა — „ტაქსისტს“ ორი დიპლომი უნდა ჰქონდეს“ — სულაც არ იყო რეალობიდან შორს. „ტაქსაობა“ უმრავლესობამ ხომ მას შემდეგ დაიწყო, რაც სამსახური დაკარგა და არ უნდოდა, მხართეძოზე წამოწოლილს ეწუწუნა, ფული არ მაქვს, ვერ ვმუშაობო, გაიჭირვა, მანქანა იყიდა და ქუჩაში გავიდა. ეს ადამიანები ახლა უმუშევრები დარჩნენ და ახლა იმასაც ვიგებთ ნელ-ნელა, რომ ყველაფერი მარტივი და ლამაზი არ ყოფილა. უფრო კონკრეტულად კი...

დედაქალაქში მომუშავე ყველა „ტაქსი“ თეთრი რომ უნდა იყოს, კი იცით. გადაღებვა-გადაკვრამ რომ ჩაიარა, მერე გაირკვა, რომ „ტაქსზე“ რეკლამის განთავსება ყველას დამოუკიდებლად არ შეეძლება, საამისოდ ლიცენზიას კონკრეტული კომპანია ფლობს და, რაც მთავარია, ხელშეკრულება 2-3 წელზე იქნება გათვლილი, ანუ მიაკრავთ „ტაქსს“ სარეკლამო სტიკერს და, თუ ერთი წლის შემდეგ გადაწყვეტთ, რომ „ტაქსაობა“ აღარ გინდათ, ხელშეკრულების თანახმად, მაინც მოგიწევთ რეკლამიანი ავტომანქანით გადაადგილება, რადგან იმ „ტაქსმა“ ქალაქში უნდა იმოძრაოს და რეკლამა ხალხს ანახვოს. არის კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც ყურადღებას ჯერჯერობით არავინ აქცევს, მაგრამ დღის წესრიგში ეს პრობლემა აუცილებლად დადგება. ყველაზე მარტივი მაგალითი ვთქვათ: **რუსთავიდან თბილისში ღამის ორ საათზე „ტაქსით“ წამოსვლას იმ მიზეზით ვერ მოახერხებთ, რომ რუსთავის „ტაქსი“ არ არის თეთრი, არ აქვს ლიცენზია და, თბილისში რომ შემოვიდეს, პატრულმა, შესაძლოა, 200 ლარით დააჯარიმოს. რა გამოდის? მოქალაქე ვალდებულია, „ტაქსი“ თბილისიდან გამოიძახოს და დროის გარდა, თანხობრივადაც სერიოზულად იზარალოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე თბილისთან ყველაზე ახლოს მდებარე რუსთავს ეხება, მაგრამ ხომ შეიძლება, რაღაც მიზეზის გამო, თბილისში „ტაქსით“ წამოსვლა, მაგალითად, ბათუმიდან, მესტიიდან ან ამბროლაურიდან მოგიწიოთ?** რა ხდება ამ დროს? მოდიხართ „ტაქსით“ და აჩერებინებთ თბილისის შემოსასვლელში, სადაც ახალი „ტაქსი“ უნდა გამოიძახოთ, რათა დედაქალაქში გადაადგილება შეძლოთ. სხვაგვარად არ გამოვა, რადგან დასავლეთიდან წამოსული „ტაქსი“ თბილისში 200-ლარიან ჯარიმას ხელს აუცილებლად გამოჰკრავს.

ეჭვი გვაქვს, რომ ხელისუფლება ამ პრობლემას მალე მოაგვარებს და **„ტაქსების“ თეთრად გადაღებვა და ლიცენზიის აღება მალე, ალბათ, საქართველოს მასშტაბით იქნება სავალდებულო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტს ზუსტად ისეთივე სატრანსპორტო კოლაფსი ელის, როგორიც დღეს თბილისშია შექმნილი. გარდა იმისა, რომ „ტაქსები“ არ არის საკმარისი, გადაადგილება კარგ შემთხვევაში გაორმაგებულია და „ტაქსი“ უკვე მართლა გახდა ფუფუნების საგანი.**




**მოსახლეობის ჯიბეში ხელის ფათური არავის არ უნდა ეპატიოს. ეს ადამიანები არ იპარავდნენ, არ ძარცვავდნენ, ისინი დილიდან საღამომდე მუშაობდნენ იმისთვის, რომ ოჯახები ერჩინათ და ეს სამსახური მათ სახელმწიფომ წაართვა. ჰო, სწორედ სახელმწიფომ და სწორედ რომ წაართვა. ვინც გაბედა და ლიცენზიის გარეშე გადაწყვიტა «ტაქსაობა», პატრულმა ოპერატიულად დააჯარიმა. თბილისში კლიენტის წამოყვანის შესაძლებლობა მოესპოთ რეგიონების «ტაქსისტებს» და, როგორც გითხარით, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა**

საუბარი მხოლოდ ფუფუნებაზე არ არის, ტაქსების რაოდენობა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს და ეს იმას ნიშნავს, რომ ათასობით (და არა ასობით) ოჯახი შემოსავლის გარეშე დარჩა; იმას ნიშნავს, რომ **ათასობით ოჯახს პურის ფულის პრობლემა** შეექმნა და ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვართ. რამდენიც უნდა იძახონ ახლა კალაძემ თუ მერიის სხვა მაღალჩინოსნებმა, პრობლემა დარეგულირდებაო, ვერ დარეგულირდება, რადგან თუ ვინმეს იმ რეფორმაში მონაწილეობის სურვილი ჰქონდა, რომელიც მერიამ გაატარა, მიიღებდა კიდეც. ეს იმას ნიშნავს, რომ კარგა ხანს იქნება ასე და დედაქალაქის ხელისუფლება ზუსტად ისე მოიქცევა, როგორც ცენტრალური ხელისუფლება — შეეცდება თემა მიაძინოს და მიავიწყოს ყველას. **მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა პრობლემას ყოველდღიურად წააწყდებიან თბილისის მცხოვრებნი და მიძინება, უბრალოდ, არ გამოვა.**

ის ადამიანები კი, რომლებიც „ტაქსზე“ იძულებით, სამსახურის დაკარგვის გამო დასხდნენ, ახლა მეორედ, ისევ ხელისუფლების ძალისხმევით, რჩებიან საარსებო წყაროს გარეშე და როგორ გინდა, ამ ყველაფრის შემდეგ დაიჯერო, რომ თურმე საქართველოში უმუშევრობის დონე ყველა პერიოდთან შედარებით უმდაბლეს ნიშნულზეა. უმდაბლეს ნიშნულზე უმუშევრობის დონე კი არა შემოსავალია, ბატონებო, იმ მოსახლეობის შემოსავალი, რომელზეც, წესითა და რიგით, უნდა იდგეს სახელმწიფო. მაგრამ გვითხარით, რა არის ჩვენს ქვეყანაში წესისა და რიგის მიხედვით, ეს რომ იყოს? არაფერი, საერთოდ არაფერი და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ **უმუშევრად დარჩენილი ადამიანების უმრავლესობა საზღვარგარეთ წავა სარჩოს საძებნელად. იქ ან გაუმართლებს, ან არა და საქართველოს მოქალაქის გამოთავისუფლებულ ადგილს ისინი დაიკავებენ, ვისაც ასე უშურველად ვურიგებთ მოქალაქეობას და სასათბურე პირობებსაც ვუქმნით.**

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და კარგად გათვლილი. პრობლემის მოგვარებას თურმე არავინ არ შეეცდება და, **როგორც ამბობენ, ყველაფერი ცოტა ხნის შემდეგ „მარტივად“ მოგვარდება — ქალაქში „ტაქსების“ არასაკმარისი რაოდენობის გამო გამოცხადდება ტენდერი, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ კომპანიაზე. ეს კომპანია იქნება ხელისუფლების რომელიმე შტოს წარმომადგენლის (უფრო ქალაქის მერიის რომელიმე მესვეურის) და შემოვა დედაქალაქში ახალი „ტაქსები“, რომლებიც მძღოლებს ზუსტად ისე დაუწესებენ ყოველდღიურ „სტავკას“, როგორც ეს ყვითელი სამარშრუტო „ტაქსების“ შემთხვევაში მოხდა და ფული, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ათასობით ადამიანის ჯიბეში მიდიოდა, წავა ერთ კონკრეტულ ჯიბეში.** ჰო, აბა როგორ გინდათ, თქვენ, ათასებმა პურის ფული იშოვოთ და აგერ, ვიღაცეებს კუნძულის საყიდლად რამდენიმე მილიონი დააკლდეთ?!

თუ ეს მოლოდინი გამართლდება, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ჯოხით იქნება გასაგდები. **იმიტომ, რომ მოსახლეობის ჯიბეში ხელის ფათური არავის არ უნდა ეპატიოს. ეს ადამიანები არ იპარავდნენ, არ ძარცვავდნენ, ისინი დილიდან საღამომდე მუშაობდნენ იმისთვის, რომ ოჯახები ერჩინათ და ეს სამსახური მათ სახელმწიფომ წაართვა. ჰო, სწორედ სახელმწიფომ და სწორედ რომ წაართვა. ვინც გაბედა და ლიცენზიის გარეშე გადაწყვიტა „ტაქსაობა“, პატრულმა ოპერატიულად დააჯარიმა. თბილისში კლიენტის წამოყვანის შესაძლებლობა მოესპოთ რეგიონების „ტაქსისტებს“** და როგორც გითხარით, ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.

ვერ გეტყვით, შეეცდებიან თუ არა ეს ადამიანები წართმეული სამსახურის დაბრუნებას საპროტესტო აქციით, მაგრამ თუ ეს მოხდება, იმედია, პოლიტიკოსები არ გააფუჭებენ ყველაფერს. ეს ხალხის, რიგითი ადამიანების პროტესტი უნდა იყოს და იქ არც ერთი პოლიტიკური ძალა არ უნდა გამოჩნდეს, რადგან გასაპროტესტებელი, პოლიტიკა კი არა, ყოველდღიური ყოფაა; ყოფა, რომელიც რამდენიმე ათას ადამიანს ერთ დღეში დაუმძიმდა და თავზე დაემხო.

**უმუშევრად დარჩენილი ადამიანების უმრავლესობა საზღვარგარეთ წავა სარჩოს საძებნელად. იქ ან გაუმართლებს, ან არა და საქართველოს მოქალაქის გამოთავისუფლებულ ადგილს ისინი დაიკავებენ, ასე უშურველად რომ ვურიგებთ მოქალაქეობას და სასათბურე პირობებსაც ვუქმნით**

ბესო ბარბაქაძე

საფრთხე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პენტაგონის სამხედრო-ბიოლოგიური ინფრასტრუქტურის განუხრელი გაფართოება, რომელმაც 25 ქვეყანა მოიცვა, მისი სულ უფრო მიახლოება რუსეთის, აგრეთვე, ირანისა და ჩინეთის საზღვრებთან, სრულიად აქარწყლებს პროპაგანდისტულ მტკიცებას "ჰუმანიტარულ მიმართულებაზე" მიკრობიოლოგებისა და სამხრეებიანი ექიმების გასაიდუმლოებული მუშაობის შესახებ განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან.**

# პენტაგონის ბიობაქტერიოლოგიური საქმიანობა — საფრთხე მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ევრაზიაში

**გთავაზობთ ინტერნეტჟურნალ „სამხედრო-პოლიტიკური ანალიტიკის" მიერ გამოქვეყნებულ მასალას საქართველოში, სომხეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში მოქმედ ბიოლოგიურ ლაბორატორიებზე, რომლებიც, სპეციალისტის მტკიცებით, საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნებისა და, საერთოდ, ევრაზიის მოსახლეობას (მასალა იბეჭდება შემოკლებით).**

„აშშ-ის სამხედრო-ბიოლოგიური საქმიანობა პოსტსაბჭოთა და, საერთოდ, „დიდი ევრაზიის" სივრცეში, როგორც საერთაშორისო სამართლის მოქმედი სისტემის ნგრევის მნიშვნელოვანი ფაქტორი, საკმაო ხანია, იპყრობს სპეციალისტებისა და საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღებას. „ბიოლოგიური ომის" ისტორიული კონტექსტის გაგების გარეშე შეუძლებელია მისი აქტუალური ფორმებისა და მეთოდების, აგრეთვე, ნეგატიური შედეგების სრულად გაცნობიერება. მაგალითად, **კორეის ომის პერიოდში აშშ-ის თანამშრომლობის შესახებ იაპონელ სამხედრო დამნაშავეებთან — „რაზმ 731"-თან ოფიციალურად იქნა აღიარებული 1999 წელს, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტაცია დღესაც კი, 20 წლის შემდეგ, გამოქვეყნებული არ არის.** ამერიკის არმიის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მქონე სამხედრო-ბიოლოგიური პროგრამები „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის" მყარ საფუძველზეა ბაზირებული და ორგანულად ერწყმის გეოპოლიტიკური სიმძლავრისა და ეკონომიკური ექსპანსიის პროექციას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურებთან მჭიდროდ დაკავშირებული „კერძო მოიჯარეების" ინტერესების გათვალისწინებით.

მაგალითად, **აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჩუმი მხარდაჭერით, ტერორისტულ ქსელთან დაკავშირებულმა „ბოევიკებმა" 1971 წელს კუბაზე შეიტანეს აფრიკული ჭირის ვირუსი, რომლის გამოც კუბელები იძულებულნი იყვნენ, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში დაეხოცათ 500 ათასი ინფიცირებული ცხოველი.**

**ზოგიერთი ექსპერტის აზრით, აფრიკის ქვეყნებში 2013 წელს გავრცელებული ებოლას ვირუსის ეპიდემია ახალი ბიოლოგიური იარაღის გამოცდაზე მიუთითებს.** აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევების პროექტების სააგენტოს (DARPA) მხარდაჭერით გენმოდიფიცირებული ვირუსების გავრცელების პროგრამები შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ბიოლოგიური აგენტების შექმნისა და მათი მტრული მიზნებით გადატანის საშუალება.

**„ტერორისტებისა და დაჯგუფებების ხელში ბიოაგენტების ჩავარდნის რისკის ზრდასთან ერთად შეიარაღების კონტროლისა და იარაღის გაუვრცელებლობის სფეროში ჩვენ, სამწუხაროდ, ვხედავთ უნივერსალური და საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და მექანიზმების მოსპობის ტენდენციას",** — აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგეი რიაბკოვმა** II საერთაშორისო კონფერენციაზე „ბიოლოგიური უსაფრთხოების გლობალური მუქარები: პრობლემები და გადაწყვეტები". რიაბკოვის თქმით, ვაშინგტონი მიზანმიმართულად მისდევს მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემის ნგრევის ხაზს ამ მგრძნობიარე სფეროში. დიპლომატმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ: **„აშშ-ის სამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობით ნაციონალური ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ხორციელდება აქტიური სამედიცინო-ბიოლოგიური მოღვაწეობა, რომელიც იწვევს შეშფოთებას და აჩენს კითხვებს ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის შესახებ კონვენციის ჩარჩოებში. უცნაურად, უფრო მეტიც, სულელურად გამოიყურება ჩვენი ამერიკელი კოლეგების მცდელობები, დაბლოკონ მოლაპარაკებების განხილვა ვერიფიკაციის მექანიზმზე, ამასთანავე, მოიპოვონ ცალმხრივი წვდომა მათთვის საინტერესო უცხოურ მიკრობიოლოგიურ ობიექტებზე, რომელთა შესახებაც რეგულარულად ავრცელებენ ინფორმაციას, რომელიც, ჩვენი შეფასებით, არ შეესაბამება სინამდვილეს".**

პენტაგონის სამხედრო-ბიოლოგიური ინფრასტრუქტურის განუხრელი გაფართოება, რომელმაც 25 ქვეყანა მოიცვა, მისი სულ უფრო მიახლოება რუსეთის, აგრეთვე, ირანისა და ჩინეთის საზღვრებთან, სრულიად აქარწყლებს პროპაგანდისტულ მტკიცებას მიკრობიოლოგებისა და სამხრეებიანი ექიმების გასაიდუმლოებული მუშაობის "ჰუმანიტარულ მიმართულებაზე" განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან.

**2015 წლის ოქტომბერში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა აღნიშნა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რაოდენობამ ლაბორატორიებისა, რომლებსაც აშშ მართავს, 20-ჯერ მოიმატა. ამასთანავე, სამხედრო მიმართულების ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად ათეულობით მილიონი დოლარი იხარჯება.** პენტაგონისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების (ისეთის, როგორიც არის სააგენტო DTRA) მხრიდან უცხოური რეფერენს-ლაბორატორიების მუშაობის მხარდაჭერისა და დაფინანსების ფაქტი წარმოადგენს საფუძველს იმისა, რომ გაჩნდეს ეჭვი 1971 წლის კონვენციით გათვალისწინებული მთავარი აკრძალვის დარღვევის თაობაზე. კერძოდ, სამხედრო მიზნებით მუშაობის აკრძალვის. **საუბარია ვალდებულებაზე არასდროს, არანაირ გარემოებაში არ შეიმუშაოს, დაამზადოს, გაავრცელოს, შეიძინოს და რამე ხერხით შეინახოს მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტები თუ ტოქსინები, როგორიც უნდა იყოს მათი წარმოშობა ან წარმოების მეთოდები** (პუნქტი 1. მუხლი



**1980-იანი წლების ბოლოდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამედიცინო დაზვერვის ცენტრმა აქტიურად დაიწყო ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში მიკრობიოლოგიური კვლევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. ასეთი ქვეყნების სია კი 1991 წლის შემდეგ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმაც შეავსეს. ამერიკელებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საქართველოსა და უკრაინაში. ამ ქვეყნების ელიტები ყველაზე შორს წავიდნენ «კოლექტიური დასავლეთის» სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების მომსახურების გზაზე**



1). ეს აკრძალვა ეხება მიკრობიოლოგიურ და სხვა ბიოლოგიურ აგენტებსა და ტოქსინებს, რომლებიც გათვალისწინებული არ არის პროფილაქტიკური, დაცვითი და სხვა სამშვიდობო მიზნებისთვის. ამას გარდა, აკრძალვა ეხება ასეთი აგენტებისთვის განკუთვნილ იარაღს, მოწყობილობას ან გადატანის საშუალებებს მტრული მიზნებით ან კონფლიქტებში გამოსაყენებლად (პ. 2, მ. 1) კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს თანამშრომლობისკენ მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით.

მიუხედავად ამისა, **1980-იანი წლების ბოლოდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამედიცინო დაზვერვის ცენტრმა აქტიურად დაიწყო ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში მიკრობიოლოგიური კვლევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. ასეთი ქვეყნების სია კი 1991 წლის შემდეგ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმაც შეავსეს.**

ამერიკელებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საქართველოსა და უკრაინაში. ამ ქვეყნების ელიტები ყველაზე შორს წავიდნენ „კოლექტიური დასავლეთის" სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების მომსახურების გზაზე.

საქართველოში, სომხეთში, ყაზახეთში, უზბეკეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მოქმედ რეფერენს-ლაბორატორიების ქსელში ნათლად ჩანს უცხო ქვეყნის სამხედრო-ბიოლოგიური აქტივობის კვალი, ევოლუცია მისი საორგანიზაციო-სამართლებრივი მექანიზმებისა, მათ შორის, მიმიკრიისა ვითომ „სამოქალაქო ამოცანებზე".

## ლუგარის სახელობის ლაბორატორიის მუშაობა საქართველოში – საფრთხე რეგიონისთვის

აშშ განაგრძობს ე.წ. რეფერალური სამედიცინო ლაბორატორიების ქსელის განვითარების პროგრამის რეალიზაციას პოსტსაბჭოთა სივრცეში, პირველ რიგში, საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში. **მიმდინარე წლის მაისში ამერიკელი დიპლომატიური მისიის მხარდაჭერით თბილისში, აშშ-ის დაავადებების კონტროლის სახელმწიფო ცენტრის მიერ ჩატარდა კომპლექსური წვრთნები ეპიდემიოლოგიის სფეროში სპეციალისტების მიზნობრივი მომზადების პროგრამის ჩარჩოებში. ღონისძიებაში მონაწილეობდა 130 პირი ზემოაღნიშნული სახელმწიფოებიდან.** პროგრამის დეკლარირებული მიზანი იყო პირობების შექმნა სახიფათო დაავადებების კერებზე პრევენციული რეაგირებისა და მათი ლოკალიზაციისთვის. ე.წ. ტრენინგების მონაწილეთა უმრავლესობა იყო ნაციონალური ჯანდაცვის ან სოფლის მეურნეობის სამინისტროების თანამშრომელი, აგრეთვე, ადგილობრივი ბიოლაბორატორიის წარმომადგენელი.

საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია (ლუგარის ლაბორატორია, ალექსეევკის დასახლება) 2011 წლიდან მოქმედებს. მის ბაზაზე აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ინტერესების გათვალისწინებით ხდება სახიფათო ვირუსებისა და ბაქტერიების ადამიანზე, აგრეთვე, კავკასიის რეგიონისთვის ტიპურ მცენარეებსა და ცხოველებზე ზემოქმედების ბიოექსპერიმენტების პროგრამის რეალიზება.

ეს ლაბორატორიული კომპლექსი უკვე ოფიციალურად არის შეყვანილი ინფექციური დაავადებების გლობალური კონტროლის ამერიკული სამხედრო სისტემის (Dad Global Emerging infections Surveillance and Response System - GEIS) შემადგენლობაში და სააგენტო DTRA-ს პროექტის ნაწილს წარმოადგენს. ცენტრი მდებარეობს თბილისიდან 15 კმ-ის დაშორებით — ალექსეევკაში. **ლუგარის სახელობის ლაბორატორიის საერთო ფართობი 8 ათასი კვ.მ-ია, მათგან 2,5 ათასი უკავია ბიოლოგიური უსაფრთხოების მესამე დონის (BSL-3)** ▶

საფრთხე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველოში, სომხეთში, ყაზახეთში, უზბეკეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მოქმედ რეფერენს-ლაბორატორიების ქსელში ნათლად ჩანს უცხო ქვეყნის სამხედრო-ბიოლოგიური აქტივობის კვალი, ევოლუცია მისი საორგანიზაციო-სამართლებრივი მექანიზმებისა, მათ შორის, მიმიკრიისა ვითომ „სამოქალაქო ამოცანებზე“.

**საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია (ლუგარის ლაბორატორია, ალექსეევკის დასახლება) 2011 წლიდან მოქმედებს. მის ბაზაზე აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ინტერესების გათვალისწინებით ხდება სახიფათო ვირუსებისა და ბაქტერიების ადამიანზე, აგრეთვე, კავკასიის რეგიონისთვის ტიპურ მცენარეებსა და ცხოველებზე ზემოქმედების ბიოექსპერიმენტების პროგრამის რეალიზება**

◀ **ორ ლაბორატორიას, რომლებშიც მიმდინარეობს ადამიანისა და ცხოველების ინფექციების გამომწვევების კვლევა და დიაგნოსტიკა. ეს ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებით, აქვს საკვების წარმოების საკუთარი გარემო, ვივარიუმი პატარა და საშუალო ცხოველებისა და პრიმატებისთვის.** კომპლექსს შეუძლია გაუძლოს 9-ბალიან მიწისძვრას. სისტემა GEIS-ში შემავალი ობიექტების საერთო ამოცანების შესაბამისად, **ლუგარის ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს პათოგენური მიკროორგანიზმების კოლექციის საიმედოდ შენახვა, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების მონიტორინგი, სამხედრო-სამედიცინო დაზვერვის წარმოება საქართველოში და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე, ინფექციური დაავადებების გამომწვევების ექსპრეს-დიაგნოსტიკა და მათ გავრცელებაზე რეაგირება.**

აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ კომპლექსს და ცდილობს, რომ ის მსოფლიოში აღიარონ, როგორც მნიშვნელოვანი სამეცნიერო ორგანიზაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში და შექმნის იქ პირობები პენტაგონის ინტერესებისთვის დასაკმაყოფილებლად, მათ შორის, ასეთი საქმიანობის საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად. ამ მიზნით გააქტიურებულია ურთიერთქმედება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან. მაგალითად, გამოცხადებულია აკრედიტაციას 3 ვირუსოლოგიური ლაბორატორიისა, რომლებშიც მუშაობენ გამომწვევებზე ისეთი დავადებებისა, როგორიც არის პოლიომიელიტი, გრიპი, წითელა, წითურა და სხვ.

2014 წლის ივნისიდან „ლუგარის ლაბორატორია“ ქართულ მხარეს გადაეცა. აშშ კი ქართველ სპეციალისტებს წვრთნის, გამოყოფს გრანტებს საქართველოში ბიოლოგიური და საექსპედიციო კვლევების ჩასატარებლად (მაგალითად, შესადგენად რუკისა, როგორ ვრცელდება ტულარემია, ციმბირის წყლული). საგრანტო პროგრამაში ქართველი მეცნიერების პარტნიორები არიან აშშ-ის დიდი სამხედრო-ბიოლოგიური დაწესებულებები, მაგალითად ისეთები, როგორიც არის USAMRIID-ი, WRAIR-ი და NMRC-ი.

ლუგარის ლაბორატორიის გარდა, ქართულ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემაში ჩართულია ჯანდაცვის სამინისტროს 11 ლაბორატორია და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 11 ლაბორატორია. მათ შორისაა სანეპიდზედამხედველობის სადგურები **ბათუმში, გორში, გურჯაანში, დუშეთში, ქუთაისში, მარნეულში, ფოთში, რუსთავში** და ზუგდიდის დასახლება ონარიაში. აშშ-ის ინტერესების დასაფარავად ამ ქსელის ობიექტები იურიდიულად საქართველოს ეკუთვნის, ხოლო სამუშაოების დიდ ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები ასრულებენ, ოღონდ გამოცდილი ამერიკელი ეპიდემიოლოგების ხელმძღვანელობით, რომელთა რაოდენობა 15-20-ს კაცს აღწევს. აღნიშნული კვლევითი ცენტრის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს: **საყოველთაო კონტროლის დაწესება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე საქართველოს მოსაზღვრე რუსეთის რეგიონებზე, აგრეთვე, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე; ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების ინფექციური დაავადებების გამომწვევი მაღალპათოგენური შტამებისა და ნიმუშების შეგროვება ადგილობრივი კერებიდან; ინფექციური პროცესების მიმდინარეობისა და რუსეთის მოქალაქეების იმუნიტეტის ჩამოყალიბების მექანიზმების შესწავლა; ინოვაციური პრეპარატების გამოცდა ეთნიკურად არაერთგვაროვან ადგილობრივ მოსახლეობაზე.** ამას გარდა, „ლუგარის ლაბორატორიის“ ამოცანა არის ცნობების მოპოვება რუსეთში, უწინარესად, ჩრდილოკავკასიის რეგიონსა და საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებში ბიოლოგიური უსაფრთხოების განვითარების დონეზე. მათ უნარზე, წინააღმდეგობა გაუწიონ ეპიდემიებისა და ბაქტეოლოგიურ შეტევებს.

**მოპოვებული ინფორმაციისა და ბიონიმუშების ძირითადი მომხმარებლები არიან ისეთი ამერიკული სამხედრო ორგანიზაციები, როგორიც არის უოლტერ რიდის სახელობის ინფექციური დაავადებების სამედიცინო კვლევების ინსტიტუტი, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სამედიცინო ცენტრი** და სხვ.

საქართველოსა და აშშ-ს შორის სამედიცინო-ბიოლოგიურ სფეროში თანამშრომლობა 1990-იანი წლების ბოლოდან განვითარდა. ქართველმა და ამერიკელმა მეცნიერებმა ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგების, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კვლევითი ინსტიტუტიდან და უოლტერ რიდის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან ლაბორატორიის ბაზაზე ჩაატარეს ერთობლივი ექსპერიმენტი ფაგის (პარაზიტის) კოევოლუციის ძირითად მექანიზმებზე. ამ ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ჩატარდა ცდები **ჭირის, ციმბირის წყლულისა** და **ბრუცელოზის** გამომწვევებზე.

ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა საშუალებას აძლევს ვაშინგტონს, გადაჭრას იმ ამოცანების ფართო სპექტრი, რაც რეგიონული უსაფრთხოებას ემუქრება. ამერიკელების განცხადებების მიუხედავად, რომ თითქოს ამ ბიოლოგიური ცენტრის დანიშნულება სამოქალაქოა, მკაფიოდ ჩანს მისი მუშაობის „ორმაგი მიმართულება“.

ამაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტორები:

**1.** ლუგარის ლაბორატორიის კომპლექსში შემავალი ყველა ობიექტი აღჭურვილია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თანხებით შეძენილი ძვირად ღირებული ბიოტექნოლოგიური მოწყობილობებით. საქართველოში ლაბორატორიების მშენებლობა 150 მლნ დოლარი დაჯდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ობიექტებზე დახარჯულ თანხებს და მიუთითებს იმაზე, რა მნიშვნელობას ანიჭებს ვაშინგტონი მათ.

**2.** საქართველოში აშშ-ის სამხედრო-ბიოლოგიური ინფრასტრუქტურის ობიექტი ინფექციური დაავადების გლობალური კონტროლის სისტემის CEIS) ნაწილია. CEIS-ის ჩარჩოებში წარმოებს ინფექციური დაავადებების გავრცელების შესახებ ინფორმაციისა და ბიონიმუშების მოპოვება და ანალიზი იმ რეგიონებში, რომლებიც აინტერესებს აშშ-ს. ამერიკული სამხედრო უწყება განსაზღვრავს კვლევების მიზნებსა და ამოცანებს და იღებს ჩატარებული სამუშაოების მასალებს.

**3.** ბიოლოგიური ცენტრი დახურულ რეჟიმში მუშაობს, ოფიციალურ ხელმძღვანელებად კი ინიშნებიან ვაშინგტონისადმი ლოიალურად განწყობილი პირები ან სპეცსამსახურების წარმომადგენლები. მაგალითად, ლუგარის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა ქართული დაზვერვის წარმომადგენელი **ანა ჟვანია.**

**4.** ლაბორატორიული კომპლექსის ტერიტორიაზე არის განსაკუთრებული რეჟიმის განყოფილებები, რომლებშიც შესვლაც მხოლოდ ამერიკელ სპეციალისტებს შეუძლიათ.

**5.** ლაბორატორიას აქვს დაცვის მაღალი და უმაღლესი დონე (BSL-3, BSL-4), რაც საშუალებას იძლევა, ჩატარდეს კვლევები განსაკუთრებით სახიფათო ინფექციებზე. მათ შორის, ყვავილზე, მარბერგის, ებოლას, ლასას, მაჩუპოსა და დენგეს ციებ-ცხელებებზე, აგრეთვე, ბიოლოგიური საფრთხის სხვა პოტენციურ აგენტებზე.

**6.** ამერიკელები თავიანთ სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში ამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს აღნიშნული ლაბორატორიებისთვის ეპიდემიოლოგიის, ვირუსოლოგიის მოლეკულური ბიოლოგიის სფეროში.

ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს პერიოდულად გამოვლენილი ინფექციური დავადებების გამო, რომელთა გავრცელების წყაროც, ექსპერტთა აზრით, ბიოლოგიური იარაღის ნიმუშებია. ალექსეევკაში მცხოვრებთა პროტესტს კი საქართველოს ხელისუფლება არად აგდებს.

ალსანიშნავია, რომ ბიოლაბორატორიის თანამშრომლები პერიოდულად აპატენტებენ ბაქტერიოლოგიური ომის შემტევ და დივერსიულ საშუალებებს (უპილოტო საფრენი აპარატები დასნებოვნებული მწერების ჰაერში გასაფანტავად, ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების გასაფრქვევად და ა.შ.).

ქართველი და ევროპელი დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და საზოგადოებრივი აქტივისტების ძალისხმევით, 2019 წლის დასაწყისში ლუგარის სახელობის ლაბორატორიის საქმიანობა ფართოდ გაშუქდა ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაში, შედეგად **ოფიციალური თბილისი იძულებული იყო, კომენტარები გაეკეთებინა ამ საკითხზე. თუმცა, მაღალჩინოსნების განცხადებით, ამ ლაბორატორიის მუშაობა საფრთხეს არ ქმნის და ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. „პრობლემის“ მოგვარებაში ჩაერთო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მზად არის, საერთაშორისო ექსპერტებისა და ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს უმრავლესობა განყოფილებისა, იმ სათავსოების გამოკლებით, რომლებშიც საშიში ვირუსების შტამები ინახება.**

თუმცა საქართველოს საგარეო უწყების პოზიცია პოზიციად დარჩა. როგორც ჩანს, მისი ძირითადი მიზანი საერთაშორისო რეზონანსის „ჩაქრობა“ იყო, რაც, პრინციპში, შეძლო კიდეც. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ითხოვს საერთაშორისო კონტროლის დაწესებას ლუგარის სახელობის ლაბორატორიის საქმიანობაზე, არის რუსეთი, მაგრამ ქართული მხარე სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობს ამ საკითხის განხილვაზე.

ლუგარის სახელობის ლაბორატორია თბილისში






vpoanalitic.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი ბაჩეჩილაძე**

გრიგოლ ოქიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1901-დან 1917 წლამდე ახალგაზრდა კობა (სტალინი) შვიდჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს რევოლუციური საქმიანობისთვის. ექვსჯერ გამოიქცა გადასახლებიდან და ბოლოს, 1917 წლის 12 მარტს, ტურუხანსკიდან პეტერბურგში ჩასულმა ნაპატიმრალმა სტალინმა ხელში აიღო რევოლუციის სადავეები და ბოლომდე მიიყვანა ის.**

# სტალინი და ბუნების გარდაქმნის გეგმა

**ჯერ კიდევ დაუდგენელია, რომელ ცივილიზაციაში გამოიგონეს ბორბალი, მაგრამ ფაქტია, რომ მისმა გამოგონებამ დასაბამი მისცა კაცობრიობის განვითარებას. მსოფლიოში შვიდ საოცრებად აღიარებული ნაგებობები სრულიად არ მიმაჩნია საოცრებად, რადგან ისინი ლოკალურად ერთ ადგილზე, ერთ ვიწრო გარემოში შეიქმნა, ერთი კონკრეტული ადამიანის აზროვნებით. მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთნაირად აზროვნებენ და ერთ შედეგებამდე მიდიან. მაგალითად, ასეთია ,,გეი-ლუსაკ — ბოილ-მარიოტის გაერთიანებული კანონი". სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ადგილსა და გარემოში აღზრდილმა ადამიანებმა თავიანთი აზრების ნაყოფი გააერთიანეს და შეიქმნა ერთიანი კანონი, მაგრამ ეს კონკრეტული აზროვნებაა, რომელსაც თავისი საზღვრები აქვს.**

მეცნიერი შეიძლება შეებრძოლოს ზღვის ამა თუ იმ მონაკვეთს და წაართვას გარკვეული ტერიტორია; გაზარდოს ამა თუ იმ კულტურის მოსავლიანობა, თვითმფრინავს მოუმატოს სიჩქარე, ტვირთამწეობა; ტანკს — ჯავშანი; ლულას — სიგრძე და დიამეტრი, რათა შორს გატყორცნოს დიდი ზომის ყუმბარა თუ ჭურვი და სხვ., მაგრამ დედამიწასთან შებრძოლება და ბუნების შეცვლა დედამიწაზე გაჩენილი არსებისთვის ზღვარგადასული „თავხედობაა", ეს დედამიწის სფეროს ხელახლა შექმნისა და მისთვის ახალი ფუნქციების მინიჭების მცდელობაა და, თუ ადამიანს ამის თანხმობა ღვთისგან არ აქვს მიღებული, ღმერთი დასჯის.

„დიდი ბრიტანეთის იმპერიაში მზე არ ჩადიოდა" — ეს ლიტერატურული პასაჟია. მზე რუსეთის იმპერიაში არც მაშინ და არც ახლა არ ჩასულა და არ ჩადის. როცა სანქტ-პეტერბურგში შუადღეა, მაგადანში შუაღამეა, ეს უკიდეგანო სივრცე, რომელიც ორ კონტინენტზეა გადაჭიმული რამდენიმე საათობრივ სარტყელს მოიცავს, მის ტერიტორიაზე კლიმატი მნიშვნელოვნად იცვლება და ნიადაგობრივი სტრუქტურაც ერთობ განსხვავებულია ერთმანეთისგან. სადაც მილიონობით ჰექტარი უხვმოსავლიანი შავნიადაგიანი ზოლია გადაჭიმული, იქვე მზით გადამწვარი თვალუწვდენელი სტეპებია გადაშლილი. მკაცრი, სუსხიანი ზამთრისა და ცხელი, მწველი მზის პირობებში რთულია სასოფლო სამეურნეო პროდუქტების სტაბილური მოსავლის მიღება, სწორედ ეს იყო რუსეთის იმპერიაში შიმშილობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი. **ასეთ გაუსაძლის პირობებსა და ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის ფარგლებში ხუთი წლის განმავლობაში მომიწია ყოფნა. ეს იყო ასტრახანიდან მახაჭყალამდე 600-კილომეტრიანი კასპიისპირა ნახევრად უდაბნო, ყიზლარის ზამთრის საძოვრებად წოდებული სტეპი,** რომელიც ზღვაში წვეთია იმ უდაბნოებსა და სტეპებს შორის, რომლებიც რუსეთის უკიდეგანო სივრცეზეა გადაჭიმული.

რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც რამდენჯერმე განმეორდა ბუნების „თავხედობა" და სიცხით გათანგულმა ნახევრადუდაბნო ტერიტორიებმა ულუკმაპუროდ დატოვა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. ამიტომ ახალგაზრდა ქვეყნის ხელისუფლებას სამოქალაქო ომის ფრონტიდან პურის ფრონტზე მოუწია სწრაფად გადაადგილება.

როგორც წინა წერილებში ვწერდი, **უცხო ქვეყნებიდან რუსეთში შესული რევოლუციონერები სრულიად არ ფიქრობდნენ ხალხის გამოკვებაზე, მათ რუსეთის ტერიტორია და ნედლეულის მარაგის მიტაცება სურდათ, ხოლო რუსი ხალხი მსოფლიო რევოლუციის კოცონზე ფიჩხის მოვალეობის შესასრულებლად სჭირდებოდათ. უცხოური კაპიტალის პატრონებსა და რუსეთის „განხალხების" სპონსორებს სჭირდებოდათ, რაც შეიძლება სწრაფად დაეცალათ რუსეთი მოსახლეობისგან, რათა ახალი წესრიგით განევითარებინათ ევროპა იქ, სადაც „ცივილიზაციისთვის უვარგისი" ხალხი ცხოვრობდა. მომხვდური საობდა, როგორც რუს ერს, ისე მის რელიგიას — მართლმადიდებლობას.**

არქიეპისკოპოს **იერონის** თქმით, მან სემინარიის მეხუთე კურსის სტუდენტი **იოსებ ჯუღაშვილი** იხმო და უბრძანა: „წადი, შენ უნდა იხსნა რუსეთი და მართლმადიდებლობა".

იმ დღიდან სტალინს სემინარიის კარი არ შეუღია და გადაეშვა რევოლუციის აბობოქრებულ ოკეანეში.

1901-დან 1917 წლამდე ახალგაზრდა კობა (სტალინი) შვიდჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს რევოლუციური საქმიანობისთვის. ექვსჯერ გამოიქცა გადასახლებიდან და ბოლოს, 1917 წლის 12 მარტს, ტურუხანსკიდან პეტერბურგში ჩასულმა ნაპატიმრალმა სტალინმა ხელში აიღო რევოლუციის სადავეები და ბოლომდე მიიყვანა ის.

**„1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება არც მარქსიზმის, არც ლენინიზმის და არც კომუნისტური პარტიის დამსახურებად არ უნდა ჩაითვალოს, იგი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით სტალინის შემოქმედებაა"** (პროფესორი ვ. გურული, „დიდი ექსპერიმენტი").

ადვილი მისახვედრია, რომ სტალინი თავის ნამოქმედარს ასე ადვილად არ გაატანდა ქარს და „ღველფიდან წაბლს სხვას არ გამოუჩხრეკდა". **სტალინმა მტკიცედ დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარი ჯერ სამოქალაქო ომში, შემდეგ — შინაურ მტრებთან ბრძოლაში და გამარჯვებული 1928 წელს შეებრძოლა დედამიწას.**




**უცხო ქვეყნებიდან რუსეთში შესული რევოლუციონერები სრულიად არ ფიქრობდნენ ხალხის გამოკვებაზე, მათ რუსეთის ტერიტორია და ნედლეულის მარაგის მიტაცება სურდათ, ხოლო რუსი ხალხი მსოფლიო რევოლუციის კოცონზე ფიჩხის მოვალეობის შესასრულებლად სჭირდებოდათ. უცხოური კაპიტალის პატრონებსა და რუსეთის «განხალხების» სპონსორებს სჭირდებოდათ, რაც შეიძლება სწრაფად დაეცალათ რუსეთი მოსახლეობისგან, რათა ახალი წესრიგით განევითარებინათ ევროპა იქ, სადაც «ცივილიზაციისთვის უვარგისი» ხალხი ცხოვრობდა. მომხვდური საობდა, როგორც რუს ერს, ისე მის რელიგიას — მართლმადიდებლობას**

1928 წელს სტალინმა პირადი ინიციატივით ასტრახანის სტეპში გახსნა საკავშირო სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის სატყეო აგრომელიორაციის საყრდენი ბაზა, რომელსაც უნდა გამოერკვია, როგორ გაეცოცხლებინათ მომაკვდავი უდაბნო.

მეცნიერი მუშაკების დაინტერესებამ მაქსიმუმს მიაღწია, ისინი თავიანთი ხელით არჩევდნენ, რგავდნენ და უვლიდნენ სხვადასხვა სახეობის მცენარეს, რომლებიც ადგილობრივ პირობებს უნდა შეგუებოდა. საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: **დოკუჩაევი** და **კოსტიჩევი** ყველა ხისა და ბუჩქის განვითარების სტადიებს აკვირდებოდნენ და პერიოდულად სტალინს მოახსენებდნენ. პირველი ჰექტარი ტყის მასივისა, რომლის თითოეული ძირი ხე პირად კონტროლზე იყო აყვანილი, იზრდებოდა და ვითარდებოდა. როცა ტყე გაიზარდა, დაიწყო ანალიზი მელიორაციის შედეგებისა:

სტეპში, სადაც სიცხე 40 გრადუსს აღემატებოდა, ტყის მახლობელ ზოლში ტემპერატურა 20%-ით ნაკლები იყო, ხოლო ნიადაგიდან წყლის აორთქლება — 20%-ით შემცირებული.

ერთი ძირი ნაძვი, რომლის სიმაღლეც შვიდ-ნახევარ მეტრს აღწევს, ზამთარში, როდესაც ტემპერატურა მინუს 28-29 გრადუსია, 106 კილოგრამ „ინეიას" აგროვებს (ინეია ატმოსფერული ნალექის სახეობაა, ყინულის ნაწილაკები, რომლებიც ყინვიან, ნათელ და წყნარ ღამეებში მიწის ზედაპირზე, ბალახებზე ჩნდება პატარა კრისტალების სახით. მას მცენარე თავისი ვარჯითა და ტოტებით ისრუტავს და საჭიროებისამებრ იყენებს, — დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. მეორე გამოშვება, ტ. 18., გვ. 149). ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი პატარა ტყის კორომი რამდენიმე ათეულ ტონა სინესტეს ინახავს.

ამ დაკვირვებისა და შემდგომ გიგანტური პროექტის ავტორი იყო **გიორგი ვისოცკი,** რომელმაც დაადგინა ტყის მასივების გავლენა მცენარეთა ჰიდროლოგიურ რეჟიმზე.

**სტალინთან სამეცნიერო კვლევების განხილვა ერთ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. იყო კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები. განისაზღვრა პროექტის მასშტაბები, რომელთა გრანდიოზულობაც წარმოუდგენელი იყო იმ ეპოქისთვის და იმ პირობებისთვის.** მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი და ევროპის დიდი ნაწილი **ნანგრევების ქვეშ იყო მოყოლილი და ადამიანები თავშესაფარს ეძებდნენ, სტალინი მეცნიერებთან ერთად ბუნებასთან საბრძოლველად ემზადებოდა.**

მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით ამ გიგანტური პროექტის მომზადებაში ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ათი სამეცნიერო ინსტიტუტი: მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტები, მეცნიერებათა აკადემიის ხუთი სპეციალური უწყება, ათი სპეციალური სატყეო და სასოფლო-სამეურნეო უწყება მოსკოვში, ლენინგრადში, ვორონეჟში, ირკუტსკში, კიევში, ნოვოჩერკასკში. ამ პროექტზე მომუშავე ადამიანებს სპეციალური ჯავშანი იცავდა და ჯარში არ გაუწვევიათ. კვლევა არც ერთი წუთით არ შეჩერებულა ოცი წლის განმავლობაში.

დადგა 1948 წელი. კვლევის დაწყებიდან ოცი წლისთავზე, 20 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოიტანეს დადგენილება „ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის შესახებ". ამ გეგმას მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდა, შედგენილი იყო 20 წლის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად და მის მიმდინარეობას ომისა თუ მშვიდობის პერიოდში რეგულარულად აკონტროლებდა სტალინი. **ბუნებაზე დაიწყო გრანდიოზული შეტევა გვალვის დასამარცხებლად: ქარსაფარი ზოლების გაშენებით, წყლის საგუბრების, წყალსაცავების აშენებითა და სარწყავი სისტემების განვითარებით. ეს გეგმა ითვალისწინებდა გრანდიოზული ქარსაფარების 8 ზოლის გაშენებას 5300 კილომეტრზე, რომელსაც უნდა დაეკავებინა 5 709 000 ჰექტარი მიწის ფართობი. 1953 წლამდე ქარსაფარი ზოლი გაშენებული და შევსებული იყო. პროექტი უზრუნველყოფდა 120 მილიონ ჰექტარ მიწაზე სტაბილური მოსავლის მოყვანას, რომელსაც შეეძლო გამოეკვება იმხანად პლანეტის მოსახლეობის ნახევარი.**

სრულიად მსოფლიო გაეცნო ბუნების გარდაქმნის სტალინურ გეგმას, რომლის გრანდიოზულობამ შოკში ჩააგდო, როგორც მეცნიერთა მრავალათასიანი კოლექტივები, ისე მსოფლიოს ქვეყნების ხელისუფალნი.

გეგმის გაცნობის შემდეგ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების საკითხების გენერალური დირექტორის — **ბოიდ ორის** წერილი. იგი წერდა:

„ამერიკაში ნოყიერი მიწების მდგომარეობა საგანგაშოა, თითქმის ერთი მეოთხედი სახნავი მიწებისა გამოსულია წყობილებიდან, ქვეყანაში ყოველწლიურად ნადგურდება 3 მილიონი ტონა სახნავი ფენის ზედაპირი. თუ ცივი ომი ასეთი ტემპით განვითარდება და სხვა ქვეყნები ასეთი ტემპით დაიწყებენ მიწაზე ზრუნვას, მალე გამოჩნდება, ვინ გამოვა ამ ბრძოლაში გამარჯვებული".

კოლმეურნეობებმა და სატყეო მეურნეობის მუშაკებმა მოკლე ხანში შეძლეს მცენარეეების 6 ათასი ტონა თესლის შეგროვება. მეცნიერებმა შექმნეს ქარსაფართა ჯგუფობრივი კატალო- ▶

**1963 წლის ბოლოს პურპროდუქტების მაღაზიებიდან გაქრა გამომცხვარი პური და ფქვილი, ზეთი. მთავრობის დადგენილებით, ხორცის ფასმა 30%-ით, ხოლო კარაქის ფასმა 25%-ით მოიმატა. კატასტროფულ ვითარებაში ჩავარდნილმა ხორბლის მწარმოებელმა ქვეყანამ უცხოეთის ბაზარზე პირველად გაიტანა 600 ტონა ოქრო, რომლის საფასურადაც ქვეყანაში 13 მილიონი ტონა ხორბალი შემოზიდეს.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გები და განლაგების სქემები.

**ქარსაფარის ზოლები 7 რიგით განისაზღვრა:**

**1. პირველი რიგი — კანადური ვერხვი.**
**2. მეორე რიგი — ნაძვი.**
**3. მესამე რიგი — მუხა, აკაცია.**
**4. მეოთხე რიგი — ნაძვი.**
**5. მეხუთე რიგი — კანადური ვერხვი.**
**6. მეექვსე რიგი — ნაძვი.**
**7. მეშვიდე რიგი — აკაცია, მუხა.**

რიგთა შორის დარგული უნდა ყოფილიყო მოცვი და ჟოლო ჩიტებისთვის, რათა მომრავლებულიყვნენ მინდვრის მავნებლების გასანადგურებლად. გეგმით გათვალისწინებული იყო 8 სახელმწიფო ზოლი, რომლებიც გაივლიდა:

1. მდინარე ვოლგის ორივე სანაპიროზე, სარატოვიდან — ასტრახანამდე. ზოლის სიგანე 100 მეტრი უნდა ყოფილიყო, სიგრძე 900 — კილომეტრი;

2. მდინარე ხოპიორზე წყალგამყოფი მედვედევკიდან, კალიტა და პენზის მიმართულებით — ეკატერინოვკაკომენსკი, სამი ზოლი უნდა გაეყვანათ, თითოეულის სიგანე 60 მეტრი უნდა ყოფილიყო, ზოლებს შიგნით დაშორება — 300 მ და სიგრძე — 600 კმ;

3. მდინარეების — ილოვლისა და ვოლგის წყალგამყოფებიდან კამიშინის მიმართულებით — სამი ზოლი, სიგანით 60 მეტრი; ზოლებს შორის მანძილი — 300 მ, სიგრძე 170 კმ უნდა ყოფილიყო;

4. მდინარე ვოლგის მარცხენა სანაპიროდან, ჩაპაევსკიდან ვლადიმიროვამდე — 4 ზოლი. 60მ სიგანის ზოლებს შორის დაშორება — 300 მეტრი, სიგრძე — 580 კილომეტრი;

5. სტალინგრადიდან სამხრეთით: სტეპი — ჩერკესკი 4 ზოლი, სიგანით 60მ, ზოლებს შორის დაშორება — 300 მეტრი, სიგრძით 570 კილომეტრი;

6. მდინარე ურალის სანაპიროდან ვიშნევკა-ჩკალოვიურალსკი კასპიის ზღვა — 6 ზოლი (სამი მარჯვენა და 3 მარცხენა მხარეს), სიგანით 60 მეტრი. ზოლებს შორის მანძილი — 200 მეტრი, სიგრძე — 1080 კილომეტრი;

7. მდინარე დონის ორივე სანაპიროდან, ვორონეჟიდან როსტოვამდე — 2 ზოლი სიგანით 60 მეტრი, სიგრძით 920 კილომეტრი;

8. მდინარე სევერსკი დონეცის ორივე სანაპიროდან, ბელგოროდიდან მდინარე დონამდე — ორი ზოლი სიგანით 30მ და სიგრძით 500კმ.

ბუნების გარდაქმნის ღონისძიებებს ემატებოდა მძლავრი ელექტროსადგურების სისტემა, რომლითაც დაფარული იყო თვალუწვდენელი სტეპები. ყველა გიგანტური ელექტროსადგური დამკვრელურ მშენებლობად გამოცხადდა. ელექტროენერგიის გამომუშავებაზე ნაკლები მნიშვნელობა არ ენიჭებოდა გამოყენებული წყლის ენერგიის მიშვებას იმ სტეპებსა და ურწყავ ადგილებში, რომლებშიც არათუ სამელიორაციო, სასმელი წყლის დეფიციტიც ჰქონდათ იმ დროიდან, რაც მასზე სიცოცხლე გაჩნდა, თუმცა, რომელ სიცოცხლეზეა ლაპარაკი, როდესაც იმ ტერიტორიებზე მხოლოდ ჟანგბადი იყო. **ამ გიგანტური პროექტის ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ვილიამსის სახელობის საკავშირო მელიორაციის ინჟინერ-ტექნიკოსთა უზარმაზარ კოლექტივს. ინსტიტუტის კოლექტივი, ამასთანავე, ვალდებული იყო, შეენარჩუნებინა და შეევსო ის ტყის მასივები, რომლებიც განადგურდა დიდი სამამულო ომის პერიოდში.**

ყველა კეთილ საქმეს, როგორც წესი, სდევს სატანა. 1953 წლის 5 მარტს სწორედ ამ ეშმაკისეულმა სულმა გამოასალმა სიცოცხლეს კრემლში მობინადრე ღმერთკაცი. და ყველა კეთილი საქმის კეთება შეწყდა.

**ხრუშჩოვის ბრძანებით, გაჩეხეს დარგული და ექსპლუატაციაში შესული ქარსაფარი ზოლები. წყლისგან დაცალეს ტბები და წყალსაცავები; ჯერ გაუქმდა და შემდეგ გაპარტახდა 1949 წლიდან 1953 წლამდე აშენებული ყველა ქარსაცავი ზოლი და საირიგაციო ნაგებობა. ქარსაფარი ზოლების, ტბებისა და წყალსაცავების მეთვალყურეობისა და კონტროლის 570 სადგური გააუქმეს. 1953 წლის 29 აპრილს, სტალინის სიკვდილიდან ერთი თვის შემდეგ, სპეციალური დადგენილებით, ხრუშჩოვმა აკრძალა ქარსაცავი ზოლების გაშენება, დახურა სარგავი მასალის გამოსაყვანი სპეციალური უწყებები** (ურალის სახალხო საბ-არქივი. ფონდი 2. აღწერა 8. საქმე №7743. ფურცელი. 149-150).





ხრუშჩოვის აზრით, „ბუნების გარდაქმნის, მოვლისა და მისი მორწყვის სამუშაოები სრულიადაც არ იყო საჭირო, როდესაც გვაქვს ისეთი დიდი სივრცე ყამირის სახით, რომლიდანაც უამრავ მოსავალს მივიღებთ“.

დაიწყო ყამირზე ლაშქრობა. ყამირი, რომელსაც ბუნებრივად ჰქონდა გამაგრებული ზედაპირი, ქარი ვერაფერს აკლებდა. მოხნული და გაფხვიერებული სტეპის ნიადაგი კი ადვილი დასამარცხებელი შეიქნა გაბატონებული ქარისთვის და ორ წელიწადში უდაბნოს მილიონობით ტონა მიწა ჰაერში იქნა ატანილი. ეს მიწა შავ ღრუბლებად გადაეფარა თვალუწვდენელ სტეპებს. ხრუშჩოვის უგუნურმა პოლიტიკამ, რომელმაც შეიწირა მილიარდობით ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ასევე საძოვრად ვარგისი სტეპი, უვარგის უდაბნოდ გადაიქცა, რის გამოც 1962-1963 წლებში საბჭოთა კავშირი ეკოლოგიური კატასტროფის ეპიცენტრი გახდა.

1963 წლის ბოლოს პურპროდუქტების მაღაზიებიდან გაქრა გამომცხვარი პური და ფქვილი, ზეთი. მთავრობის დადგენილებით, ხორცის ფასმა 30%-ით, ხოლო კარაქის ფასმა 25%-ით მოიმატა. კატასტროფაში ჩავარდნილმა ხორბლის მწარმოებელმა ქვეყანამ უცხოეთის ბაზარზე პირველად გაიტანა 600 ტონა ოქრო, რის საფასურადაც ქვეყანაში 13 მილიონი ტონა ხორბალი შემოზიდეს.

სტალინის „პიროვნების კულტით“ ზომბირებულმა მოსახლეობის ნაწილმა მალე დაივიწყა სტალინური სიკეთეები, მათ შორის, ბუნების გარდაქმნის გეგმაც, მაგრამ ამ პროექტის მსგავსი პროექტები ნაწილობრივ განხორციელდა ამერიკაში, ჩინეთში, დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, სადაც გლობალური დათბობის შიშით დაიწყეს მწვანე სარტყლების შექმნა.

თბილისი-მოსკოვის მიმართულების საჰაერო მარშრუტებიდან ბევრი დაჰყურებდა შუა სავარგულებში შეჩერებულ ქარსაფარ ზოლებს, რომლებიც კატასტროფის ნაშთებად მოჩანდა რამდენიმე ათასი მეტრის სიმაღლიდან.

მსოფლიომ შეიტყო 2010 წელს რუსეთის ევროპულ ნაწილში საშინელი გვალვის ამბავი. მზემ ერთიანად გადაბუგა ნათესები თათრეთში, ბაშკირეთში, სამხრეთ ურალში. სწორედ ეს შეიქნა მიზეზი იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ კვლავ დაიწყო სარწყავი სისტემებისა და ქარსაფარების აღდგენა წელიწადში 30 000 ჰექტარზე, მაგრამ გეგმა ბოლომდე მაინც შეუსრულებელი დარჩა. თუ პირველ ხანებში ქარსაფარი ზოლების ფართობი 2000 ჰექტარს შეადგენდა, 2007 წელს ქარსაფარი ზოლები მხოლოდ 300 ჰექტარზე გაშენდა.

ამრიგად, რუსეთის არც მომდევნო ხელისუფლებამ გამოიჩინა გულმოდგინება სახელმწიფოსა და ხალხის მიმართ და გიგანტური პროექტის ნარჩენები, რომლებიც სულელ ხრუშჩოვს გადაურჩა, უპატრონოდ დარჩა, რაც ზოგი შეშად, ზოგიც მასალად უკონტროლოდ იქნა მოჭრილ-განადგურებული.

ზემოხსენებული საირიგაციო, სამელიორაციაო ნაგებობანი, ქარსაფარი ზოლები, ტბები თუ წყალსაცავები ეკუთვნოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მას შემდეგ, რაც იავარქმნილ იქნა მთელი სისტემა, ისტორიას საბოლოოდ ჩაბარდა, როგორც ბუნების გარდაქმნის, ასევე ხალხზე ზრუნვის სტალინური პროგრამა.

რა გვაქვს დღეს: სრულიად ახალი სახის გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები, რომლებიც იწვევს უკურნებელ დაავადებებს, ფსიქიკურ აშლილობასა და დემოგრაფიულ კატასტროფას. ეს მაშინ, როდესაც 300 მილიონამდე ადამიანი უმძიმესი ომის 4 წლის განმავლობაშიც კი ბუნებრივი სუფთა პროდუქტებით იკვებებოდა, ადამიანების მსხვერპლი უმძიმესი ომის პირობებშიც კი ნაკლები იყო, ვიდრე დღევანდელ პირობებში...

გპირდებით, ჩემო ძვირფასო მკითხველო, მომავალში უფრო ვრცელ და ფაქტებით სავსე მასალას მოგაწვდით საქართველოზე და მაშინ მიხვდებიან ჩვენი ოპონენტები, „რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს“.

**გვალვის დასამარცხებლად ბუნებაზე დაიწყო გრანდიოზული შეტევა ქარსაფარი ზოლების გაშენებით, წყლის საგუბრების, წყალსაცავების აშენებითა და სარწყავი სისტემების განვითარებით. ეს გეგმა ითვალისწინებდა გრანდიოზული ქარსაფარების 8 ზოლის გაშენებას 5300 კილომეტრზე, რომელსაც უნდა დაეკავებინა 5 709 000 ჰექტარი მიწის ფართობი. 1953 წლამდე ქარსაფარი ზოლი გაშენებული და შევსებული იყო. პროექტი უზრუნველყოფდა 120 მილიონ ჰექტარ მიწაზე სტაბილური მოსავლის მოყვანას, რომელსაც შეექლო, გამოეკვება იმხანად პლანეტის მოსახლეობის ნახევარი**




ჰესების მშენებლობის გეგმა

სტალინის იუმორი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი მეტეოროლოგებს რომ შეხვდა, ჰკითხა, თუ რამდენი პროცენტით მართლდებოდა მათი ვარაუდი.
— 40 პროცენტით, — ცოტათი შეწუხებულებმა უპასუხეს „ამინდის მარჩიელებმა“.
— პროგნოზი პირიქით გამოაცხადეთ და მაშინ სიზუსტე 60 პროცენტამდე გაიზრდება, — „ურჩია“ სტალინმა.**

# «ტურუხანსკის გადასახლებიდან დაიწყოს»

**დღეს გთავაზობთ სტალინის ბიოგრაფების მიერ შეგროვებულ იუმორის ნიმუშებს საერთო სათაურით, რომელიც იოსებ სტალინისა და კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ურთიერთობის ერთ სიუჟეტსაა მორგებული.**



* * *

კინოსურათებში სტალინის როლის უნიკალურმა შემსრულებელმა მსახიობმა **მიხეილ გელოვანმა** რეჟისორ **მიხეილ ჭიაურელს** სთხოვა, ჩაესახლებინათ სტალინის აგარაკზე. ჭიაურელმა ეს თხოვნა სტალინს გადასცა.

— რატომ ითხოვს ამხანაგი გელოვანი ამას? — უკითხავს სტალინს.

— თქვენი როლი უკეთ რომ მოირგოს, — უთქვამს ჭიაურელს.

— მაშინ ტურუხანსკის გადასახლებიდან დაიწყოსო, — რჩევა მიუცია ბელადს.

* * *

სამამულო ომის წინ საბჭოთა კავშირში გამოცემული ბრძანებულებით დაწესდა სასჯელი სამსახურში 20 წუთზე მეტი დროით დაგვიანებაზე.

ბრძანებულების გამოცემის მეორე დღესვე სახელგანთქმულმა რუსმა მსახიობმა **ვასილი კაჩალოვმა** სამსახურში მისვლა ერთი საათით დააგვიანა. ატყდა პანიკა და თეატრის დირექტორმა სტალინისგან მოითხოვა მითითება, როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. პასუხს არ დაუგვიანებია: „იმის გამო, რომ სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ამხანაგ კაჩალოვს არ გააცნო სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური თეატრის დირექტორს“.

* * *

ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის თანამდებობის დასაკავებლად წამოაყენეს ერთ-ერთი მაღაროს დირექტორის, დამსახურებული სპეციალისტის — **ზასიადკოს** კანდიდატურა. ამ წინადადებას სამინისტროს დიდმოხელენი უარყოფითად შეხვდნენ, დაყარეს ხმა, რომ ზასიადკო ალკოჰოლის მოყვარულია და დალევას არ იკლებს, მაშასადამე, ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნას არ იმსახურებსო.

სტალინმა ზასიადკო გასაუბრებაზე მიიწვია.

— დავლიოთ? — ჰკითხა კაბინეტში შესულ ზასიადკოს ბელადმა.

— სიამოვნებით, ამხანაგო სტალინ, — უპასუხა ზასიადკომ, მასპინძელს მიწოდებული არყის ბოთლი ჩამოართვა, ჩაის ჭიქაში ჩამოისხა, — თქვენ გაგიმარჯოთო, — დაილოცა და გადაჰკრა.

მეორედაც შესთავაზა დალევა ბელადმა სტუმარს. ისევ დაისხა ჩაის ჭიქა არაყი სტუმარმა და ბოლომდე გამოცალა.

მესამედაც შესთავაზა გენერალურმა მდივანმა დალევა სტუმარს. მეშახტემ ხელი დააფარა ჭიქას და განაცხადა:

— გმადლობთ, მაგრამ ზასიადკომ ზომა იცის.

გადის რამდენიმე დღე და პოლიტბიურო განიხილავს ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის ვაკანტური თანამდებობის ახალი კადრით შევსების საკითხს. კვლავ გაჟღერდება, რომ მთავარი კანდიდატი ზასიადკო კარგი სპეციალისტი კი არის, მაგრამ დალევა უყვარს. იოსებ ბესარიონის ძე იტყვის:

— ზასიადკომ ზომა იცის!

მას შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ზასიადკო წარმატებით უხელმძღვანელებს ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს.

* * *

გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ სტალინი და **ჩერჩილი** განიხილავდნენ დამარცხებული ქვეყნის ფლოტის საკითხს. სტალინი სთავაზობდა, გაენაწილებინათ გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის, ჩერჩილი ჯიუტად მოითხოვდა ყველა გემის ჩაძირვას.

— გავინაწილოთ და თქვენ თქვენი წილი ჩაძირეთ, — მოუჭრა სტალინმა.

* * *

ბელადის მახვილსიტყვაობას მისი დაუძინებელი მტრებიც აღიარებდნენ.

ამბობენ, რომ, როცა სტალინი მოსკოვის სამხატვრო თეატრს ეწვია და პირველად შეხვდა დიდ რეჟისორ **სტანისლავსკის**, ეს უკანასკნელი ისე დაიბნა, რომ ხელის ჩამორთმევისას თავისი ნამდვილი გვარით წარუდგა ბელადს:

— ალექსეევი.

— ჯუღაშვილი, — ღიმილით უპასუხა სტალინმა.

* * *

**გლინკას** ოპერა „ივან სუსანინის“ პრემიერის წინ კომისიამ, რომელსაც **ბოლშაკოვი** ედგა სათავეში, გამოწვლილვით განიხილა სპექტაკლი და დაასკვნა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, ერთი „უხერხული“ დეტალის გარდა. საქმე ეხებოდა ფინალს, აპოთეოზს, გუნდის მიერ შესრულებულ სადიდებელს — „დიდება ჩვენს მეფეს, დიდება ჩვენს ხელმწიფეს!“. კომისიამ მოხსნა ეს ფინალი, შეკვეცა ოპერა. სტალინს ამის შესახებ რომ მოახსენეს, თქვა:

— სწორია. მოსახსნელია... მაგრამ არა ფინალი, არამედ ბოლშაკოვი. ფინალს კი ხელს ნუ ვახლებთ.

* * *

სტალინს უყვარდა კინემატოგრაფი. ყველა ფილმს, რომლებსაც საბჭოთა კინემატოგრაფისტები გადაიღებდნენ, აუცილებლად აჩვენებდნენ სტალინს.

1939 წელს სტალინს აჩვენეს ერთი უნიჭო კინოსურათი — „მატარებელი აღმოსავლეთით მიდის“, მოსაწყენი და დამღლელი. სიუჟეტით მატარებელი ერთ სადგურში ჩერდება.

— რომელი სადგურია? — იკითხა სტალინმა.

— ნიკიტოვკა, — უპასუხა დამდგმელმა რეჟისორმა.

— ბარემ მეც აქ ჩამოვალ, — თქვა ბელადმა, წამოდგა სავარძლიდან და დარბაზიდან გავიდა.

* * *

სტალინმა **რუზველტს** საჩუქრად გაუგზავნა კინოფილმი „ვოლგა-ვოლგა“.

გადაუთარგმნეს და აჩვენეს ამერიკის პრეზიდენტს.

რუზველტი ჩაფიქრდა: სტალინი ფილმს ასე უბრალოდ, მხოლოდ როგორც საჩუქარს არ გაუგზავნიდა. რაღაც მნიშვნელოვანზე მიგვითითებს უთუოდო, უთქვამს და უკითხავს — სრულად იყო თუ არა გადათარგმნილი ტექსტი. თანაშემწეები იფიცებოდნენ, რომ არაფერი გამორჩენიათ. ბოლოს აღმოაჩინეს, რომ არ გადაუთარგმნიათ სიმღერის ტექსტი:

**Америка России
Подарила пароход,
Две трубы, два колеса
И очень, очень тихий ход.**

წაიკითხა ინგლისურად თარგმნილი ეს სტროფი რუზველტმა და აუტყდა სიცილი:

— მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებაზე მიგვანიშნებსო.

მართლაც ასე იყო: ომი უკვე გერმანიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა და მოკავშირეები, სტალინის არაერთი მიმართვის მიუხედავად, არ იწყებდნენ საომარ ოპერაციებს ევროპაში. აგვიანებდნენ მეორე ფრონტის გახსნას.

* * *

ომისშემდგომ გამოშვებული პირველი საბჭოთა ავტომობილის სახელად კომისიამ შეარჩია „Родина“ — „სამშობლო“.

ეს რომ გაიგო, სტალინმა იკითხა:

— რა ეღირება ჩვენი სამშობლო?

ავტომანქანას მყისვე გადაარქვეს სახელი და ქვეყანას მოევლინა ლეგენდარული „პობედა“ — „გამარჯვება“.

* * *

ომის პერიოდია. ერთი გენერალ-პოლკოვნიკი სტალინს მოახსენებს ერთ-ერთ ფრონტზე შექმნილ ვითარებას. როცა დაამთავრა, სტალინმა ჰკითხა:

— კიდევ რამის თქმა ხომ არ გსურთ?

გენერალ-პოლკოვნიკი უხერხულად შეიშმუშნა და უმაღლეს მთავარსარდალს უთხრა:

— დიახ, ამხანაგო სტალინ. მე იქ, გერმანიაში, რამდენიმე ნივთი შევარჩიე ჩემთვის, მაგრამ საკონტროლო პუნქტზე ჩამომართვეს. უბრძანეთ, დამიბრუნონ.

— დაწერეთ პატაკი, — უთხრა ბელადმა, — რეზოლუციას დავადებ.

როცა ფორმალობა მოგვარდა, პატაკიც დაიწერა და სტალინმაც რეზოლუცია დაადო, მთხოვნელმა უამრავი მადლობა გადაუხადა სტალინს, მაგრამ, როცა რეზოლუცია წაიკითხა, ცოტა არ იყოს შეწუხდა: „დაუბრუნეთ პოლკოვნიკს მისი ხარახურა“, — დაეწერა სტალინს.

— ამხანაგო სტალინ, თქვენ შეცდომით ჩაგიწერიათ პოლკოვნიკი, მე გენერალ-პოლკოვნიკი ვარ.

— მანდ ყველაფერი სწორად წერია, — მკვახედ მოუჭრა სტალინმა.

* * *

**პოლიკარპოვი,** რომელიც მწერლებს კურატორობდა, ჩიოდა, რომ მას დაქვემდებარებული ადამიანები ლოთობენ და, საერთოდ, ამორალურ ცხოვრებას ეწევიან.

სტალინს ეს რომ მოახსენეს, მან თქვა:

— სხვა მწერლები ამხანაგ პოლიკარპოვისთვის ამ მყავს. ჩვენი მწერლებისთვის კი სხვა პოლიკარპოვს ვიპოვით.

* * *

ამბობენ, რომ **ირაკლი ანდრონიკოვი,** რომელიც შესანიშნავად აკეთებდა პაროდიებს პარტიულ ხელმძღვანელებზე, სტალინთან შეხვედრისას უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა ბელადმა თავისი პაროდირება სთხოვა.

— თქვენი? ვერ გავბედავ, — სტალინისთვის დამახასიათებელი ქართული აქცენტით უპასუხა ირაკლი ანდრონიკოვმა და ისეთი ჟესტი გააკეთა, თითქოს ბელადის განუყრელი ჩიბუხი ეჭირა ხელში.

სტალინმა ბევრი იცინა.

* * *

1936 წელს დასავლეთის ქვეყნებში გაავრცელეს ჭორი, თითქოს სტალინი უკურნებელი სენით დაავადდა და გარდაიცვალა. ცნობილი ჟურნალისტი **ჩარლზ ნიტერი** პირადად მივიდა კრემლში ამ ინფორმაციის შესამოწმებლად და მოითხოვა ზეპირი ან წერილობითი პასუხი.

სტალინმა მისწერა:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

უცხოურ პრესაში გავრცელებული ცნობით შევიტყვე, რომ მე კარგა ხანია, დავტოვე ეს ცოდვილი სამყარო და იმქვეყნად გადავსახლდი. რადგან უცხოური პრესის ცნობებს არ შეიძლება, არ ვენდოთ, თუ არ გვსურს, ამოგვრიცხონ ცივილიზებული ადამიანების სიიდან, გთხოვთ, ირწმუნოთ ეს ცნობა და არ დამირღვიოთ სიმყუდროვე იმქვეყნიური სამყაროს სიჩუმეში.

1936 წლის 26 ოქტომბერი.
პატივისცემით ი. სტალინი“

* * *

მწერალ **ზლობინის** რომანი „სტეფანე რაზინი“ სტალინური პრემიის მოსაპოვებლად არ წარადგინეს. სტალინი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **ფადეევს** შეეკითხა, რატომ დაიწუნეს ეს წიგნი?

ფადეევმა უპასუხა:

— ამხანაგო სტალინ, ზლობინი არასოდეს ესწრება ჩვენს ღონისძიებებს და, საერთოდ, არავითარ საზოგადოებრივ საქმიანობას არ ეწევა.

— იქნებ, ამ დროს წერს? — დაინტერესდა სტალინი.

* * *

როცა მწერალი **მანდელშტამი** დააპატიმრეს და გადაასახლეს, **პასტერნაკის** ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა:

— თქვენ დაგელაპარაკებათ ამხანაგი სტალინი.

— ამხანაგი პასტერნაკი ხართ? — დამახასიათებელი აქცენტით იკითხა სტალინმა.

— დიახ, ამხანაგო სტალინ, — გააცივა ბორის პასტერნაკს.

— რა აზრის ხართ მანდელშტამზე, როგორ მოვექცეთ მას?

— თქვენ უკეთ იცით, — წაილუღლუღა პასტერნაკმა.

— თავის დროზე ჩვენ უკეთ ვიცოდით მეგობრების დაცვა, — თქვა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

* * *

როცა ცეკას მდივნის — **ანდრეი ჟდანოვის** საყვარელი კომპოზიტორი **გოლუბევი** სტალინურ პრემიაზე წარადგინეს, ეჭვი არავის შეპარვია, რომ იგი აუცილებლად გახდებოდა ლაურეატი. მართლაც, კომისიის ყველა წევრმა მისცა მას ხმა პირველი ხარისხის სტალინური პრემიის მოსაპოვებლად.

როცა სტალინს ეს ქაღალდები ხელმოსაწერად მიუტანეს, მისი ყურადღება ასეთმა უცნაურობამ მიიპყრო: გოლობევი — ყველა მომხრე, წინააღმდეგი — ერთი.

— ვინ არის ეს ერთი? — დაინტერესდა ბელადი.

— კომპოზიტორი **შოსტაკოვიჩი.**

— იგი ჩვენზე უკეთ ერკვევა მუსიკაში, — თქვა სტალინმა, რომელიც შესანიშნავად იცნობდა შოსტაკოვიჩს, და ამოშალა გოლუბევი კანდიდატების სიიდან.

* * *

მოსკოვში სტალინს ესტუმრა თბილისის სასულიერო სემინარიელი მეგობარი მღვდელი. კრემლში მისვლამდე იკითხა, — მღვდლის ანაფორით უნდა წვეოდა ბელადს, თუ სამოქალაქო ტანსაცმელში. უთხრეს, რომ უკეთესი იქნებოდა, სამოქალაქოს თუ ჩაიცვამდა.

სტალინმა თავისი ძველი მეგობარი თბილად მიიღო, გადაეხვია, შემდეგ ტანსაცმელზე მოქაჩა:

— ღმერთის არ გეშინია და ჩემი შეგეშინდა?!

* * *

ეს ამბავი ანეკდოტს ჰგავს. სტალინი მეტეოროლოგებს რომ შეხვდა, ჰკითხა, თუ რამდენი პროცენტით მართლდებოდა მათი ვარაუდი.

— 40 პროცენტით, — ცოტათი შეწუხებულებმა უპასუხეს „ამინდის მარჩიელებმა“.

— პროგნოზი პირიქით გამოაცხადეთ და მაშინ სიზუსტე 60 პროცენტამდე გაიზრდება, — „ურჩია“ სტალინმა.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

ერთხელ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს: რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში პროდასავლური სატელევიზიო არხის არსებობა? ლავროვმა უპასუხა: ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანი საქართველოში პროქართული არხი ყოფილიყოო. ლავროვმა, ფაქტობრივად, უთხრა: მეგონა, თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, საქართველოს ინტერესები გაგეტარებინათო. ასეთი მესიჯი უკუღმა მოაზროვნე ლიბერალებს ანტიქართულ და საფრთხის შემცველ მოწოდებად მიაჩნიათ. სამაგიეროდ, დასავლეთიდან წამოსული ნებისმიერი მოწოდება და მითითება უზენაესია და ღვთის კურთხევის ტოლფასია.

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრო... ანუ გახლეჩილი ვექტორები




**„პრო“ ვისიმე ან რისიმე ინტერესებით მოქმედებას ნიშნავს. ეს განმარტება ხომ გავიგეთ, ახლა გავიხსენოთ ცნობილი გამონათქვამები ჩვენი პოლიტიკური ლექსიკონიდან: „პრორუსული“, „პროდასავლური“, „პროამერიკული“, „პროქართული“... ჩამოთვლილი თითოეული სიტყვა იმ ვექტორზე მიუთითებს, რომლებისკენაც მიემართებიან მისი წარმომადგენლები.**

რომელი ვექტორია ჩვენთვის ყველაზე მისაღები? — თითქოს იოლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა: რადგან „პრო“ ნიშნავს ვისიმე ინტერესებით მოქმედებას. ჩვენთვის უპრიანი უნდა იყოს პროქართული ორიენტაცია და მიმართულება, რადგან ეს მიანიშნებს, რომ ჩვენ ქართული ინტერესების მიხედვით ვმოქმედებთ.

ეს ერთი შეხედვით ჩანს ლოგიკური და მისაღები, მაგრამ ლიბერალური პოლიტიკის მესვეურთ პროქართული ვექტორი ისეთივე საშიშ მიმართულებად მიაჩნიათ, როგორც პრორუსული. არ გჯერათ? აი, რას ამბობს ამის თაობაზე ცნობილი ლიბერალი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი **გიგა ბოკერია: „საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ ვითომ პატრიოტი ძალები, რომლებიც ამბობენ: „ჩვენ არც პრორუსულები ვართ, არც პროდასავლურები, არამედ ვართ პროქართულებიო. ამით ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს დასავლეთში ინტეგრაციას, გულისხმობენ ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ მოქმედებას და ცდილობენ იმ ჭაობში დაბრუნებას, რომელსაც საბჭოთ კავშირი ჰქვია“.**

ლიბერალებისთვის პროქართული ორიენტაცია ნიშნავს პრორუსულს(?!). სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს ინტერესებისთვის მოქმედება ითვლება რუსული ინტერესების გატარებად. ეს განა არ არის პარადოქსი? ერთხელ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვს**: რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში პროდასავლური სატელევიზიო არხის არსებობა? ლავროვმა უპასუხა: ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოში პროქართული არხი ყოფილიყოო. ლავროვმა, ფაქტობრივად, უთხრა: მეგონა, თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, საქართველოს ინტერესები გაგეტარებინათო. ასეთი მესიჯი უკუღმა მოაზროვნე ლიბერალებს ანტიქართულ და საფრთხის შემცველ მოწოდებად მიაჩნიათ. სამაგიეროდ, დასავლეთიდან წამოსული ნებისმიერი მოწოდება და მითითება უზენაესია და ღვთის კურთხევის ტოლფასია.

ალბათ, გახსოვთ, 2016 წელს საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა საჯაროდ და საზეიმოდ მიულოცა სოროსის ფონდს საქართველოში მოღვაწეობის 20 წლისთავი და უსურვა წარმატებები „ღვაწლმოსილ“ საქმიანობაში.

**აი, ბატონებო, ეს არის კლასიკური პროდასავლური ვექტორი — საქართველოს პრეზიდენტი მიესალმება სოროსს და მის ფონდს, რომლებიც ანგრევდნენ, ანგრევენ და კვლავაც განაგრძობენ ქართული ღირებულებების ნგრევას. პროდასავლური პოლიტიკა მიესალმება სოროსის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ანტიეროვნულ, ანტიმართლმადიდებლურ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე და აცხადებს, რომ ეროვნება, რელიგია და ეროვნული კულტურები უნდა გაქრეს და მოისპოს.** ისე, სხვათა შორის, უნგრეთის პრემიერმინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** მკვეთრად შეზღუდა სოროსის საქმიანობა თავის ქვეყანაში.

* * *

ორიოდე თვის წინათ გორში დაფუძნდა ორგანიზაცია: „მეგობრობა და სამართლიანობა“ (თავმჯდომარე **ზურაბ მეზვრიშვილი**), რომელიც მიესალმება მეგობრულ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან. ეს ორგანიზაცია პოზიციის გამოცხადების მომენტისთანავე პრორუსულად მონათლეს და ადგილობრივი მასმედიისა თუ ლიბერალური საზოგადოების წარმომადგენლებმა და სალანძღავი სიტყვებიც არ დაიშურეს.

ჩემთვის დღემდე გაუგებარია, გახლეჩილი და დაპირისპირებული ვექტორებით როგორ უნდა შეძლოს საქართველომ სახელმწიფოს მშენებლობა ისე, რომ არ დაკარგოს ეროვნული ღირსება, ერთობა და დამოუკიდებლობა.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ და გავიგოთ, რომ ნებისმიერი ქართველი და ნებისმიერი ქართული მოძრაობა თუ პარტია უნდა იყოს პროქართული, ანუ მოქმედებდეს საქართველოს ინტერესებით და იმის გაცნობიერებით, რომ ნებისმიერი ვექტორით მოქმედება, რუსული იქნება ეს თუ დასავლური, ისევ და ისევ საქართველოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. საქართველოს ინტერესებს კი ის მოქმედებები ემსახურება, რომლებიც კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს და ავითარებს ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს, ჩვენს სულიერებას, კულტურასა და ტრადიციებს.

**ბესიკ კაიშაური,**
**საჯარო მმართველობის მეცნიერებათა დოქტორი**

**ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ და გავიგოთ, რომ ნებისმიერი ქართველი და ნებისმიერი ქართული მოძრაობა თუ პარტია უნდა იყოს პროქართული, ანუ მოქმედებდეს საქართველოს ინტერესებით და იმის გაცნობიერებით, რომ ნებისმიერი ვექტორით მოქმედება, რუსული იქნება ეს თუ დასავლური, ისევ და ისევ საქართველოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. საქართველოს ინტერესებს კი ის მოქმედებები ემსახურება, რომლებიც კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებს და ავითარებს ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს, ჩვენს სულიერებას, კულტურასა და ტრადიციებს**

**კლასიკური პროდასავლური ვექტორი — საქართველოს პრეზიდენტი მიესალმება სოროსს და მის ფონდს, რომლებიც ანგრევდნენ, ანგრევენ და კვლავაც განაგრძობენ ქართული ღირებულებების ნგრევას. პროდასავლური პოლიტიკა მიესალმება სოროსის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ანტიეროვნულ, ანტიმართლმადიდებლურ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე; რომელიც აცხადებს, რომ ეროვნება, რელიგია და ეროვნული კულტურები უნდა გაქრეს და მოისპოს**

## თბილისში ირანელების მიერ შეძენილი ბინების რაოდენობამ 2-დან 61%-მდე მოიმატა

**TBC Capital-ის კვლევის თანახმად, 2019 წლის პირველ ნახევარში თბილისში გაყიდული ბინების 8% უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მოდის. უცხოელების მიერ თბილისში ბინების შეძენის ტენდენცია 2015-2018 წლებში მყარად იზრდება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი 2018 წელს აღირიცხა, როდესაც წლის განმავლობაში თბილისში გაყიდული ბინების 13% უცხოელების მიერ იქნა შეძენილი, 2015 წელს მათი წილი 3% იყო.**

განსაკუთრებული მატება შეინიშნება ირანის მოქალაქეების მიერ თბილისში შეძენილ ბინებზე: 2015 წელს იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, რომლებმაც თბილისში შეიძინეს ბინები, ირანელების წილი 2% იყო, 2016-ში – 8%, 2017 წელს – 27%, 2018 წელს კი — 61%.

შემცირდა რუსეთის მოქალაქეების მიერ თბილისში ბინების შეძენის შემთხვევები. 2015 წელს უცხო ქვეყნებიდან თბილისში ბინების შემსყიდველებში მათი წილი 42% იყო, 2016 წელს — 32%, 2017 წელს — 22%, ხოლო 2018 წელს – 10%.

2015 წლიდან დღემდე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე



გაყიდული ბინების 42% ირანელებზე მოდის, 18% — რუსებზე, 11% კი — ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებზე.

## აშშ-ს სირიიდან სამხედრო ძალები გაჰყავს

**ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიიდან სამხედრო დანაყოფები გაჰყავს და „ისლამური სახელმწიფოს“ ტყვეებზე სრულ პასუხისმგებლობას თურქეთს აკისრებს. — იუწყება დასავლური მედია. ამერიკული ძალები გადიან სასაზღვრო-საგუშაგო პოსტებიდანაც.**

„თურქეთი სირიაში დიდი ხნის წინათ დაგეგმილ ოპერაციას იწყებს“, — განაცხადეს თეთრ სახლში რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და დონალდ ტრამპის სატელეფონო საუბრის შემდეგ. თურქეთის პრეზიდენტ **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** თქმით, თურქეთი ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში სამხედრო ოპერაციას იწყებს სასაზღვრო ზოლის ქურთული დაჯგუფებებისგან გაწმენდის მიზნით. შეერთებული შტატები არც მხარს უჭერს და არც ერთვება ამ სამხედრო ოპერაციაში.



მსოფლიო

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შარშან უკვე დააწესა 25%-იანი საბაჟო მოსაკრებელი ფოლადზე და 10%-იანი — ალუმინზე, მათ შორის ევროკავშირიდან იმპორტირებულზე. საპასუხოდ ევროკავშირმა საბაჟო მოსაკრებლები 2,5 მლრდ დოლარის მოცულობით გაზარდა ამერიკულ საქონელზე, მათ შორის „ჰარლეი-დევიდსონის“ მოტოციკლებზე, ჯინსებსა და ბურბონზე. 13 ნოემბერს ტრამპი, ალბათ, მიიღებს გადაწყვეტილებას ბაჟის მომატებაზე ავტომობილებსა და მათ დასაკომპლექტებელ ნაწილებზე.**

# სავაჭრო ომი აშშ-სა და ევროკავშირს შორის: ტრამპმა ევროპას დაარტყა

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ (მსო) ნება დართო აშშ-ს, ყოველწლიურად 7.5 მლრდ მოცულობის ბაჟი დააწესოს ევროპულ საქონელზე — ეს არის პასუხი ევროკავშირის მიერ ფრანგულ ავიასამშენებლო კონცერნ Airbus SE-ს სუბსიდირებაზე. ვაშინგტონის აზრით, ამ სუბსიდიებმა დააზარალა ამერიკული კომპანია Boeing-ი და ხელი შეუშალა მას, წარმატებული კონკურენტი ყოფილიყო ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე, ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, სინგაპურსა და ავსტრალიაში.**



ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ავიამწარმოებლების — Airbus-ისა და Boeing-ის სუბსიდირების გამო დავა 10 წელზე მეტხანს გრძელდება. მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ Airbus-ის (ევროკავშირის მხრიდან) და Boeing-ის (აშშ-ის მხრიდან) უკანონო დაფინანსებაში.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული თანხა ყველაზე დიდია ამ ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ისტორიაში — ის ორჯერ მეტია 2002 წელს დამყარებულ რეკორდზე (4,04 მლრდ). **მსო-ს ბოლო გადაწყვეტილება აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციას გზას უხსნის ახალი ფრონტის გასახსნელად სავაჭრო ომში,** — წერს გამოცემა Dow Jones-ი, რომელიც ამ გადაწყვეტილებას საჩვენებელს უწოდებს იმ კუთხით, რომ მიღებულია ტრამპის სასარგებლოდ, რომელიც იმუქრებოდა, რომ აშშ-ს გაიყვანდა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციიდან. გადაწყვეტილება ძალაში შევა 18 ოქტომბრის შემდეგ. თავის დროზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ უკანონოდ მიიჩნია აშშ-ის სუბსიდიები Boeing-ისთვის და მომავალი წლის პირველი ნახევრიდან უნდა მიეღო გადაწყვეტილება იმ ამერიკული საექსპორტო პროდუქციის შესახებ, რომლისთვისაც ევროკავშირს ახალი ბაჟი უნდა დაეწესებინა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილება სიმტკიცეზე გამოცდა იქნება აშშ-ისა და ევროკავშირის ურთიერთობისა, რომლებიც ადრე ერთმანეთისთვის ახალი საბაჟო გადასახადების დაწესების გარეშე აგვარებდნენ ხოლმე წარმოქმნილ უთანხმოებას, — ამბობენ Dow Hones-ის მიერ გამოკითხული ექსპერტები.

2019 წლის 11 აპრილს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა საბოლოო ანგარიში კონცერნ Boeing-ის გარშემო დავის შესახებ და აღიარა, რომ აშშ-ის სუბსიდიებმა 12 მლრდ-ის ოდენობით დაარღვიეს პატიოსანი კონკურენციის პრინციპები ევროპული Airbus-ის მიმართ და ის მნიშვნელოვნად დააზარალა. საჩივრები სუბსიდიების კანონიერების შესახებ Boeing-ისა აშშ-ის მხრიდან და Airbus-ისა ევროკავშირის მხრიდან ერთ დღეს, 2004 წლის 6 ოქტომბერს, მიიღო მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციამ. 2018 წლის მაისში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ევროკავშირის მხრიდან Airbus-ის დაფინანსება Boeing-ის ინტერესების შელახვად აღიარა, აშშ კი მყისვე დაემუქრა ევროკავშირს საჯარიმო ზომებით.

აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, აშშ-ისთვის ნება დაერთო, ახალი საბაჟო

**«აშშ-ის მიერ დაწესებული ახალი საბაჟო გადასახადების მიხედვით, ევროპული ავიამშენებლები, რომლებიც თვითმფრინავებს ყიდიან აშშ-ში, 10%-იან ბაჟს გადაიხდიან, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლები კი — 25%-ს»**

გადასახადები დაეწესებინა ევროკავშირის საქონელზე, გამარჯვება უწოდა. **„ეს საქმე, წლებია, გრძელდება. დიდებული გამარჯვებაა!“** — განაცხადა ტრამპმა და დასძინა, რომ ამით ვაშინგტონმა 7,5 მლრდ დოლარი მოიგო. მისი თქმით, ევროკავშირი მრავალი წლის განმავლობაში ცუდად ეპყრობოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამაზე მეტყველებს საბაჟო გადასახადები და სავაჭრო ბარიერები.

„აშშ-ის მიერ დაწესებული ახალი საბაჟო გადასახადების მიხედვით, ევროპული ავიამშენებლები, რომლებიც თვითმფრინავებს ყიდიან აშშ-ში, 10%-იან ბაჟს გადაიხდიან, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლები კი — 25%-ს“, — განაცხადა აშშ-ის სავაჭრო სფეროს წარმომადგენელმა **რობერტ ლაიტჰაიზერმა.** მისი თქმით, **ახალ საბაჟო მოსაკრებლებს, ძირითადად, დაუწესებენ საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან იმპორტირებულ საქონელს. კერძოდ, ის შეეხება ვისკის შოტლანდიიდან და ირლანდიიდან, გერმანულ სოსისებსა და ძეხვებს, იტალიურ ყველს, ფრანგულ ესპანურ და იტალიურ ღვინოებსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს, აგრეთვე, „კრისტიან დიორისა“ და „ჰერმესის“ მიერ ტყავისგან დამზადებულ ნივთებს.**



**ახალ საბაჟო მოსაკრებლებს, ძირითადად, დაუწესებენ საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან იმპორტირებულ საქონელს. კერძოდ, ის შეეხება ვისკის შოტლანდიიდან და ირლანდიიდან, გერმანულ სოსისებსა და ძეხვებს, იტალიურ ყველს, ფრანგულ ესპანურ და იტალიურ ღვინოებსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს, აგრეთვე, „კრისტიან დიორისა“ და „ჰერმესის“ მიერ ტყავისგან დამზადებულ ნივთებს**

უფრო ადრე „ბლუმბერგი“ იუწყებოდა, რომ ტრამპი გეგმავდა, გამოეყენებინა ე.წ. კარუსელი — რეგულარული ცვლილება იმ ევროპული საქონლის ჩამონათვლისა, რომლებსაც ახალი საბაჟო მოსაკრებელი დაუწესდებათ. ასეთი მიდგომა, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, გააძლიერებს სავაჭრო გაურკვევლობას და მაქსიმალურად დააზარალებს ევროპულ ბიზნესს.

**მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო მოსაკრებელი ეხება ევროპული საქონლის მცირე ნაწილის იმპორტს, მას შეუძლია კიდევ უფრო გაამწვავოს ისედაც დაძაბული ურთიერთობა ვაშინგტონსა და ბრიუსელს შორის.**

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შარშან უკვე დააწესა 25%-იანი საბაჟო მოსაკრებელი ფოლადზე და 10%-იანი — ალუმინზე, მათ შორის ევროკავშირიდან იმპორტირებულზე. საპასუხოდ ევროკავშირმა საბაჟო მოსაკრებლები 2,5 მლრდ დოლარის მოცულობით გაზარდა ამერიკულ საქონელზე, მათ შორის „ჰარლეიდევიდსონის“ მოტოციკლებზე, ჯინსებსა და ბურბონზე. 13 ნოემბერს ტრამპი, ალბათ, მიიღებს გადაწყვეტილებას ბაჟის მომატებაზე ავტომობილებსა და მათ დასაკომპლექტებელ ნაწილებზე.

აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ხდება სავაჭრო კონფლიქტების ფონზე აშშ-სა და ჩინეთს შორის.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ევროკავშირი მზად არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგ საპასუხო ზომების მისაღებად




**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც აშშ-ს შეუძლია, ახალი საბაჟო მოსაკრებელი დააწესოს ევროპიდან იმპორტირებულ საქონელზე, აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელმა რობერტ ლაიტჰაიზერმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი იმედოვნებს მოლაპარაკებების დაწყებას ბრიუსელთან, მაგრამ იტოვებს უფლებას, ნებისმიერ მომენტში მოუმატოს საბაჟო მოსაკრებელს.**

„თუკი ვინმე დააწესებს ახალ საბაჟო მოსაკრებელს ჩვენი საავიაციო დარგის მიმართ, ჩვენც ანალოგიურად მოვიქცევით“, — განაცხადა 2 ოქტომბერს ევროკომისიის თავმჯდომარე **ჟან-კლოდ იუნკერმა.**

სანამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას არ გამოუტანია გადაწყვეტილება „ბოინგის“ მიმართ, ევროკავშირს შეუძლია გაუუქმოს მას და სხვა ამერიკულ კომპანიებს შეღავათები, — წერს „უოლსტრიტ ჟორნალი“, თუმცა ასეთ შემთხვევაში დიდია კონფლიქტის ესკალაციის რისკი.

ევროკომისარმა ვაჭრობის საკითხებში — **სესილია მალმსტრიომმა** აშშ-ის გადაწყვეტილებას, ყოველწლიურად 7,5 მლრ დოლარით მოუმატოს საბაჟო მოსაკრებელი ევროკავშირიდან იმპორტირებულ საქონელზე, „არაშორსმჭვრეტელური და კონტრპროდუქტიული“ უწოდა:

„ევროპის კავშირი ცნობად იღებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებას Airbus-ის საქმეზე და შესაძლო კონტრზომების დონეს. თუ აშშ მართლაც მოუმატებს საბაჟო მოსაკრებლებს ევროპულ საქონელზე, ეს იქნება არაშორსმჭვრეტელური და კონტრპროდუქტიული. ჩვენი მზადყოფნა სამართლიანი გადაწყვეტილების პოვნის თაობაზე, უცვლელია, მაგრამ, თუ აშშ გადაწყვეტს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის მიერ სანქცირებული ზომების გატარებას, ეს ევროკავშირს სხვა გზას არ დაუტოვებს, გარდა იმისა, რომ ჩვენც ანალოგიური რამ გავაკეთოთ“, — განაცხადა მალმსტრიომმა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

„დიდ საიდუმლოს, ალბათ, არ გავამხელ, მაინც ყველასთვის ცნობილი იქნება. ჩვენ ახლა ვეხმარებით ჩინელ პარტნიორებს რაკეტების თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემის შექმნაში. ეს ძალიან სერიოზული რამ არის და კაპიტალურად, კარდინალურად ამაღლებს ჩინეთის თავდაცვისუნარიანობას, იმიტომ, რომ ასეთი სისტემა ამჟამად აქვს მხოლოდ რუსეთსა და აშშ-ს“, — განაცხადა რუსეთის ლიდერმა 3 ოქტომბერს სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ სხდომაზე.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოსკოვმა პეკინს სარაკეტო თავდასხმის ადრეული გაფრთხილების სისტემის ტექნოლოგიები გაუზიარა

**ეს სისტემა საშუალებას იძლევა, აღმოაჩინოს ბალისტიკური რაკეტების გაშვება, რომელიც ჩინეთს ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან ატომური შეტევისგან დაიცავს. ვლადიმერ პუტინის თქმით, ასეთი სისტემები აქვს მხოლოდ რუსეთსა და ამერიკას.**



„დიდ საიდუმლოს, ალბათ, არ გავამხელ, მაინც ყველასთვის ცნობილი იქნება. ჩვენ ახლა ვეხმარებით ჩინელ პარტნიორებს რაკეტების თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემის შექმნაში. ეს ძალიან სერიოზული რამ არის და კაპიტალურად, კარდინალურად აამაღლებს ჩინეთის თავდაცვისუნარიანობას, იმიტომ, რომ ასეთი სისტემა ამჟამად აქვს მხოლოდ რუსეთსა და აშშ-ს“, — განაცხადა რუსეთის ლიდერმა 3 ოქტომბერს სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ სხდომაზე.

ჩინეთისთვის გაწეული დახმარება რაკეტების თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემების შექმნაში უპრეცედენტოა სამხედრო-პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით.

რაკეტების თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემა 1970-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა საბჭოთა კავშირში და დღემდე წარმატებით მოქმედებს. ის შედგება მიწისზედა და კოსმოსური ეშელონებისგან: სისტემის მიწისზედა ეშელონი წარმოდგენილია რადიოსალოკაციო სადგურებით, კოსმოსურ ეშელონში კი შედის გეოსტაციონარულ ორბიტაზე მოძრავი თანამგზავრები. ყველა ეს ობიექტი მომართულია, რომ შეამჩნიოს და აღრიცხოს რაკეტების გაშვების ფაქტები, გამოთვალოს მისი ტრაექტორიები და განსაზღვროს ატომური დარტყმის წერტილები. ამასთანავე, მნიშვნელობა არ აქვს, მტრის რაკეტებზე დაყენებულია თუ არა ატომური ქობინები — თვით ფაქტი რაკეტების გაშვებისა აღიქმება, როგორც ატომური კონფლიქტის დაწყება.

**რუსეთის საზღვრების გასწვრივ შექმნილია რადიოსალოკაციო ველი, რომელიც ნებისმიერი მიმართულებიდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ამიერიდან მსგავსი სისტემა ჩინეთსაც ექნება**



ამას გარდა, საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების შესახებ შეთანმებიდან აშშ-ის გასვლის შემდეგ რუსეთს მოუწია ვაშინგტონის ქმედებებზე საპასუხო ვარიანტების მოძებნა, მათ შორის რაკეტების თავდასხმის გამაფრთხილებელი სისტემის განახლება, რადგან ამ სისტემის მნიშვნელობამ მკვეთრად მოიმატა.

რუსეთის საზღვრების გასწვრივ შექმნილია რადიოსალოკაციო ველი, რომელიც ნებისმიერი მიმართულებიდან გაშვებული ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ამიერიდან მსგავსი სისიტემა ჩინეთსაც ექნება.



# ტრამპს «სი-ენ-ენის» ნაცვლად ახალი მედიასაშუალების შექმნა სურს

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გააკრიტიკა ტელეარხი „სი-ენ-ენი“ და სხვა ამერიკული მედიასაშუალებები აშშ-ის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელების გამო და წამოაყენა წინადადება, შეიქმნას ახალი მედია უცხოეთში მაუწყებლობისთვის. ტრამპის აზრით, „რადიო თავისუფლება“ და „ამერიკის ხმა“ თავს ველარ ართმევენ, თვალყურს ველარ ადევნებენ ტრამპის სტენოგრამებს, რომლებიც თეთრი სახლის ვებგვერდზე ქვეყნდება.**

პრეზიდენტის განცხადებით, უცხოეთში ყოფნისას მას ხშირად ეუბნებიან, რომ ამერიკულ მასმედიას სძულს აშშ. „ეს, უბრალოდ, სამარცხვინოა!“ — განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის ლიდერის აზრით, „სი-ენ-ენი“ ძალიან ვნებს აშშ-ს და ამიტომ საჭიროა, ქვეყანაში შეიქმნას ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელიც „ნამდვილ ახალ ამბებს“ გაავრცელებს. **„ჩვენ რაღაც უნდა მოვუხერხოთ ამას. ავიყვანოთ ნიჭიერი ადამიანები და არ დავუშვათ ყალბი ინფორმაციის გავრცელება“,** — განაცხადა დონალდ ტრამპმა.




# უკრაინის გენპროკურორი გადახედავს ყველა საქმეს, რომლებიც გახმაურდა ტრამპისა და ზელენსკის სატელეფონო საუბრის შემდეგ

**უკრაინის გენერალურმა პროკურორმა რუსლან რიაბოშაპკამ განაცხადა, რომ მისი უწყება გადახედავს საქმეებს, რომლებიც დახურულია წინა ხელმძღვანელობის მიერ, მათ შორის, საქმეს, რომელიც გახმაურდა ტრამპისა და ზელენსკის სატელეფონო საუბრის შემდეგ.**

რიაბოშაპკის თქმით, სიაში საქმეებისა, რომლებიც აუდიტს ექვემდებარება, არის ისეთებიც, „რომლებშიც ფიგურანტებად შეიძლება იყვნენ ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილი მინისტრი, Burisma Group-ის მფლობელი **ნიკოლაი ზლოჩევსკი** და სხვები. აუდიტის დასკვნის მიხედვით, ასეთი საქმეების რაოდენობამ შეიძლება მოიმატოს.

# კიევი დონბასთან სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენაზე ალაპარაკდა

**უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვადიმ პრისტაიკომ განაცხადა, რომ დონბასთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი შეიძლება აღდგეს.**




პრისტაიკომ აღნიშნა, რომ სტანიცა ლუგანსკაიაში ხიდის აღსადგენი სამუშაოების დასრულების შემდეგ დონბაისში დაიწყება ხიდებისა და გადასასვლელების მშენებლობა.

# კოსოვოს «საგარეო საქმეთა მინისტრმა» წამოროშა, რომ ქვეყნის «დამოუკიდებლობის» აღიარების მიზნით სხვადასხვა ქვეყანა მოისყიდა



**კოსოვოს „საგარეო საქმეთა მინისტრმა“, ოლიგარქმა ბეჯეტ პაცოლიმ, ავსტრიული ნავთობკომპანია ONV-ს ერთ-ერთმა აქციონერმა, წაიტრაბახა, რომ საკუთარი თანხები დახარჯა, რათა „დამოუკიდებლობის“ აღიარება მოეპოვებინა სერბეთისთვის წაგლეჯილი მხარისთვის. ალბანელმა მაღალჩინოსანმა ეს თავისი პარტიის — „ალიანსი ახალი კოსოვოსთვის“ მიერ გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე განაცხადა გნილანში.**

„მე პირადად მოვიპოვე 43 აღიარება ჩემი თანხებით და ამას კიდევ გავაკეთებ!“ — განაცხდა პაცოლიმ.




„კოსოვოს დამოუკიდებლობა ისეთი პრობლემურია, რომ აღწერას არ ექვემდებარება. საგარეო საქმეთა მინისტრი აღიარებს, რომ მოსყიდვით მოიპოვა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. ეს კი ეწინააღმდეგება საღ აზრს, საერთაშორისო სამართალს. ეს არის აღიარება იმისა, რომ ეს სახელმწიფო დაფუძნებულია კორუფციასა და მექრთამეობაზე“, — განაცხადა სერბმა პოლიტოლოგმა **დეიან ვუკ სტანკოვიჩმა.**

**გვერდი მოამზადა ნიკა კორინთელმა**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საიდამ შემოგვეპარა, საიდამ შემოგვეჩვია და როგორ დაიჭირა დღეს უგემურმა „მე“-მ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს მბრძანებლობდა მარტო „ჩვენ“ ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ? რამ წაგვახდინა ესე?“**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

ჩვენს ქვეყანაში პრობლემები თითქმის არ იცვლება, ხოლო დიდი ადამიანის აზრებს არასოდეს გასდის ყავლი...

სულმნათმა ილიამ თავის დროზე ქართველების სიზარმაცეს მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ მიუძღვნა — შექმნა ლუარსაბის დაუვიწყარი სახე, რამაც მაშინ ბევრი ქართველი გაანაწყენა, რადგან სიმართლისთვის თვალის გასწორება არ უნდოდათ. ასეა დღესაც — არც ჩვენ გვინდა თვალი გავუსწოროთ იმ რეალობას, რომ ქვეყანა ჩვენივე სიზარმაცით დავაქციეთ. როგორც ილია წერს, „ყვირილით კი ბევრს ვყვირით და ძალიან ხმამაღლაცა, ყველას ვარწმუნებთ, რომ გულწრფელად გვსურს რაიმე საქმის გაკეთება და საქმით კი ხელსაც არა ვძრავთ. პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით, ვცხარობთ, ვყვირით, ვჩხუბობთ, და მინამდე საქმემდის მივალთ, ჩალასავით აპილპილებული ჩალასავით ჩავქრებით ხოლმე“.

შედეგად, ჩვენ არ გვაქვს ეროვნული მრეწველობა, ეროვნული სოფლის მეურნეობა, ეროვნული განათლება, ეროვნული კულტურა...

ამიტომ გვიწოდებენ მესამე კატეგორიის ქვეყანას, განვითარებად ქვეყანას; ქვეყანას, რომელიც სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა და ა.შ.

„რა არის ამის მიზეზი? შური, მტრობა, ცრუ თავმოყვარეობა, წვრილმანობა“, „აი რა მიუძღვის წინ ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს, აი რა გვიშლის ხელს ყველგან და ყოველისფრის საქმეში; ყველგან, საზოგადო საქმეში თუ ცხოვრებაში“. ერი კი სრულყოფილი მაშინ ხდება, როდესაც იგი ეროვნულ სახელმწიფოებრიობას აყალიბებს. ამისთვის კი თავისუფლებაა საჭირო...

მაგრამ რა არის თავისუფლება?

რეალურად, დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ეს არის ყველაფრის უფლების ქონა — რასაც გინდა და როგორც გინდა, ისე რომ აკეთებ და საერთოდ არ გაინტერესებს, მოსაწონია, დასაძრახია თუ დამღუპველი ეს ყველაფერი ერისთვის, ქვეყნისთვის; როცა არ გაქვს მოვალეობის განცდა სხვა ადამიანებისა და საერთოდ ერის მიმართ. არადა, უფლება და მოვალეობა სწორედ რომ ერთად არის ნანატრი თავისუფლება!

ვართ თუ არა ჩვენ დამოუკიდებელი და თავისუფალი ერი?

დამოუკიდებლობა კი მოვიპოვეთ, მაგრამ თავისუფლება — ვერა, რადგან ჩვენი ხელისუფლებები ხან „ძველ პატრონთან“ დაბრუნებას ცდილობენ, ხან „ახალ პატრონს“ ეძებენ, ხანაც „დამოუკიდებლად ფუსფუსებენ“ — ვითომ საქმეს აკეთებენ... ამით თანდათან ვშორდებით თავისუფლებას. არადა, დღეს საფრთხე სწორედ ჩვენს თავისუფლებას ემუქრება და არა დამოუკიდებლობას, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა.

ერის ავადმყოფობას ხელისუფლებამ უნდა უმკურნალოს, მაგრამ, თუ მას საამისოდ არც ცოდნა, არც კვალიფიკაცია არ გააჩნია, ერმა თავად უნდა მიხედოს საკუთარ თავსო, მაგრამ „სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად ულლის წევა! კალიამაც-კი გვაჯობა, კალიამაც! ასე იცის ჩვეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის ამ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ“, — წერდა ილია 1889 წელს ვაზის სნეულებების თაობაზე დაწერილ წერილში. კალიამაც კი გვაჯობაო!

ჩვენ?

ჩვენ ხომ ფაროსანამ გვაჯობა?! თანაც როგორ — მთელი გურია, სამეგრელო და იმერეთი გადაჭამა, გაანადგურა თხილის მოსავალი და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურები. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისთვის 2018 წელს სახელმწიფომ 50 მლნ გამოყო, მთავრობამ 360 ათასი ქიმიური პრეპარატი შეიძინა მილიონ ჰექტრამდე ფართობის შესაწამლად. შესყიდული შესაწამლი საშუალება განკუთვნილია ხეხილისა და ნათესი ფართობების, ასევე მიტოვებული და დასახლებული ნაკვეთების დამუშავებისთვის. მოსახლეობა? მოსახლეობამ თვითონ უნდა იმტვრიოს თავი საკარმიდამო ბაღების შესაწამლად, საკუთარი სახსრებით. აკი ზემოთ ვთქვით კიდეც: „სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად ულლის წევა!“

თუ გლეხს არ აქვს იმის საშუალება, რომ შეწამლოს თავისი კარ-მიდამო, რა, ფაროსანა საკარმიდამო ნაკვეთიდან ფეხს არ მოიცვლის?! ხომ ფაქტია, რომ ეს 50 მლნ წყალში ჩაიყრება?

პასუხს ისევ ილიას დავესესხები: „ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს“.

# «ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს»



**«ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვიყვარს, სიტყვით ოქროს კოშკებს დავსდგამთ, მთებს შევსძრავთ და, თუკი საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე ყველა უკან ვსდგებით, ცალკ-ცალკე ვიფანტებით, შორიდამ გულგრილად ვუცქერით საქმესა და თან კიდეც ვკვირობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე არა ხერხდებაო»**

## შემოქმედობა და საზოგადოება

* „ეს საშინელი სენი უქმობისა, თავის-თავის არ-პატრონობისა, თავის-თავის არშველისა ისე არსად არ არის ხელ-აღებით მოკიდებული, როგორც ჩვენს თავადაზნაურობაში“. *(„თავად-აზნაურობის გულგრილობა სწავლა-განათლების საქმეში“. 1886 წ. 8 აპრილი).*

* **„ამდენმა ხანმა, რომლის განმავლობაში უთვალავი სიმდიდრე და ღონე წაგვერთვა, სულ უქმად და ამაოდ ჩაიარა ჩვენთვის ისე, რომ ერთის იოტის ოდენა ჭკუაც არ გვასწავლა, როგორ მოვუაროთ ჩვენს თავსა და რა წამალი დავსდვათ. საკვირველია, ამოდენა ხალხში ერთი იმისთანა კაცი არ გამოგვიჩნდა, რომ თავისთავად დაჰკვირვებოდა ამ საგანსა და აქაურ ბუნების მიხედვით მისი ვითარება თვითონაც ცოტად თუ ბევრად გაეგოს და სხვებისათვისაც გაეგებინებინა“.**

* „თავისით თვალის ადევნება, თავისით გამოძიება, ან სხვისი გამონაძიების შეთვისება, ცოტად თუ ბევრად გამჭრიახობას ჰთხოულობს, ცოტად თუ ბევრად რთულს გარჯასა და შრომას, და ამიტომაც ამ შემთხვევაში სხვისათვის მიუტევებელ უქმად-ყოფნა ჩვენს მიძინებულს გონებას და დამბლადაცემულს ხალისს ასე თუ ისე შეეწირება, თუმცა ცოდვის დავთარში-კი მაინც ცოდვად დაეწერება სხვილის ასოებით“ *(„ვაზის სნეულებანი“. 1889 წ. 28 დეკემბერი).*



**«სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდელის დღისა, ეგ ლოდინია ის ახალი სენი, რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულებაში ჩასდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველ შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო»**

* „ვაი ის არის, რომ რთულ და ადვილად მოსავლელ საქმეშიაც იგივ ულონობა, უთაურობა, უქმად ყოფნა გამოვიჩინეთ. ...თქვენგან არ გვიკვირს: **სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად ულლის წევა! კალიამაც-კი გვაჯობა, კალიამაც! ასე იცის ჩვეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის ამ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ“** *(„ვაზის სნეულებანი“. 1889 წ. 28 დეკემბერი).*

## უუნარობა – აი რა გვიშლის ხელს საზოგადო საქმეებში

* „ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს. ვერც ერთს საქმეს ბოლოს ვერ გავატანთ ხოლმე. **ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვიყვარს, სიტყვით ოქროს კოშკებს დავსდგამთ, მთებს შევსძრავთ, და თუკი საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე ყველა უკან ვსდგებით, ცალკ-ცალკე ვიფანტებით, შორიდამ გულგრილად ვუცქერით საქმესა და თან კიდეც ვკვირობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე არა ხერხდებაო.** ვიმეორებთ, ყვირილით კი ბევრს ვყვირით და ძალიან ხმამაღლაცა, **ყველას ვარწმუნებთ, რომ გულწრფელად გვსურს რაიმე საქმის გაკეთება და საქმით კი ხელსაც არა ვძრავთ. პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით, ვცხარობთ, ვყვირით, ვჩხუბობთ, და მინამდე საქმემდის მივალთ, ჩალასავით აპილპილებული ჩალასავით ჩავქრებით ხოლმე“** *(„შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე“. 1886 წ. 15 ოქტომბერი).*

* **„რა არის ამის მიზეზი? შური, მტრობა, ცრუ თავმოყვარეობა, წვრილმანობა, — აი რა არის ამის უმთავრესი მიზეზი, აი რა მიუძღვის წინ ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს, აი რა გვიშლის ხელს ყველგან და ყოველისფრის საქმეში. ყველგან, საზოგადო საქმეში თუ ცხოვრებაში“** („შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე“. 1886 წ. 15 ოქტომბერი).

▶

# „ამდენმა ხანმა, რომლის განმავლობაში უთვალავი სიმდიდრე და ღონე წაგვერთვა, სულ უქმად და ამაოდ ჩაიარა ჩვენთვის, ისე, რომ ერთის იოტის ოდენა ჭკუაც არ გვასწავლა“.

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ლოდინი მათხოვარსავით ხელგაწვდილია მუდამ

* „სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდელის დღისა, ეგ ლოდინია ის ახალი სენი, რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულებაში ჩასდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველ შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. სექტემბერი).*

* **„ამაო ლოდინმა სული და გული დაუმშია ადამიანს, ხელფეხი დაუბაწრა, გაუცვითა ნიჭი ნატვრისა, გაუქსუა სურვილი, მოშალა ტანში და ერთობ მოუდუნა მთელი აგებულება, უამისოდაც მოდუნებული“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* „ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვენც ქვეყანაში ვურევივართ და ქვეყანასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* **„ლოდინით მომართული ადამიანი ბაგაში დამწყვდეულ პირუტყვსავით ნებიერადა წევს და იცოხნება ნელ-ნელად, ტკბილად. ამ-გვარის ყოფისათვის მარტო კბილია საჭირო და მაგარი კუჭი. ღვთის მადლით, არც ერთი დაუზოგავს ბუნებას ადამიანისათვის და არც მეორე: კბილიც უჭრის საცოხნელად და კუჭიც მოსანელებლად. ოღონდ-კი საცოხნელი ჰქონდეს და სხვა არა უშავ-რა. საცოხნელი კიდევ თითონ ლოდინია. ვერც კბილს გასცვეთს და ვერც კუჭს მოშლის, და მშიერს, როგორც იქნება, გამოჰკვებავს“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* „ლოდინი ბუნებითაც დინჯი რამ არის. მშვიდობიანი, წყნარი და მთხოვარსავით მუდამ ხელგაწვდილი: მიაწვდი რასმე — მადლობელია და არ მიაწვდი — მაინც მადლობელია. ხელგაწვდით და ღრეჭით თუმცა ჰგავს მათხოვარსა, მაგრამ უმადურობით კი არა“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* „ლოდინში ერთი კიდევ კარგი ის არის, რომ მუქთია. რამდენიც გნებავთ ხარჯეთ, გროში არ გაგივათ. მეორე კიდევ ის არის, რომ თუ მოინდომეთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღება. ამ მხრით ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის კაცისთვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსიო ადამიანის მუდამ დამშეული გული. ამ გზით შეგიძლიანთ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არასდროს“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* „ლოდინი თოკია. თუ ოსტატმა კარგად ხერხიანად გამოიყენა, მაშინ ახსნილიც დაებმის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული“. *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* „იცით, „სულელი“ საიდამ გამოდის? ლოდინიდამ. იცით „სულელის“ ძირი რა არის? ლოდინი. აბა „ლოდინი“ და „სულელი“ — საიდამ სადაო, იკითხავთ. არც ისე შორს არიან ერთმანეთზედ ეს სიტყვები, როგორც თქვენა გგონიათ. იმ კაცს რას ეტყვით, რომელიც „სულ ელის და სულ ელის?“ „სულ ელიო“. მორჩა და გათავდა. გამოცანა ჩვენ გვერგება“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

* **„ვიდრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ყველაზედ უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის, თუ რა თვალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ. უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსაზღვრულ და ბეჯითად განმარტებულ, — თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ“** *(„შინაური მიმოხილვა“. 1881 წ. დეკემბერი).*

## «დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზაკვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა»









## ფაროსანამაც კი გვაჯობა, ფაროსანამაც! «ასე იცის ჩვეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის ამ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ»

### საიდან დაგვჩემდა გულგრილობა?

* „შორიდამ რომ შემოგვხედოს უცხო კაცმა და შენიშნოს, რომ ჩვენ თავად-აზნაურთა საზოგადოებაცა გვყავს ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, ქართული დრამატიული საზოგადოებაც, საკუთარი საადგილ-მამულო ბანკებიც, გაზეთებიც და ჟურნალებიც, მწერალნიცა და მკითხველებიცა, — ყოველივე ეს რომ შენიშნოს, იფიქრებს, ამ საქართველოს ერს არა უჭირს რაო, ცნობიერს ცხოვრებაში წილი ჩაუდვია, სიკეთის და განვითარების გზაზედ ფეხი მკვიდრად მოუკიდებიაო. რასაკვირველია, ცოდვა იქნება, ვსთქვათ, რომ ყოველივე ესე მცირეოდენად მაინც სანუგეშოდ არ მიაჩნდეს მას, ვისაც ჩვენის ერისა და ქვეყნისათვის გული შესტკივა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველს ამას საძირკველი და ნიადაგი რომ შინაურულად გავუსინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ რაღაც აკლიათ, არიან და აღარც არიან“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. თებერვალი).*

* „საიდამ შემოგვეპარა, საიდამ შემოგვეჩვია და როგორ დაიჭირა დღეს უგემურმა „მე“-მ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს მბრძანებლობდა მარტო „ჩვენ“ ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ? რამ წაგვახდინა ესე? ეგ სენი ახალი სენია და საიდამ არის მოსული, ვისი დანერგილია, ეგ ადვილი მისახვდომია: იმისგან, ვისაც უძლური „მე“ უფრო უხდება, ვიდრე ძლიერი და ძალგულოვანი „ჩვენ“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. თებერვალი).*

* **„ასეა თუ არა, ჩვენ კი, როგორც მემატიანე ჩვენის შინაურის ცხოვრებისა, შევნიშნავთ, რომ დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზაკვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა**, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითოეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. თუ ზემოხსენებულნი საზოგადოებანი იმით სანუგეშონი არიან, რომ მაგალითს წარმოგვიდგენენ, რომელშიაც ცხოვლად ჩანს ჩვენის ერის სურვილი ხელახლად „ჩვენობას“ ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, იმის ნიმუშიც არიან, თუ რამოდენად ძლიერია დღეს ჩვენში თვითეულობა, განცალკევება, განზედ დგომა და საკუთარი „მე“ *(„შინაური მიმოხილვა“. 1883 წ. თებერვალი).*

* * *

„ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვენც ქვეყანაში ვურევივართ და ქვეყანასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს“, მაგრამ საიდან შემოგვეპარა, საიდან დაგვჩემდა გულგრილობა?

რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია „ობიექტივში“ ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანში ევროპული მემკვიდრეობის კვირეული ჩატარდა და რაოდენ სამწუხაროც და გასაკვირიც უნდა იყოს, მათ დავით გარეჯა საბოლოოდ გამოაცხადეს ალბანურ ძეგლად და შესაბამისად — თავიანთ საკუთრებადო. მისი ინფორმაციით, გარეჯის ტერიტორიაზე მოეწყო მსვლელობა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროები, ასევე სკოლის მოსწავლეები და სტუდენტი ახალგაზრდობა.

მოგვიანებით ითქვა, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია: აზერბაიჯანული მხარე თვლის, რომ ძეგლები — ჩიჩხიტური და ბერთუბანი ალბანური ძეგლებია, ანუ აზერბაიჯანელთა წინაპრების დანატოვარი, რომლებიც ადრე ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე.

„ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არა ჰყავსო“, — ამბობს ილია მართალი, გულანთებული კაცებიო...

თავის დროზე 6 ათასმა გარეჯელმა შეაკლა თავი აქ შაჰ-აბასს იმის გამო, რომ ეს ადგილი დაეცვა. ჩვენ კი დღეს ვითომც არაფერი — ერთხელ ვიყვირეთ „გარეჯი საქართველოაო“, დროშები ვაფრიალეთ საზღვართან და მორჩა!

ამით დასრულდა ჩვენი პროტესტიც, გვიხარია აზერბაიჯანთან სტარტეგიული მეგობრობა. მაგრამ ის, რომ „21-ე საუკუნეში გართმევენ ეკლესიებს და შემდეგ იქ მიდის გადაფხეკა ფრესკების, ამაზე განგაშის ზარი არ უნდა შემოვკრათ? თუ ასე უნდა ვიყოთ მდუმარედ? ჰოდა, მერე ჩამოვლენ ლავრაშიც, სადაც ამჟამად მოლოცვის პრობლემა არ არის და ქართველი ბერმონაზვნები არიან. თუ გულგრილად ვუყურებთ ყველაფერ ამას, ნურც ის გაგვიკვირდება მერე, ქვეყანაში პრობლემები რომ არის და ღმერთი განსაცდელს გვიმზადებს. სისხლით მორწყულ წმინდა მიწაზე როდესაც უარს იტყვი, რა თქმა უნდა, უფლის სასჯელი მოგევლინება. გასაგებია, რა საშიშ და დიდ ძალასთან გვაქვს საქმე, მაშინ ის მაინც ვთქვათ, რომ ეს არის ქართული ტერიტორია ოკუპირებული აზერბაიჯანის მიერ, ჩავრთოთ საერთაშორისო ორგანიზაციები და არ გავისუსოთ ისე, ვითომც არაფერი არ მომხდარა“, — იმედია, ასე მხოლოდ მჟავანაძე არ ფიქრობს და სხვებსაც ადარდებთ დავით გარეჯას ბედი.

ილიას თქმისა არ იყოს, „რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთ, სხვისგან ბევრს ნურას ველოდებით“. ნუთუ იმის იმედი გვაქვს, რომ აზერბაიჯანული მხარე ერთხელაც იმ ჭკუაზე დადგება, რომ სინით მოგვართმევს დავითგარეჯს?! მაგრამ „სხვაზედ მინდობა ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერობაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უდაბურს ტინზედ გარიყავს, — შენს თავს შენვე მოუარეო“.



## გვიხარია აზერბაიჯანთან სტარტეგიული მეგობრობა. მაგრამ ის, რომ «21-ე საუკუნეში გართმევენ ეკლესიებს და შემდეგ იქ მიდის გადაფხეკა ფრესკების, ამაზე განგაშის ზარი არ უნდა შემოვკრათ? თუ ასე უნდა ვიყოთ მდუმარედ?»

გეოგრაფიული... 
მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მჟავანაძემ ყველაფერი იღონა, ლეონიდ ბრეჟნევსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ფარული შეთანხმებით ნიკიტა ხრუშჩოვი ძალაუფლებისთვის რომ ჩამოეშორებინათ. მჟავანაძემ საბჭოთა იმპერია არანორმალური ლიდერისგან იხსნა და, რაც მთავარია, საქართველო და ქართველი ხალხი უბედურებას გადაარჩინა. ტოტალური ათეიზმის პერიოდში ცეკას პირველი მდივანი, ვასილ მჟავანაძე, ჩვენი მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიის მიმართ არამხოლოდ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, არამედ ზრუნავდა და აქტიურ თანადგომას უცხადებდა მას საჭირბოროტო საკითხებში.**



**ფინეთისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე, გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე 1953 წელს დაინიშნა საქართველოს ცეკას პირველ მდივნად. მას და მის მეუღლე ვიქტორიას გამოვლილი ჰქონდათ ლენინგრადის უმძიმესი 900-დღიანი ბლოკადა, ისინი ებრძოდნენ ფაშისტ დამპყრობლებს.**

# ღირსეული პიროვნება

ვასილ მჟავანაძეს 1953-1972 წლებში, 19 წლის განმავლობაში, საქართველოს ხელმძღვანელის პოსტი ეკავა. ისტორიისთვის 19 წელი ერთი გაელვებაა, მაგრამ, ვასილ მჟავანაძე რომ არა, შესაძლოა, დღეს საქართველო რუკიდან გამქრალი ყოფილიყო. სწორედ მის მოღვაწეობას უკავშირდება ჩვენი სამშობლოსა და სარწმუნოების გადარჩენა. მჟავანაძემ ჩამოსვლისთანავე დაიწყო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მან იცოდა, რომ საქართველო ოდითგან მიწათმოქმედების ქვეყანა იყო და ამიტომაც სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობდა. გარდა ამისა, უდიდეს ძალისხმევას იჩენდა სამრეწველო საწარმოების გადაიარაღებისთვის, მოდერნიზაციისა და ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სიმძლავრეების მშენებლობისადმი. ფართო გასაქანი მიეცა ბინათმშენებლობას; დაიწყო ენგურჰესისა და მადნეულის კომბინატის მშენებლობა; აშენდა მეტროპოლიტენი, სპორტის სასახლე, ტელევიზია, ჯანმრთელობის, კულტურისა და საგანმანათლებო ობიექტები; დაიწყო ჯერ თბილისის და შემდეგ რაიონების გაზიფიკაცია, რამაც გადაარჩინა ჩვენი უნიკალური ტყეები. რესპუბლიკა დაემსგავსა უდიდეს სამშენებლო პოლიგონს, ქვეყნის ეკონომიკა მყარად დაადგა აღმავლობის გზას. უმაღლეს დონეზე აღინიშნა თბილისის დაარსებიდან 1500 და შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილეები.

ვასილ მჟავანაძის წყალობით გადაურჩა დახურვას კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია. მისი მმართველობის პერიოდში არნახული წარმატება მოიპოვა მეცნიერებამ, ხელოვნებამ და სპორტმა.





**ვასილ მჟავანაძეს უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო და მშობელი ერი. დღენიადაგ ქვეყნის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. მისი 19-წლიანი ლიდერობის პერიოდი სათაყვანებელი სამშობლოს აღმავლობის, აღმშენებლობისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება იყო. ნუთუ ასეთი თხემით ტერფამდე ნაღდი მამულიშვილის, ღირსეული, კეთილშობილი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი პიროვნების, ღვთისნიერი და ზნეკეთილი ლიდერის სახელობის ქუჩა არ უნდა იყოს თბილისში?**

**ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილისა** და საქართველოს ცეკას ყოფილი პირველი მდივნების — **კანდიდ ჩარკვიანის, აკაკი მგელაძის** რეაბილიტაციაც და გადასახლებიდან დაბრუნება პირადად მჟავანაძის დამსახურებაა (მოსკოვში ჩავიდა, სთხოვა და დაითანხმა პარანოიკი ნიკიტა ხრუშჩოვი).

ხრუშჩოვმა, როგორც კი საბჭოეთის ხელმძღვანელი გახდა, განკარგულება გასცა და სტალინის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოასვენეს. მას არა მხოლოდ სტალინი, ქართველი ხალხიც უსაზღვროდ სძულდა, ამიტომაც გადაწყვიტა, ქართველები მკაცრად დაესაჯა და სამშობლოდან გადაესახლებინა ციმბირის უმკაცრეს კლიმატურ ოლქებში. თავდაცვის მინისტრმა ჟუკოვმა მისგან დავალებაც მიიღო, — ქართველები სატვირთო ვაგონებში შეეყარათ და შორეული აღმოსავლეთის გზისთვის გაეყენებინათ. ვასილ მჟავანაძე სასწრაფოდ ჩავიდა ხრუშჩოვთან და უმძიმესი საუბრის შემდეგ ქართველთმოძულე ნიკიტას ამ ბოროტ განზრახვაზე ხელი ააღებინა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რის ფასად.

ამ მოლაპარაკების შემდეგ, მჟავანაძემ ყველაფერი იღონა, რომ ლეონიდ ბრეჟნევსა და პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ფარული შეთანხმებით ნიკიტა ხრუშჩოვი ძალაუფლებისთვის ჩამოეშორებინათ. მჟავანაძემ საბჭოთა იმპერია არანორმალური ლიდერისგან იხსნა და, რაც მთავარია, საქართველო და ქართველი ხალხი უბედურებას გადაარჩინა. ტოტალური ათეიზმის პერიოდში ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ჩვენი მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიის მიმართ არამხოლოდ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, არამედ ზრუნავდა და აქტიურ თანადგომას უცხადებდა მას საჭირბოროტო საკითხებში.







ვასილ მჟავანაძეს უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო და მშობელი ერი, დღენიადაგ ქვეყნის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნავდა. მისი 19-წლიანი ლიდერობის პერიოდი სათაყვანებელი სამშობლოს აღმავლობის, აღმშენებლობისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების პერიოდი იყო. ნუთუ ასეთი თხემით ტერფამდე ნაღდი მამულიშვილის, ღირსეული, კეთილშობილი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი პიროვნების, ღვთისნიერი და ზნეკეთილი ლიდერის სახელობის ქუჩა არ უნდა იყოს თბილისში?

თანამდებობის დატოვების შემდეგ მან ქალაქის საბჭოს გადასცა თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე მდებარე თავისი ბინა, თვითონ კი მოსკოვში პატარა კომუნალურ ბინაში აღესრულა; მისი სურვილით, თბილისში დაკრძალეს მეუღლის გვერდით. განა ცოტა გვყავს ღირსეული და სახელოვანი მამულიშვილები, რომელთა გვარსახელები დაამშვენებდნენ ჩვენი დედაქალაქის და რაიონული ცენტრების ქუჩებს?

**ომარ მარგველაშვილი,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი**

**სანქტ-პეტერბუგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი არიან ნობელის პრემიის 7 ლაურეატი, აგრეთვე, მეცნიერებისა და ხელოვნების უამრავი ცნობილი წარმომადგენელი. აქ სწავლობდნენ: ტურგენევი, ბლოკი, ვრუბელი, რერიხი და სხვ. სახელმწიფოს ხელმძღვანელი პირების სიაც საკმაოდ ვრცელია: სტოლიპინი, კერენსკი, ლენინი, მედვედევი, პუტინი, აგრეთვე, ლიტვის (ლიეტუვას) ორი პრეზიდენტი, ყირგიზეთის პარლამენტის სპიკერი და სხვა პოლიტიკოსები.**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უმაღლესი სასწავლებლები, რომლებშიც წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები სწავლობდნენ

მსოფლიოს ბევრ პოლიტიკოსსა და დიდი კომპანიის ხელმძღვანელს კარგი განათლება აქვს მიღებული ცნობილ სასწავლებლებში. ზოგიერთი რამდენიმე სასწავლებლის სტუდენტიც იყო. მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები.





## ვლადიმერ პუტინი — სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი ითვლება მემკვიდრედ იმ აკადემიური უნივერსიტეტისა, რომელიც **პეტრე I**-ის ბრძანებით დაარსდა 1724 წელს. ამ უმაღლეს სასწავლებელთან მისი არსებობის თითქმის 300 წლის განმავლობაში ბევრი გამოჩენილი ადამიანია დაკავშირებული.

სანქტ-პეტერბუგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი არიან ნობელის პრემიის 7 ლაურეატი, აგრეთვე, მეცნიერებისა და ხელოვნების უამრავი ცნობილი წარმომადგენელი. აქ სწავლობდნენ: **ტურგენევი, ბლოკი, ვრუბელი, რერიხი** და სხვ. სახელმწიფოს ხელმძღვანელი პირების სიაც საკმაოდ ვრცელია: **სტოლიპინი, კერენსკი, ლენინი, მედვედევი, პუტინი,** აგრეთვე, ლიტვის (ლიეტუვას) ორი პრეზიდენტი, ყირგიზეთის პარლამენტის სპიკერი და სხვა პოლიტიკოსები.

ვლადიმერ პუტინი 1970-1975 წლებში სწავლობდა სანქტ-პეტერბურგის (იმხანად ლენინგრადის) სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.








## დონალდ ტრამპი — ბიზნესის უორტონის სკოლა

ტრამპს, როგორც ცნობილია, პრეზიდენტის სავარძლისკენ პირდაპირი გზით არ უვლია. პოლიტიკოსს, ბიზნესმენს, შოუმენსა და ტელეწამყვანს არც განათლების მიღებისას აურჩევია პირდაპირი გზა. 13 წლის იყო, როცა მშობლებმა გაგზავნეს ნიუ-იორკის სამხედრო აკადემიის ინტერნატში. როგორც ჩანს, მშობლები ფიქრობდნენ, რომ ყმაწვილ დონალდს დისციპლინა არ აწყენდა. ამ პრესტიჟული სასწავლებლის კურსანტს შეეძლო, განეგრძო სამხედრო კარიერა, მაგრამ 18 წლის ტრამპი კინოსკოლასა და ეკონომიკურ განათლებას შორის აკეთებდა არჩევანს. ბოლოს კი არჩევანი სტაბილურ და პრესტიჟულ მიმართულებაზე შეაჩერა, თუმცა უნივერსიტეტი რამდენჯერმე გამოიცვალა. აშშ-ის მომავალმა პრეზიდენტმა პრესტიჟული სასწავლებლის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო.

პენსილვანიის უნივერსიტეტის ბიზნესის უორტონის სკოლა მაღალხარისხიანი განათლების სისტემითაა განთქმული. ამ სასწავლებლის საფინანსო ფაკულტეტი საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში. სწორედ ეს ფაკულტეტი დაამთავრა ცნობილმა ბიზნესმენმა **ილონ მასკმა.**







## პრინცი უილიამი — სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტი

ინგლისის ახალგაზრდა პრინცმა, რომელიც, ადრე თუ გვიან, მიიღებს მონარქის ტიტულს, კლასიკური განათლება მიიღო. იტონის კოლეჯის დასრულების შემდეგ მან სენტ-ენდრიუს უნივერსიტეტში (შოტლანდია) ჩააბარა. ეს უმაღლესი სასწავლებელი დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სასწავლებლის ხუთეულში შედის. მასში სტუდენტების ნახევარი უცხოელია. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სასწავლებელში გაიცნო უილიამმა თავისი მომავალი მეუღლე — ისინი ერთად შეისწავლიდნენ ხელოვნების ისტორიის კურსს. მოგვიანებით პრინცმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ბედნიერი წლები გაატარა. სხვათა შორის, პრინცის ბებიას, **დედოფალ ელისაბედს,** პრესტიჟული დიპლომი არ აქვს. მან თავის დროზე საშინაო განათლება მიიღო, დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელმა პრემიერმინისტრმა **ბორის ჯონსონმა** კი ჯერ იტონი დაამთავრა, შემდეგ — ოქსფორდის უნივერსიტეტის ბალიოლ-კოლეჯი.





## ანგელა მერკელი — ლაიფციგის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ისტორიაში პირველმა და ერთადერთმა ქალმა-კანცლერმა ბევრი წელი გაატარა მეცნიერების სამსახურში და, როგორც ჩანს, თავდაპირველად სულაც არ აპირებდა პოლიტიკაში ჩართვას. სკოლის დამთავრების შემდეგ ფრაუ ანგელამ კარლ მარქსის სახელობის ლაიფციგის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. სწორედ აქ შეხვდა ის თავის პირველ ქმარს. ეს სასწავლო დაწესებულება გერმანიაში ყველაზე ძველია ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის შემდეგ. საინტერესოა, რომ ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლობდა კიდევ ერთი ქალი სახელმწიფოს მეთაური — **მიშელ ბეჩელეტი,** რომელიც 2010-2018 წლებში ჩილეს პრეზიდენტი იყო. ლაიფციგში ის მედიცინას სწავლობდა.





## ემანუელ მაკრონი — უნივერსიტეტი პარიზი-ნანტერი

საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონს** რამდენიმე დიპლომი აქვს, თანაც ყველა პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის, მაგრამ ყველაზე მთავარი მან მიიღო დასავლეთ პარიზში — ნანტერ-ლა-დეფანსის უნივერსიტეტში. ეს არის უზარმაზარი სასწავლო დაწესებულება, რომელშიც 33 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. სწორედ ამ უნივერსიტეტმა აღუზარდა საფრანგეთს უამრავი პოლიტიკოსი და რამდენიმე მინისტრი, პარიზის პირველი ქალი-მერი **ან იდალგო.** ამ უნივერსიტეტში სწავლობდა, აგრეთვე, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი.** ასე რომ, იმ ფრანგებისთვის, რომლებსაც პოლიტიკური კარიერის გაკეთება სურთ, არჩევანი ნათელია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ხელოვნება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ლევან გაბრიაძის ამ ნამუშევარმა გააფართოვა ფესტივალის საზღვრები. მოულოდნელ სიახლედ შემოგვეჭრა. განსაკუთრებული ფილმია, მე არ მსურს იმ სიხარულის დამალვა, რომელიც მან განმაცდევინა“.



# «ჰარი-ჰარალე, დედაო»

**ასე ჰქვია ლევან გაბრიაძის ფილმს, რომელიც დაჯილდოვდა ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ახლახან (1-4 ოქტომბერს) გამართულ დოკუმენტური კინოს მე-4 ფესტივალზე კინემატოგრაფისტთა ამ კონკურსისთვის პირველად დაწესებული პრიზით — „ღრმა შინაარსისა და ორიგინალური ფორმისთვის“. სათაური ქართული ხალხური ლექსიდან მოდის:**

**ჰარი-ჰარალე, დედაო,**
**გადავჯექ კურდღელზედაო,**
**გავაჭენ-გამოვაჭენე,**
**გავუშვი მინდორზედაო.**

**ფესტივალზე 150 ფილმი იყო წარდგენილი, ფინალურ კონკურსში მონაწილეობისთვის მათგან მხოლოდ 23 შეირჩა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოები.**



პრიზის გადაცემის დროს
ტარიელ გაგნიძე და ლევან გაბრიაძე

ეს პრიზი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის მსოფლიოში ცნობილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით დაარსა ტელემაუწყებლობის უმაღლესი სკოლის დეკანმა, პროფესორმა **ვიტალი ტრეტიაკოვმა** და მანვე წარუდგინა ჟიურის პირველი ლაურეატის კანდიდატურა. ჟიურის წევრებმა ერთხმად (და სიხარულით) დაუჭირეს მხარი **ლევან გაბრიაძეს** — ფილმის რეჟისორს.

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია დაუკავშირდა ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეს — ვიტალი ტრეტიაკოვს და კომენტარი სთხოვა.**

— წლეულს ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეობა მთხოვეს. დავთანხმდი. გადავწყვიტე, რაიმე სიახლე შემეტანა ამ ღონისძიებაში და დავაწესე პრიზი, რომლითაც დაჯილდოვდებოდა პროფესიონალიზმით გამორჩეული ნამუშევარი. ფილმს უნდა ეპასუხა ორი მოთხოვნისთვის — უნდა ყოფილიყო ღრმა შინაარსისა და ორიგინალური ფორმის, — **განაცხადა ბატონმა ტრეტიაკოვმა,** — ვიფიქრე, რომ ამ პრიზს მოუხდებოდა სახელწოდება სწორედ ამ ორი მოთხოვნიდან გამომდინარე: „ღრმა შინაარსისა და ორიგინალური ფორმისთვის“, რომლის მიღწევაც დოკუმენტურ კინოში ძალიან ძნელია. ამ ჟანრის ფილმებში ყოველთვის რაღაც პრობლემაზეა საუბარი, ეს მოთხოვნა მაინცდამაინც რთულად შესასრულებელი არ არის, აი ფორმით ორიგინალურს კი ხშირად ვერ შეხვდებით. მეგონა, რომ ფესტივალზე ორიგინალური ფორმის ნამუშევრის პოვნა გამიჭირდებოდა, მაგრამ ლევან გაბრიაძის ფილმმა მიზანში მოარტყა, ათიანის შუაგულ წერტილში.

მოვეთათბირე ჟიურის წევრებს, ვთხოვე, ეთქვათ: რას ფიქრობდნენ, მეთანხმებოდნენ თუ არა, სხვა რომელიმე ფილმი ხომ არ ჰქონდათ შერჩეული და ა.შ. საოცრად ერთსულოვანი იყვნენ ჩემი კოლეგები, ერთხმად დამიჭირეს მხარი.

ყველამ აღნიშნა, რომ რეზო გაბრიაძის, როგორც მთავარი გმირის, მონაწილეობა ამ სურათს დოკუმენტური ფილმის სტატუსს ანიჭებს, რომ რეჟისორმა ისეთი ოსტატობითა და ორიგინალურად გადმოგვცა ერთი ბიჭის (შეიძლება მთელი გვარისაც) ცხოვრების ისტორია, რომელიც ქვეყნის ისტორიის ანარეკლია, რომ ამ ნამუშევარს სხვა პრეტენდენტი გვერდით ვერ დაუდგებოდა.

მულტიპლიკაციის გამოყენება დოკუმენტურ კინოში აბსურდად არის მიჩნეული. დიდი-დიდი შეიძლება ტაქტიკად ჩაითვალოს, მაგრამ არა უმეტეს რამედ. აქ კი, ამ სურათში დამოუკიდებელი ვიდეორიგი, ისტორიული რიგი, მოვლენითი რიგი მულტიპლიკაციითაა გადმოცემული. ყველაზე დიდი დინამიკა სწორედ მულტიპლიკაციით არის მიღწეული. ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ეს ფილმი ღირსი იყო ჩვენი პრიზის და, საერთოდაც, ძალიან საინტერესო, მართლაც ორიგინალური ნამუშევარია.

— **მაშასადამე, ჟიურის მოეწონა. საინტერესოა, როგორი იყო ფესტივალზე დამსწრეთა რეაქცია, როცა ლევან გაბრიაძის ფილმის წარმატების შესახებ გამოაცხადეთ?**

— მინსკის დოკუმენტური კინოს ფესტივალი ახალგაზრდაა, მხოლოდ ოთხჯერ გაიმართა. ჯერ კიდევ კომპაქტურია, არ დაუგროვებია ამ ხასიათის ფესტივალებისთვის აუცილებელი ძალა და მასშტაბურად არ გაუთქვამს სახელი. დრო სჭირდება ამას.

ათასობით დოკუმენტურ ფილმს იღებენ დღეს მსოფლიოში. ბევრი ავტორია ამ საქმეში ჩართული, რომლებსაც აქამდე საშუალება არ ჰქონდათ ან გამბედაობა არ ჰყოფნიდათ, გადაეღოთ ფილმი. ამას შესაბამისი გრაფომანიის დიდი ნაკადი მოჰყვა, რომელმაც თითქმის წალეკა პროფესიონალების ნამუშევრები. ამას კი ფართო საზოგადოების ყურადღება სუროგატზე გადააქვს. არა მგონია, რომ მინსკის ფესტივალზე დამსწრე საზოგადოების ყველა წევრს ნანახი ჰქონდა საკონკურსო ფილმები, ამიტომ მათი რეაქცია ვერ იქნება ფილმის შეფასების ზუსტი კრიტერიუმი. ვერ ვიტყვი, რომ გამოცხადების დროს ყველა ფეხზე დადგა და ოვაციით შეეგება ჟიურის გადაწყვეტილებას, მაგრამ, რეაქცია რომ აბსოლუტურად დადებითი იყო, ეჭვგარეშეა.

**«ჩემი ფილმი, საბოლოო ჯამში, ბევრი მოთხრობიდან შემდგარი ერთი მოთხრობაა. მოთხრობას უხდება ილუსტრაცია, კინომოთხრობა შეიძლება გაცოცხლდეს ანიმაციით. თანაც, მქონდა რეზოს ნახატები, მონაყოლ ისტორიას დაემატებოდა დახატული მთავარი გმირები და გაცოცხლება კი უკვე ჩემი სამუშაო, ჩემი საზრუნავი იყო. გმირების მოქმედება ზოგჯერ ემთხვევა ისტორიას, ზოგჯერ — არა, მაგრამ ყველა შემთხვევაში საინტერესოა»**



მოსწავლე რეზო და ვირთხა იპოლიტე —
ქუთაისის ბიბლიოთეკის ერთგული სტუმრები

მგონია, რომ იმანაც კი, ვინც ამ ნამუშევრის თუნდაც ხუთწუთიანი ნაწყვეტი ნახა, ფილმის ფორმალური კონცეფცია სრულად გაითავისა. პირდაპირ გეტყვით: ამ ფილმის დაჯილდოების საკითხი ნაკლებად მაღელვებდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი მის გამარჯვებაში, რასაც სხვა ნამუშევრებზე ვერ ვიტყვი.

მე რომ მკითხოთ, ეს ფილმი, მულტიპლიკაციური ფილმების კონკურსში მონაწილეობა რომ მიეღო, იქაც გაიმარჯვებდა.

**მოკლედ, მე ისე გავიგე, რომ ლევან გაბრიაძის ფილმი დოკუმენტურ კინოში ახალი სიტყვაა და ყოველმხრივ მხარდასაჭერია.**

**ვნახოთ, რას ფიქრობს ამ საკითხზე ფესტივალის დირექტორი ვალერი შეხოვცევი:**

— ჩვენი ჟიურის თავმჯდომარე ვიტალი ტრეტიაკოვმა ფესტივალის დასაწყისში განაცხადა, რომ მის მიერ დაწესებულ პრიზს გადასცემდა ფილმს, რომელიც გამორჩეული იქნებოდა შინაარსის სიღრმითა და ფორმის ორიგინალურობით. ასეც მოხდა. ჩვენ, ყველანი, ერთსულოვანი ვიყავით, როცა ეს ორიგინალური პრიზი ლევან გაბრიაძეს მივანიჭეთ. მაგრამ ჯერ ერთ განსაკუთრებულ ვითარებას მივაქცევ თქვენი გაზეთის მკითხველის ყურადღებას: ლევან გაბრიაძის ნამუშევრის დემონსტრაციისას დარბაზში მყოფნი თვალზე ცრემლმომდგარნი უყურებდნენ ამ ფილმს, რაც უიშვიათესი მოვლენაა, განსაკუთრებით, დოკუმენტური ფილმების ჩვენებისას.

ჩვენი ფესტივალი ვითარდება, უფრო და უფრო მასშტაბური და ყოვლისმომცველი ხდება. და აი, ამ განვითარების ერთ ეტაპზე ლევან გაბრიაძის ფილმი მოვიდა ჩვენამდე, უფრო ზუსტად, ჩვენი ფესტივალი მივიდა ამ ფილმამდე.

ფესტივალი თავისი განვითარების ვექტორს თვითონ გვთავაზობს, არ იფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკით, არც მხოლოდ სოციალური საკითხებით, ბოლო დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა, უწინ ერთ სივრცეში გაერთიანებული, ამჟამად კი განვითარების საკუთარ გზაზე დამდგარი ჩვენი ქვეყნების წარმატებები თუ პრობლემები. გაღვივდა ინტერესი ერთმანეთის მიმართ. ჩვენ გვსურს, ველაპარაკოთ ერთმანეთს, გავიზიაროთ ერთმანეთის ჭირი და ლხინი.

ლევან გაბრიაძის ამ ნამუშევარმა გააფართოვა ფესტივალის საზღვრები. ჩემი, როგორც ფესტივალის დირექტორის, ჟიურის წევრის აზრით, მოულოდნელ სიახლედ შემოგვეჭრა. განსაკუთრებული ფილმია, მე არ მსურს იმ სიხარულის დამალვა, რომელიც მან განმაცდევინა.

— **და გვეუბნება, რომ არ იქნება კარგი, თუ ერთმანეთს უფრო და უფრო დავცილდებით.**

— რა თქმა უნდა! ამის დადასტურება იყო ის აპლოდისმენტები, რომლებიც ფილმის დემონსტრაციის დროს, დაჯილდოებისას ისმოდა.

რუსების შესახებ გეტყვით ორიოდ სიტყვას: არის რაღაც განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც მათ ახასიათებს, ეს იდენტიფიკაციის ნიშნებია. მაგალითად, ერთდროულად შეიძლება იყოს შრომისმოყვარეც, მომთმენიც, მეგობრობისთვის პატივის მიმგებელიც და კიდევ ერთი, განსაკუთრებით გამორჩეული თვისება — **რუს ადამიანს უყვარს ქართველები! უყვარს ქართველები და მორჩა! მხოლოდ „საფერავი“ და ხაჭაპური კი არ უყვარს და, რაღა თქმა უნდა, ლობიო (ამის გარეშე რა გამოვა?!), უყვარს ქართული მუსიკა, უყვარს ქართული ფილმები, ლიტერატურა, უყვარს ურთიერთობა ქართველებთან. მე ვხედავდი დარბაზში ჩემს მეგობრებს საქართველოდან, ბელარუსიდან, რუსეთიდან... ეს ისეთი ადამიანების კრებული იყო, ისეთი გამორჩეული პიროვნებების... რომ მეტი არ შეიძლება!**

მგონია, რომ, ყველაფრის მიუხედავად, პოლიტიკური რაღაც უთანხმოე-

▶

„რუს ადამიანს უყვარს ქართველები! უყვარს ქართველები და მორჩა! მხოლოდ „საფერავი“ და ხაჭაპური კი არ უყვარს და, რაღა თქმა უნდა, ლობიო (ამის გარეშე რა გამოვა?!), უყვარს ქართული მუსიკა, უყვარს ქართული ფილმები, ლიტერატურა, უყვარს ურთიერთობა ქართველებთან. მე ვხედავდი დარბაზში ჩემს მეგობრებს საქართველოდან, ბელარუსიდან, რუსეთიდან... ეს ისეთი ადამიანების კრებული იყო, ისეთი გამორჩეული პიროვნებების... რომ მეტი არ შეიძლება!“

ხელოვნება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«მამაჩემი ოჯახს თავისი მონაგონით არჩენდა: იგონებდა, წერდა ემოციურ სიუჟეტებს. იმ სამზარეულოში ვტრიალებდი, რომელშიც დრამატურგმა, სანამ დაწერს, ბევრჯერ უნდა მოყვეს, რეაქციას დააკვირდეს მსმენელის, მოარგოს, დახატოს და ა.შ. არ შეიძლება, დრამატურგს შეეკითხო: რატომ ვირთხა, რატომ სტალინი და ლენინი? მთავარია, იყოს ლიტერატურული საფუძველი და არა მაინცდამაინც კონკრეტული ვირთხა. ეს ფილმი არ არის კინოს რომელიმე ჟანრის კუთვნილება. რამდენიმე ჟანრის შესაყარზე შექმნილი ნაწარმოებია»**

◀ბების, ტრაგიკული სიტუაციების მიუხედავად, რომელთა გაწოვას, სამწუხაროდ, შეიძლება წლები დასჭირდეს, ათწლეულებიც კი, ქართველ მეგობრებთან რუსის ურთიერთობის მისწრაფება მაინც იძალებს და არ მოიშლება.

**სხვადასხვა მიზეზთა გამო ლევან გაბრიაძემ მინსკში ჩასვლა ვერ მოახერხა. მინსკის დოკუმენტური ფილმების მეოთხე ფესტივალზე მოპოვებული სპეციალური პრიზი — „ღრმა შინაარსისა და ორიგინალური ფორმისთვის“ — 7 ოქტომბერს რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრში მას გადასცა ფესტივალის სტუმარმა საქართველოდან ტარიელ გაგნიძემ.**

**მაშინ მოვახერხე რეჟისორისთვის ბლიცინტერვიუს ჩამორთმევა.**

— ჩემთვის, — თქვა ლევან გაბრიაძემ, — ეს არის ძალიან პირადული ფილმი: მომეთხრო მამაჩემისა და ჩემი ოჯახის ისტორია. განცდებით სავსე გზა გამოვიარე ამ სურათის კეთებაში. ჩემი ოჯახის ისტორიის გადარჩენის მცდელობაც იყო ეს ფილმი: ყველაფერს სჭირდება მითოლოგია, უპირველეს ყოვლისა, ოჯახს, რათა შვილებმა და შვილიშვილებმა არ დაივიწყონ, საიდან მოდიან. ბაბუა უყვება მათ თავის თავგადასავალს.

ძალიან მიხარია, რომ ჩემმა ამ ნამუშევარმა მიიღო დოკუმენტური ფილმების მინსკის IV ფესტივალის სპეციალური პრიზი.

**— ელოდით?**

— ცხოვრებაში პესიმისტი ვარ და არ ველოდები არაფერს, მაგრამ, როცა გამიმართლებს, მიხარია ბავშვივით.

**— ზოგიერთ მსახიობს, მაგალითისთვის შემიძლია დაგისახელოთ კახი კავსაძე, თავისი კინოგმირი ეკრანზე არასოდეს უნახავს, არ უყურებს. პრინციპი აქვს ასეთი. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ „გამზადებულ პროდუქციასთან“?**

— მსახიობებს აქვთ ასეთი შესაძლებლობა — არ სურთ და არც უყურებენ. გადაღება შემოქმედებითი პროცესის მხოლოდ პირველი ნაწილია. რეჟისორმა გადაღებული მასალა უნდა დაამონტაჟოს, მზად უნდა იყოს, რომ თავისი ფილმი დღეში ორჯერ მაინც ნახოს ნახევარი წლის განმავლობაში, ამიტომ, თუ არ გიყვარს ეს ფილმი, სურათზე მუშაობის პროცესმა შეიძლება ძალიან დაგთრგუნოს. მე არ მაქვს პრივილეგია, რომ რაღაც გადავიღო და შემდეგ არ ვნახო. ფილმის დახვეწა, ბოლომდე მიყვანა ბევრ ნახვას ნიშნავს.

**— „ჰარი-ჰარალე, დედაო“ ისეთი ფილმია, ჰაიჰარად ვერ გაკეთდებოდა.**

**— ამ ფილმის იდეა 1996 წელს დაიბადა, როცა ლოს-ანჯელესში ჩამოვიდა მამაჩემი. მაშინ იქ ვცხოვრობდი და ანიმაციას ვსწავლობდი. ერთი თვით ჩამოვიდა. ერთ კვირაში დავათვალიერებინე ყველაფერი, რაც სანახავი იყო. მობეზრდა უქმად ყოფნა და მითხრა: რა გინდა, რისი სცენარი დაგიწეროო. მაშინ გამახსენდა მისი ბავშვობის ისტორიები, რომლებსაც მიყვებოდა. პირველი, რაც გავაკეთე, ამ პერიპეტიების ჩაწერის მცდელობა იყო. ჩავიწერე კიდეც,** მაგრამ ანიმაცია კინოს ძალიან რთული და ძვირად ღირებული ჟანრია. მარტომ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოვახერხე. ამასთან, ცხოვრებამ სხვადასხვა გზებით მატარა, მახეტიალა, ბოლოს და ბოლოს ბაზილევში, **თემურ ბექმამედოვის** სტუდიაში. ეს იდეა თემურს რომ გავაცანი, ძალიან მოინდომა მისი მატერიალიზაცია და თავიდან ბოლომდე დააფინანსა მომავალი ფილმი.

ეს არის თემურის საჩუქარი ჩემთვის და რეზოსთვის.



„გაციმბირებული“ ელექტრიკოსი



გერმანელი ტყვეები იმერეთის სოფლის კომუნისტურ შაბათობაზე



„ქუთაისი ქალაქია“

**— ანიმაციის ჩართვა დოკუმენტურ ფილმში ხომ არ გიკარნახათ პატარა ბიჭის — რეზო გაბრიაძის თავგადასავალმა, როცა ქუთაისის ბიბლიოთეკის ყველაზე ერთგულ სტუმრებად სკოლის მოსწავლე რეზო და მუდმივად მშიერი ვირთხა იპოლიტე ითვლებოდნენ: რეზო კლასიკის კითხვას ეწაფებოდა, ვირთხა — წიგნის ყდების ჭამას...**

— მე გავიზარდე დრამატურგის ოჯახში, სპეციფიკური ბავშვობა მქონდა. **მამაჩემი ოჯახს თავისი მონაგონით არჩენდა: იგონებდა, წერდა ემოციურ სიუჟეტებს. იმ სამზარეულოში ვტრიალებდი, რომელშიც დრამატურგმა, სანამ დაწერს, ბევრჯერ უნდა მოყვეს, რეაქციას დააკვირდეს მსმენელის, მოარგოს, დახატოს და ა.შ. არ შეიძლება, დრამატურგს შეეკითხო: რატომ ვირთხა, რატომ სტალინი და ლენინი? მთავარია, იყოს ლიტერატურული საფუძველი და არა მაინცდამაინც კონკრეტული ვირთხა.**

ეს ფილმი არ არის კინოს რომელიმე ჟანრის კუთვნილება. რამდენიმე ჟანრის შესაყარზე შექმნილი ნაწარმოებია.

**— კინომცოდნეები ამტკიცებენ, რომ იგი ახალ ჟანრად ჩამოყალიბდა. მინსკის კინოფესტივალის პროფესიონალმა ხელმძღვანელებმა ჩვენს გაზეთთან საუბარში სწორედ ამას გაუსვეს ხაზი. ეს, ჩემი აზრით, ისეთივე ფენომენია, როგორიც თავის დროზე იური როსტის საგაზეთო ფოტოსა და მინაწერი ტექსტის თემატური ერთობლიობით ახალი საგაზეთო ჟანრის დაბადება. სხვათა შორის, სწორედ აქ, გაბრიაძის თეატრის ამ კაფეში, შევთანხმდით მე და იური როსტი, რომ ასე არის და ასეთად დარჩება. იურიმ დაიმოწმა ცნობილი რუსი მწერალი, საქართველოს დიდი მეგობარი ანდრეი ბიტოვი, რომელიც ამ მოსაზრებას უჭერდა მხარს.**

— ჩემი ფილმი, საბოლოო ჯამში, ბევრი მოთხრობიდან შემდგარი ერთი მოთხრობაა. მოთხრობას უხდება ილუსტრაცია, კინომოთხრობა შეიძლება გაცოცხლდეს ანიმაციით. თანაც, მქონდა რეზოს ნახატები, მონაყოლ ისტორიას დაემატებოდა დახატული მთავარი გმირები და შემდეგ გაცოცხლება კი უკვე ჩემი სამუშაო, ჩემი საზრუნავი იყო. გმირების მოქმედება ზოგჯერ ემთხვევა ისტორიას, ზოგჯერ — არა, მაგრამ ყველა შემთხვევაში საინტერესოა.

ამ სტილს გადაფარვითი ანიმაცია ჰქვია, რომელიც მიამიტურია თავისი არსით და რაღაცით ჰგავს ჩვენს თეატრს, თოჯინებს. რეზოს ნახატები, როგორც თოჯინები, გავაცოცხლეთ. მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ ყველაფერი ყოფილიყო ორგანული და რეზოსი.

მგონი, რომ ასეც გამოგვივიდა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ლევან გაბრიაძის ფილმის „ჰარი-ჰარალე, დედაო“ ნახვა შეგიძლიათ ყოველი კვირის სამშაბათს გაბრიაძის მარიონეტების თეატრში. დიდად ისიამოვნებთ.**

**ა.ს.**



თბილისში ჩაწერილი თსუ-ს სტუდენტი




„ოცნების კოშკი ავაგე“

# ᲓᲔᲛᲣᲠ ᲛᲘᲥᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ



**გენერალ-მაიორ დემურ მიქაძის გარდაცვალებიდან ერთი წელიწადი გავიდა. ის 76 წლისა გარდაიცვალა. აი როგორ აფასებდნენ დემურ მიქაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მეგობრები:**

**„ᲐᲠᲨᲘᲡ ᲙᲚᲓᲔᲡ ᲕᲔᲤᲮᲕᲘ ᲓᲐᲕᲙᲝᲓᲔ,**
**ᲙᲑᲝᲓᲔᲑᲖᲔ ᲑᲠᲭᲧᲐᲚᲘᲗ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ.**
**ᲙᲐᲪᲘ ᲞᲣᲠᲐᲓᲘ ᲒᲣᲚᲐᲓᲖᲔ**
**ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲘᲗ ᲓᲘᲓᲘᲐ“.**

* „პურადი კაცი“ ქველმოქმედია და სრულიად სამართლიანად, მისი ღვაწლი „გულად კაცისაზე“ მაღალია. ვფიქრობ, ეს ლექსი პირდაპირ მიესადაგება დემურ მიქაძის საქმიანობას.

**ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ,**
**ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**

* გულახდილად გეტყვი, ყოველთვის მაქვს იმის იმედი, რომ, თუ ჩავვარდი გაჭირვებაში, დემური მოვა, გვერდით დამიდგება და ყველაფერს ერთად გადავლახავთ.

**ᲝᲗᲐᲠ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲔ,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი**

* დემურ მიქაძის პიროვნული ფენომენი შემკულია არა მარტო „სიკეთის მკეთებლის“ გვირგვინით, არამედ იგი ასევე აღიარებულია, როგორც „სიკეთის დამნახველის“ უბადლო ოსტატი.

**ᲠᲔᲕᲐᲖ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ,**
**სოციალისტური შრომის გმირი, „საქნავთობის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, პროფესორი**

* მისი შეფასებისას, დიდი თუ პატარა, ჩინიანი თუ უჩინო პირდაპირ თუ ზურგსუკან, ალალად და უყოყმანოდ ამბობდა, ამბობს და იტყვის: — აი კაცი!

**ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ,**
**საქტელერადიო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე**

* დემურ მიქაძე უმაღლესი პროფესიონალიზმით გაჯერებული, ძალიან გონებაგახსნილი ოპერატიული ჩეკისტია და, ამასთანავე, — ადამიანის მოყვარული და გულწრფელად მხარში მდგომი ზნეკეთილი კაცი. ის ჭეშმარიტად დიდი სარაჯიშვილის შთამომავალია.

**ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ,**
**ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე**

* დემურ მიქაძის ღირსების არსი არის ადამიანთა, მეგობართა და სამშობლოს უანგარო და გამძაფრებული სიყვარული, რომელსაც იგი უშურველად გასცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა.

**ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ,**
**ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**

* დემურ მიქაძემ რიგითი ჯარისკაციდან გენერლობამდე დიდი და მძიმე გზა ისე გაიარა, არასოდეს უღალატია თავის მრწამსისთვის, თავის სამშობლოსთვის, ადამიანისთვის ზოგადად. ყოველთვის იქ იდგა და იმ საქმეს აკეთებდა, რაც სწამდა, რაც ქვეყანას გამოადგებოდა.

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ,**
**ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი**

* დემური მიქაძე არის უმაღლესი დონის პროფესიონალი, ორგანიოზატორი და თავისი დარგის უძლიერესი წარმომადგენელი.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე**

* დემურ მიქაძის ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, შენი ქალაქი, შენი ოჯახი, როგორ ურთიერთობაში უნდა იყო მეგობრებთან, ახლობლებთან და ზოგადად ადამიანებთან.

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲮᲣᲠᲝᲫᲔ,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი**

* მთელი შენი ცხოვრება უშიშროების, ვაჟკაცობის, ერთგულების, მეგობრობის უკიდეგანო სიყვარულის ნათელი მაგალითია.

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ,**
**სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი**

* ეს კაცი ღვთის წყალობაა. იგი არავის ჰგავს საკუთარი თავის გარდა, დღესაც იმ ცხოველმყოფელობას ინარჩუნებს და მისი ღვაწლი შეუფასებელია.

**ᲯᲔᲛᲐᲚ ᲒᲐᲮᲝᲙᲘᲫᲔ,**
**უშიშროების ყოფილი მინისტრი**

* დემური მიქაძე კაცია, რომელსაც შეიძლება ენდო, ემეგობრო და უბედურების შემთხვევაში გრანიტის კლდესავით ზურგით მიეყრდნო.

**ᲓᲔᲛᲣᲠ ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲔ,**
**მეგობარი**

ეს არის ამონარდები დემურ მიქაძის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნიდან „სამშობლოს სამსახურში“, რომელშიც უამრავი მასალაა თავმოყრილი დემურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ წიგნიდან დემურის შესაფასებლად უნდა გამოვიყენო ერთი სიტყვა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს თხრობას: კაცი!

**მეგობრების სახელით,**
**ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲘ.**

**P.S. „რატომ უნდა მომკვდარიყო ასეთი კეთილშობილი და ბავშვების მოყვარული კაცი?!“ — დათუნა ონიანი, 8 წლის.**



# ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და მისი ამერიკელი კოლეგა დონალდ ტრამპი შეიძლება ერთმანეთს აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკურ სამიტზე შეხვდნენ.**

აზია-წყნარი ოკეანის მორიგი ეკონომიკური სამიტი 16-17 ნოემბერს გაიმართება ჩილეში.



# ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲛᲐ ᲙᲘᲔᲕᲗᲐᲜ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲮᲐᲖᲘᲗ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ

**რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ვიცესპიკერის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის — პეტრე ტოლსტოის განცხადებით, კიევთან საპარლამენტო ხაზით მოლაპარაკებები შესაძლებელი და აუცილებელია.**

„დღეს უკრაინა მარიონეტი რომ არის უცხოთა ძალიან ბინძურ თამაშში, ეს დროებითია, ეს გაივლის. პირდაპირი დიალოგის გარეშე დაგროვებული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია“, — მიაჩნია ტოლსტოის.

ᲗᲣ ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ“ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲗ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲙᲣᲠᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲡ:
„ ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ“ — ᲢᲔᲚ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ᲛᲐᲪᲜᲔ“ — ᲢᲔᲚ: 599 982 773; 2 14 74 22

# ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ 2019 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

**კონკურსში „რუსეთის წლის მასწავლებელი — 2019“ რუსული ენისა და ლიტერატურის 28 წლის ვოლგოგრადელმა მასწავლებელმა ლარისა არაჩაშვილმა გაიმარჯვა.**

რუსეთის განათლების მინისტრ **ᲝᲚᲦᲐ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲐᲡ** განცხადებით, „მართლაც უკომპრომისო და ძალიან პატიოსანი კონკურსი ჩატარდა“.

„თქვენ ხედავდით ლარისას მდგომარეობას, როდესაც გამოაცხადეს, რომ კონკურსში მან გაიმარჯვა, ის გაკვირვებული იყო“, — თქვა მინისტრმა.

არაჩაშვილმა, რომელიც მუშაობს 55-ე სკოლა „ცოდნის ველში“, გამარჯვება თავის მოსწავლეებს მიუძღვნა.

კონკურსის ფინალში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ფრანგულის მასწავლებელი **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲖᲔᲖᲙᲝᲕᲐ** (სანქტ-პეტერბურგი), გეოგრაფიის მასწავლებელი **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲕᲘᲓᲘ** (მოსკოვის ოლქი), ბიოლოგიის მასწავლებელი **ᲜᲐᲘᲚ ᲛᲘᲠᲡᲐᲘᲢᲝᲕᲘ** (თათრეთი) და ქიმიის მასწავლებელი **ᲕᲔᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲐ** (სარატოვი).

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის მერის — **ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲡᲝᲑᲘᲐᲜᲘᲜᲘᲡ** განცხადებით, რუსეთის დედაქალაქის სკოლებში მასწავლებლების საშუალო ხელფასმა ბოლო რამდენიმე წელიწადში სამჯერ მოიმატა და 110 ათასი რუბლი (5020 ლარი) შეადგინა.




# ᲫᲕᲐᲚ-ᲡᲐᲮᲡᲐᲠᲗᲐ ᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲝᲛᲐ-ᲒᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ᲢᲔᲚ: 599-722-138; 247-58-83**
**ᲛᲘᲡ.: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ №142, I ᲡᲐᲠᲗ.**
**ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ №6. ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘ**


www.geworld.ge
ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲡ
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲔᲙᲘᲡᲠᲔᲑᲐᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲡ.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894